საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაერი მედია

ალი

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

10 ივლისი **სამშაბათი** 2012 **№161 (13 767)** ფასი 80 თეთრი

ლონდონში ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა 17 დღე

ჯერ ათი კაცით ვვარჯიშობთ

ფაჩულია, შენგელია და ფიშერი გუნდს ავსტრიაში შეუერთდებიან

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

კალათბურთი. საქართველოს ნაკრები 13





ოლიმპიური ფეხბურთი საინტერესო იქნება

კავანი, სუარესი, გიგზი, ხუან მატა, ნეიმარი, ჰალკი... ისინი ლონდონში მიდიან

საფეხბურთო ტურნირის კალენდარი 16

თორნიკეს ამერიკულ კალათბურთში +16-ით შეაბიჯა

ამერიკელმა კომენტატორმა: შენგელია ყველგანაა

12



სუპერმენი თითქმის ბრუკლინელია

ჰოვარდი, უილიამსი, ჯონსონი... ნეტსი ფავორიტი იქნება

14



ყენიას რუსები აყოვნებენ

ლევან ყენიამ სანკტ პეტერბურგის "ზენიტთან" კონტრაქტი 1+2 სისტემით გააფორმა, თუმცა, თუ რუსულ მედიას ვენდობით, ტრანსფერს ხელისშემშლელი ფაქტორი გამოუჩნდა.

"ზენიტის" ახალწვეული ლევან ყენია თბილისში იმყოფება და ჯერ ვერ ჩამოდის სანკტ პეტერბურგში. ამის მიზეზი რუსეთში შესვლის ნებართვის არქონაა. ამის მიუხედავად, ხვალ ყენიას ტრანსფერის შესახებ ოფიციალურად გამოცხადდება", - წერს "სპორტ დენ ზა დნიომ".

რუხაიამ გაიტანა, სირაძე დაბრუნდა

გუჯა რუხაია

გუშინ რუსეთში სტარტი აიღო პირველი დივიზიონის გათამაშებამ. ნალჩიკში "სპარტაკმა" 1:0 დაამარცხა "უფა". გოლი პენალტის ნიშნულიდან ქართველმა **გუჯა რუხაიამ** გაიტანა 49-ე წუთზე, მანვე რამდენიმე წუთში მეორე პენალტი ველარ გამოიყენა. 24 წლის რუხაია ბოლო წუთზე შეცვალეს, მეორე ტაიმიდან კი თამაშში **დავით სირაძე** ჩაერთო. *"მიზანი მიღწეულია – "სპარტაკს" შეუძლია, უკან, პრემიერლიგაში დაბრუნება"*, - განაცხადა რუხაიამ თამაშის შემდეგ.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ქართული ფეხბურთი

● ტრანსფერები

გია კვარაცხელია

კვარაცხელია დინამოში, თექთურმანიძე ირკვევა, დანარჩენები რჩებიან

თბილისის "დინამო" გუშინ ბაკურიანიდან დაბრუნდა და სეზონისთვის მზადებას საკუთარ ბაზაზე გააგრძელებს. 15-29 ივლისს კი უმცროსმა **დუშან უჰრინმა** მეორე მოსამზადებელი ეტაპი სლოვენიაში დაგეგმა.

ცნობილია, რომ „დინამომ" რუსთავის „მეტალურგიდან" მარჯვენა მცველი **გიორგი სეთურიძე** დაიმატა. სწორედ მაშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ თბილისურ კლუბში დაბრუნებულ „მეტალურგის" ყოფილ მმართველ დირექტორს, **ბუბა ტყავაძეს** "დინამოს" გაძლიერება კიდევ რამდენიმე რუსთაველით სურდა.

ლაპარაკი იყო რამდენიმე შესაძლო ტრანსფერზე - ცენტრალურ მცველ **გია კვარაცხელიაზე**, ორ საყრდენ ნახევარმცველზე, **ლუკა რაზმაძესა** და საქართველოს ნაკრების კანდიდატ **ირაკლი მაისურაძეზე**, ფლანგის შემტევ **რევაზ გეწაძეზე, გიორგი თექთურმანიძესა** და თავდამსხმელ **დიმიტრი ტატანაშვილზე**.

რუსთავის „მეტალურგის" მთავარმა მწვრთნელმა **კობა ჟორჟიკაშვილმა** "ლელოსთან" ორიოდე დღის წინ თქვა, რომ კვარაცხელიასა და თექთურმანიძეს თბილისის „დინამოდან" იჯარა მართლაც დაუსრულდათ და შესაძლოა, უკან დაბრუნებამ მოუნიოთო.

გუშინ კი რუსთაველთა კლუბის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა გადაწყვეტილი ამბავი გვითხრა: ევროპის ლიგის მატჩების დასრულების შემდეგ კვარაცხელია თბილისურ კლუბს დაუბრუნდება, თექთურმანიძის საკითხი კი ჯერაც წყდება. 21 წლის პლეიმეიკერი ჟორჟიკაშვილის გაზრდილია, მისი ეიმედება და იჯარის გაგრძელებით დაინტერესებული ამიტომაც არის.

სამაგიეროდ, ყველა დანარჩენი "მეტალურგში" დარჩება. არადა, "დინამოს" გულშემატკივრებს გეწაძისა და დიმიტრი ტატანაშვილის საკითხი გადაწყვეტილი ეგონათ, მაგრამ რუსთავული კლუბის ახალმა გენერალურმა დირექტორმა **გიორგი სააკაძემ** შემადგენლობის შენარჩუნება გადაწყვიტა.

მერაბ მამულაშვილი

● სავარაუდო ტრანსფერი

ხიზანეიშვილის ოთხი ვარიანტი

დინამომ გამოცდილ მცველს დაბრუნება შესთავაზა

დასრულებული სეზონის შემდეგ ოთარ ხიზანეიშვილი თბილისის "დინამოს" დაშორდა: თბილისელთა გულშემატკივრებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა გუნდის თავკაცთა გადაწყვეტილება, საკმაოდ კარგი თამაშის მიუხედავად, გამოცდილი მცველისთვის კონტრაქტი რომ აღარ გაეხანგრძლივებინათ.

მას შემდეგ 30 წლის მოთამაშეზე სხვადასხვა ინფორმაცია ვრცელდებოდა. ამბობდნენ, "ზესტაფონში" იწვევდნენო, მაგრამ სინამდვილეში, შესაძლოა, ისევ ... "დინამოში" დაბრუნდეს.

ჩვენი ინფორმაციით, თავდაპირველი გადაწყვეტილების მიუხედავად, თბილისურ კლუბში ხიზანეიშვილთან დაკავშირებით პოზიცია შეიცვალეს და დაბრუნება შესთავაზეს.

ფაქტია, რომ მოსამზადებელი ეტაპი დაიწყო, ცენტრალური მცველის პოზიციაზე კი კლუბს გაძლიერება სჭირდება, მით უფრო, რომ **გულვერდ თომაშვილი** გორის "დილაში" წავიდა, წვივის ძვლის მოტეხილობით ტრავმირებული **ლევან კაკუბავა** კი ახალი სეზონისთვის სრული დატვირთვით ემზადება. მაგრამ ცხადია, ჯერ ძნელია იმის თქმა, ფორმას როდის აღიდგენს.

მერე მოხდა ტრადიციული რამ - ინფორმაცია თბილისურ კლუბში არც უარყვეს და არც დაგვიდასტურეს. თავად მოთამაშეს კი ტელეფონი გათიშული ჰქონდა.

თუმცა, "დინამოს" კონკურენტები გამოუჩნდა – ხიზანეიშვილს კიდევ სამი კლუბი იწვევს, ქუთაისის "ტორპედო", გორის "დილა" და ისრაელის ლიგაატ ჰაალის ერთ-ერთი წარმომადგენელი.

მოლაპარაკება მალე დასრულდება და ხიზანეიშვილი გუნდთან ერთად სეზონისთვის მზადებას დაიწყებს.

მერაბ მამულაშვილი

ოთარ ხიზანეიშვილი

ფოტო: www.fcdianmo.ge

ფორმალობა მოგვარდა: კაჭკაჭიშვილი ფეროელია

ფოტო: fczestafoni.ge

საქართველოს ორგზის ჩემპიონს ახალწვეული ჰყავს – 24 წლის ცენტრალური მცველი **გიორგი კაჭკაჭიშვილი**, რომელთანაც სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

თუ გახსოვთ, "ლელო" ადრეც წერდა, რომ კაჭკაჭიშვილმა "ბათუმი" დატოვა და "ზესტაფონში" აპირებდა გადასვლას. გიორგი თავისუფალი აგენტი არ ყოფილა და მისი "ზესტაფონში" გადასვლა სავარაუდოდ კლუბებს შორის მოლაპარაკების გამო გაინელა..

189 სმ სიმაღლის კაჭკაჭიშვილი 2009/10 წლებში უკვე იყო "ზესტაფონში", მანამდე კი თბილისის "დინამოს" მეორე გუნდში თამაშობდა. კაჭკაჭიშვილმა კარგად ჩაატარა 2011/12 წლების სეზონის მეორე ეტაპი, პლეი აუტშიც რიგიანად წარმოაჩინა თავი და არაერთი გუნდის ინტერესი დაიმსახურა. მას კარგი თვალით უყურებდა ბათუმელთა დამრიგებელი **გია გურულიც,** მაგრამ ამ მცველს გაცილებით უკეთეს და ამბიციურ გუნდში გადასვლის შანსი მიეცა და გამოიყენა კიდეც.

კაჭკაჭიშვილს "ზესტაფონში" 33-ნომრიანი მაისური შეხვდა.

დავით თავართქილაძე

● სამზადისი

ურეკული სპარინგები

ზაფხულის მოსამზადებელ ეტაპზე ურეკი დაიტვირთა და უმაღლესი ლიგის გუნდებს მასპინძლობს.

გუშინ საჩხერეს "ჩიხურამ" ურაკში ე.წ. გაგუას სტადიონზე მორიგი საკონტროლო შეხვედრა მარტვილის „მერანთან" გამართა და 1:0 დაამარცხა - ერთადერთი გოლი **თორნიკე მუმლაძემ** გაიტანა.

მანამდე კი "მერანი" იმავე სტადიონზე ბათუმის „დინამოს" დაუპირისპირდა და 4:3 დაამარცხა.

პირველ ტაიმში მარტვილელები 0:3 აგებდნენ, თუმცა მეორე ნახევარში მდგომარეობა გამოასწორეს და ოთხი უპასუხო ბურთი გაიტანეს: ორჯერ **საბა ლომიამ, გიგა ჟვანიამ** (პენ), და **გიგა ამბროლაძემ**.

„მერანი" მომდევნო საკონტროლო მატჩს ფოთის „კოლხეთთან" 19 ივლისს გამართავს.

მერაბ მამულაშვილი

● სავარაუდო ტრანსფერი

ხუბუა კიევის დინამოში ისინჯება

ხოჯავას ეძვსი თვე გაუცდება

გოჩა ხოჯავა

ფოტო: fcdila.ge

გორის "დილა" სეზონის დასრულების შემდეგ რამდენიმე მოთამაშეს დაემშვიდობა. ერთ-ერთი მათგანი **გიორგი დევდარიანის** განწირთნილი 17 და 19-წლამდელთა ნაკრებების საყრდენი ნახევარმცველი **გიორგი ხუბუა** გახლავთ.

19 წლის ხუბუა "დილაში" ზამთარში მიიწვიეს, მაგრამ ფეხი ვერ მოიკიდა და ზაფხულში უკრაინას მიაშურა, სადაც კიევის "დინამოს" ახალგაზრდულ გუნდში გასინჯვაზეა და მესამე საკონტროლო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

ხუბუამ კიეველთა ახალგაზრდულ გუნდში უკრაინის ასაკობრივი ნაკრებების ქართველი წევრების, **თემურ ფარცვანიასა** და **ბადრი აქუბარდიას** მხარდამხარ, ჩერნიგოვის "დესნას" წინააღმდეგ პირველ ტაიმში ითამაშა, შეხვედრა კი 2:2 დასრულდა. გიორგი მეორე ტაიმში გავიდა დაბალი ლიგის "როსიჩთან' მატჩში (7:0) და საგოლე გადაცემა მიითვალა.

არ დადასტურდა ხმები "დილადან" **გოჩა ხოჯავას** წასვლის შესახებ: გოჩამ ოპერაცია გაიკეთა, მოედანს 6 თვის შემდეგ დაუბრუნდება და ასეთ დროს მის წასვლაზე ლაპარაკი უხერხულიც არის.

შესაძლოა, გორელებმა 6 თვით ბოლნისის "სიონში" იჯარით გაუშვან ნახევარმცველი **გიორგი მამუჩიშვილი** და თავდამსხმელი **რევაზ ბარაბაძე**. თუმცა ეს საკითხი ჯერ კიდევ გადასაწყვეტია.

მერაბ მამულაშვილი

● ოფიციალური განცხადება

დღეს გავრცელდა ინფორმაცია ფეხბურთელ სოსო გრიშიკაშვილის მხრიდან „დინამოს" მიმართ არსებული პრეტენზიების შესახებ. იმისთვის, რომ საფეხბურთო წრეების წარმომადგენლები და გულშემატკივრები არ იყვნენ შეცდომაში შეყვანილნი, გაცნობებთ კლუბის პოზიციას, რომელიც ეფუძნება ფეხბურთელთან დაკავშირებით არსებულ დოკუმენტაციას.

სოსო გრიშიკაშვილი ირიცხებოდა საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის" შემადგენლობაში 2011 წლის 01 ივნისის შრომითი კონტრაქტის საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადაც განისაზღვრებოდა 1 წლით, 2012 წლის 01 ივნისამდე.

კონტრაქტის დასრულების მომენტისთვის საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის" მიერ ფეხბურთელისთვის ანაზღაურებულია იმაზე მეტი, ვიდრე ეს საკონტრაქტო ვალდებულებიდან გამომდინარეობდა. ბუნებრივია, კლუბს გააჩნია შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია და მზადაა წარადგინოს ნებისმიერ ინსტანციაში.

აქვე გაცნობებთ კლუბის პოზიციას სოსო გრიშიკაშვილის მხრიდან ოპერაციის საფასურის ანაზღაურებასთან დაკავშირებით:

სოსო გრიშიკაშვილის ოპერაცია, რომელიც მან ჩაიტარა საზღვარგარეთ, არ ყოფილა შეთანხმებული კლუბის ხელმძღვანელობასთან და არც კლუბის ექიმის მხრიდან გაკეთებულა ოფიციალური მომართვა აღნიშნულის შესახებ. შესაბამისად კლუბს ოპერაციასთან დაკავშირებით არანაირი ნებართვა არ გაუცია.

სოსო გრიშიკაშვილსა და საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისს" შორის 2011 წლის 01 ივნისის შრომითი კონტრაქტის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ფეხბურთელი: ...ვალდებულია მკურნალობა გაიაროს კლუბის ექიმთან და ამ უკანასკნელის მიერ შერჩეულ სპეციალისტთან დამსაქმებლის მიერ შერჩეულ სამედიცინო დაწესებულებაში. თუ მოთამაშე თავისი შეხედულებისამებრ მოინდომებს მკურნალობას, დამსაქმებელი თავისუფლდება ხარჯებისაგან...

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ფეხბურთელ სოსო გრიშიკაშვილის პრეტენზიები საფეხბურთო კლუბ „დინამო" თბილისის მიმართ უსაფუძვლო და მიუღებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინფრასტრუქტურა

საევროპო სტადიონებზე რეკონსტრუქცია მიმდინარეობს

როდესაც გორის "დილა" საქართველოს თასს დაეუფლა და ევროპის ლიგაზე თამაშის უფლება მოიპოვა, ცნობილი გახდა, რომ უეფა ევროთამაშის მასპინძლობის უფლებას სამშენებლო ხარაჩოებში ჩასმულ "თენგიზ ბურჯანაძის" არენას არ აძლევდა. ამიტომ გორელთა შეფებმა უეფაში გაგზავნილ განაცხადში საშინაო არენად მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი დაასახელეს.
ამავე სტადიონზე ითამაშებს რუსთავის "მეტალურგიც" – ევროთამაშებისთვის რუსთავის სტადიონიც დაინუნეს, მისი განახლება ვერ ესწრებოდა და სხვა რა გზა იყო.
"მიხეილ მესხი" კი განახლების პროცესშია, დასავლეთ ტრიბუნაზე მოძველებული და ფერდაკარგული ინდივიდუალური სკამების აღება სეზონის დასრულებამდე დაიწყო და ახლის დასაგებად ემზადებიან. არადა, კარს მოგვადგა 12 ივლისი, როდესაც "მეტალურგი" ვაკის სტადიონზე განმეორებით საშინაო მატჩში ალბანურ "ტეუტას" უმასპინძლებს, 26-ში კი გორის "დილა" დანიურ "ორჰუსს" დახვდება. ესწრება თუ არა ინდივიდუალური სკამების დაგება და საერთოდ, რა სტადიაშია განახლების სამუშაოები "მიხეილ მესხზე", იმავე ეროვნულ სტადიონსა და სხვა ქალაქებში?



მიხეილ მესხის განახლება

ახლახან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უეფას გენერალური მდივნის, **ჯანი ინფანტინოსაგან** მიიღო ოფიციალური წერილი, რომელიც 2015 წლის ევროპის სუპერთასის გამართვას შეეხება. წერილში აღნიშნულია, რომ საორგანიზაციო საკითხებს სფფ გაუძღვება, რომლის საქმიანობაც უეფასთან იქნება კოორდინირებული. ევროპული ფეხბურთის შტაბბინა ქართული მხარეს უახლოეს მომავალში მიაწვდის შემდგომი საქმიანობისა და მატჩის საორგანიზაციოდ საჭირო ყველა მიმართულების (სტადიონი, ქალაქის ინფრასტრუქტურა, აეროპორტი) გეგმას.

"მიხეილ მესხის" განახლება ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას გადაეცა: მოიხსნა დამცავი მესერი და სივრცე და გარემო უკეთ გამოჩნდა, განახლდა გასახდელები, აშენდა ახალი პრესცენტრი, მოეწყო ვიპ-ლოჟა, საპრესკონფერენციო და სხდომათა დარბაზები.

ფეხბურთის ფედერაციის პრესცენტრში გვითხრეს, რომ ამჟამად დასავლეთ ტრიბუნაზე სკამების დამონტაჟებამდე შრომატევადი ჰიდროიზოლაციური სამუშაოები მიმდინარეობს, რასაც ხელს უშლის ბოლო დროს წამოსული წვიმები. სკამები ჩამოტანილია (თეთრი და ლურჯი) და მონტაჟიც მალე დაიწყება, მაგრამ მატჩებამდე მთლიანი დასავლეთ ტრიბუნის გადაფარვა ვერ მოხერხდება. ადგილების ეფექტურად ათვისების მიზნით, ტევადობის 30 ათასამდე გაზრდა სურთ, რაც შეუძლებელი არ ჩანს – ამჟამად 27 ათას მაყურებელს იტევს და გასაზრდელად რესურსი არსებობს.

ამას გარდა, პროექტის მიხედვით, სტადიონი საბოლოოდ მთლიანად გადაახურება, მაგრამ ეს ბოლო ეტაპის საქმეა. იგეგმება ელექტრონული შესასვლელების დამონტაჟება, რაც უეფას ერთ-ერთი უპირველესი მოთხოვნაა. სტადიონის დასავლეთ ტრიბუნების ქვევით არსებული ფართობის ნაწილი მიწისგან გათავისუფლდა და ამიერიდან პარკირებისთვის გამოიყენებენ.

ამ პროექტის სიკეთე ისიც არის, რომ ეროვნულ ჩემპიონატს ახალი, კოხტა სტადიონი შეემატება: "მიხეილ მესხზე" მდებარე სათადარიგო სტადიონის განახლებაც დაწყებულია. შეიცვლება მოედნის საფარი, დამონტაჟდება 3-4-ათასადგილიანი ტრიბუნა, აშენდება გასახდელები, საშხაპეები, მსაჯთა და დელეგატთა ოთახები, ანტისადოპინგო კაბინეტი.

ევროპული გამოცდილებით ეროვნულზე

ხარაჩოებშია ჩაფლული ეროვნული სტადიონიც, რომლის დირექტორადაც გელზერკირხენის "შალკეს" ასაკობრივ გუნდში ნათამაშები **ნიკა ჯღარკავა** დაინიშნა. ეს ახალგაზრდა კაცი შემთხვევით არ შეურჩევიათ, სტადიონზე ჯერ კიდევ 2005 წლიდან რიგით თანამშრომლად მუშაობდა, მერე სპორტული მენეჯერი იყო.

"მაისში ტურინში ყოველწლიურ სტადიონთა სამიტს დავესწარი, სადაც თავს იყრიან მსოფლიოს საუკეთესო სტადიონების ფუნქციონერები. მათგან საინტერესო და სასარგებლო რჩევები მივიღე, რაც "დინამო-არენისა" და მისი მიმდებარე ტერიტორიის განახლებისას წაგვადგება. სამუშაოები 10 მარტს დაიწყო და ივლისის ბოლოს დასრულდება. სტადიონის გარშემო სავაჭრო-კომერციული ფართობის მშენებლობა მიმდინარეობს, მოეწყობა დამატებითი საპირფარეშოები, ახალი ღია ავტოსადგომი, ახალი გაერთიანებული კეთილმოწყობილი სალარო, დაწყებულია წყალგაყვანილობისა და ენერგომომარაგების სისტემების რეაბილიტაცია, განათების სისტემის გაძლიერება და ა.შ.

იცვლება სტადიონზე შეღწევადობის კონცეფცია, მისი მაქსიმალურად გამარტივებისა და მაყურებელთა ნაკადის დიფერენცირების მიზნით, რასაც განახლებულ სტადიონზე მაყურებელი უმალ შეამჩნევს ახალი დიდი მანიშნებლების სახით, რომლებიც სტადიონს ძალზე მოუხდა.

გარდა ამისა, შეიცვალა და განახლდა უამრავი სამეურნეო სახის დეტალი. უახლოეს მომავალში ნავარაუდევია პრესლოჟის კონცეფციის შეცვლა და მისი უეფას უახლეს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, რომელსაც ახლახან ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნებული უეფას მედია ოფიცერი მამუკა კვარაცხელია ხელმძღვანელობს" – გვითხრა ნიკა ჯღარკავამ.

...და არა მხოლოდ თბილისში

საჩხერეს "ჩიხურამ" კი მეტოქის დასახვედრად ივანწმინდაში მდებარე სტადიონის რეაბილიტაცია-განახლება დაიწყო.

გორში "თენგიზ ბურჯანაძის" სახელობის სტადიონის განახლების პირველი ეტაპი აგვისტომდე უნდა დასრულდეს. მეორე ეტაპზე კი ჩრდილოეთ და სამხრეთ ტრიბუნების მშენებლობა იგეგმება, რის შედეგადაც ტრიბუნების ტევადობა 7,5-ათასამდე უნდა გაიზარდოს.

ქუთაისის "ტორპედოს" მეპატრონეებმა კი საღორიას სანვრთნელი ბაზის სრული რეკონსტრუქცია გადაწყვიტეს. სამუშაოები გულისხმობს ამორტიზებული ნაგებობების დემონტაჟს, საცხოვრებელი კომპლექსის ძირეულ რეკონსტრუქციას და ახალი ნაგებობის აშენებას, შიდა და გარე საინჟინრო კომუნიკაციის მონტაჟსა და ტერიტორიის კეთილმოწყობას.

მერაბ მამულაშვილი

● ლეგიონერი

რუსებმა ყენიაზე წერა დაიწყეს

ქართველი ტალანტის პლუს-მინუსი

ლევან ყენიას სანქტ-პეტერბურგის "ზენიტში" გადასვლას იქაური მედიაც ეხმაურება, ვებგვერდ "სპორტდიალოგზე" წერილიც გამოქვეყნდა ყენიას "ზენიტში" ტრანსფერის თაობაზე.

"ზენიტი" ნახევარდაცვას აძლიერებს და გათვლას პერსპექტივაზე აკეთებს. თითქოს ასეთი მიმართულება "ზენიტის" გულშემატკივრებისთვის სასიხარულო უნდა იყოს, ოღონდაც ახალგაზრდა ქართველი შუახაზელის, ლევან ყენიას ტრანსფერი ძალიან საკამათოა – თუ სურვილი არის, ამ 21 წლის ფეხბურთელს ძალიან ბევრ პლუსს გამოუძებნით, მაგრამ მისი ტრავმიანობა იბიექტურად იწვევს შიშსაც" – ასე იწყება ეს სტატია.

"საქართველომ ამ ბოლო დროს მოულოდნელად დაიწყო ვუნდერკინდების საფეხბურთო ბაზარზე გამოყვანა. მაგალითად, ის დითირამბები, რომელსაც **ჯანო ანანიძეს** უძღვნიდნენ ჯერ კიდევ მის დებიუტამდე მოსკოვის "სპარტაკის" ძირითადში, უკვე ალბათ თეთრ-წითლების გულშემატკივრებსაც მოჰბეზრდათ. ლევან ყენიაც ამ კოჰორტიდან უნდა იყოს", – იუწყება "სპორტდიალოგი" და როგორც ჩანს, კარგად არ არის გარკვეული ყენიას ბიოგრაფიაში, რადგან ლევანმა, ანანიძისგან განსხვავებით, ჯერ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში დაამტკიცა თავისი ნიჭი და მერე ეროვნულ ნაკრებსაც გამოადგა, მხოლოდ ამის მერე მოხვდა გელზენკირხენის "შალკეში".

სამაგიეროდ, რუსებს კარგად სცოდნიათ, რომ ყენია ჯერ თბილისის "დინამოს" ახალგაზდულ გუნდში იყო. ჩვენი მეზობლები საკითხს ასე აყენებენ – ან "დინამომ" ვერ დაინახა ყენიაში ნიჭი, ან ყენიას სხვა კლუბში უკეთესი პირობები შესთავაზეს ან სხვა მიზეზი გამოჩნდა – ფაქტია, რომ ყენიას "დინამოდან" წასვლამ მოუწიაო.

"თბილისის "ლოკომოტივის" ძირითადში 16 წლის ყენიამ სადებიუტო მატჩი ითამაშა, 2006-07 წლები სეზონში 11 შეხვედრა ჩაატარა და 3 გოლი გაიტანა, მომდევნო სეზონში კი 4 მატჩში 1 ბურთი შეაგდო", – რუსებს ეს ყველაფერიც სცოდნიათ.

რუსებს შეეშალათ და დაწერეს, ყენიამ, **ლევან მჭდლიძემ** და **გიორგი მაკარიძემ** ერთდროულად გაიკვლიეს გზა ევროპულ კლუბებშიო. "სპორტდიალოგმა" ის თანხაც გამოამზეურა, რომლის საფასურადაც ყენია "შალკეში" გადავიდა – 500 000 ევრო, თუმცა არ არის მითითებული წყარო, რაზე დაყრდნობითაც დაასახელეს თანხა.

"სპორტდიალოგი" სიმართლეს წერს: "ყენია "შალკეს" ძირითადს უახლოვდებოდა, დაიწყო თამაში, საკუთარი თავი ნიჭიერ, ძალიან ტექნიკურ შემტევ შუახაზელად წარმოაჩინა, მაგრამ რაოდენ ბანალურადაც უნდა ყლერდეს, ყენიას ხელი ტრავმიანობამ შეუშალა, კოჭი მას ადრეც აწუხებდა, 2009 წლიდან კი სიტუაცია გართულდა."

"ერთ ოპერაციას მეორე მოსდევდა, მაგრამ ხეირი აქედან არ ჩანდა. 2011 წლის დასაწყისში მან მოედანზე დაბრუნება სცადა, მაგრამ სექტემბერში ისევ დაშავდა და კვლავ გაურკვეველი დროით მოუწია მოედანთან განშორებამ, რითაც ერთგვარ უნიკალურ შედეგს მიაღწია – საქართველოს ნაკრებში უფრო მეტი მატჩი აქვს ჩატარებული, ვიდრე "ლოკომოტივში" ან "შალკეში". მალე ახალგაზრდა შუახაზელი ყველამ დაივიწყა, ცოტანი როდი იყვნენ ისეთები, შეუმჩნევლად რომ ნავიდნენ ფეხბურთიდან".

სტატიის ავტორმა ან არ აცის, ან უბრალოდ არ ჩათვალა საჭიროდ რუსი მკითხველისთვის ეთქვა, რომ ყენია მიმდინარე წელს **თემურ ქეცბაიამ** ალბანეთთან ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახა და რამდენიმე წუთით მოედანზეც შეუშვა; რომ ქეცბაიამ მას თურქეთთან მატჩისთვისაც დაუძახა, ხოლო **ალექსანდრე ჩივაძემ** ორჯერ სასატარტო შემადგენლობაში დააყენა, მათ შორის ახალგაზრდულის შესარჩევშიც ესტონეთთან.

"როცა გაჩნდა ინფორმაცია ყენიას "ზენიტში" შესაძლო გადასვლაზე, ყველამ დაიწყო იმის გადამოწმება, თუ რას წარმოადგენს ეს ფეხბურთელი და როცა გადაამოწმეს, პეტერბურგული კლუბის ხელმძღვანელობას ქოქოლა დააყარეს. ვაღიაროთ, ეჭვის საფუძველი არსებობს. ორ წელინადზე მეტი ხნით უთამაშებლობა მსუყე მინუსია ყენიას საფეხბურთო ბიოგრაფიაში. ისიც მართალია, რომ "ზენიტმა" ყენია მუქთად აიყვანა და ფრთხილი კონტრაქტიც გაუფორმა 1+2 სისტემით. თუმცა კითხვები "ზენიტის" მისამართით ისევ არის. შეთქმულების თეორიის მომხრეებმა უკვე გაიხსენეს, რომ პეტერბურგულ და გელზენკირხენულ კლუბებს საერთო სპონსორი ჰყავთ. რა თქმა უნდა, ყველანაირი ლაპარაკი მოთავდება, თუ ფეხბურთელი, რომელიც ნიჭს არ უჩივის, ათამაშდება. ახლა ყველაფერი ყენიაზეა დამოკიდებული, მის ჯანმრთელობასა და ზენიტელი ექიმების კვალიფიკაციაზე. მეორე შანსს, როგორც ცნობილია, ყველას არ აძლევენ."

სტატიის ბოლოს "სპორტდიალოგის" ჟურნალისტი დასკვნის მაგვარს აკეთებს და ყენიას დადებით და უარყოფით მხარეებს თავისებურად აყალიბებს.

პლუსები

ყენია ტექნიკური და სწრაფია, არცთუ ურიგო დარტყმა აქვს, მოედანს კარგად ხედავს, შეუძლია თამაშის თავის თავზე აღება და პარტნიორისთვის ჩინებული პასის შესრულება. თუ ჯანმრთელად იქნება, "ზენიტს" მოედნის ცენტრში კიდევ ერთი შემოქმედებითი ფეხბურთელი გაუჩნდება, თანაც მუქთად მოპოვებული.

მინუსები

ყენიას აყვანა რისკიანია, მაგრამ არის იმედი, რომ "ზენიტში" ესმით, ვინ უნდა აიყვანონ და რომ უკვე კარგად გამოიკვლიეს ეს ფეხბურთელი. კიდევ ერთი მინუსი: ფეხბურთელის ფორმა. როგორც უნდა იყოს, ორი გაცდენილი წელი, თანაც ასეთი ახალგაზრდა სპორტსმენისთვის, სერიოზული რამეა. ყველაფერ ამას ისიც ემატება, რომ ამბობენ, ყენიას დიდად არ უყვარს დაცვაში ჩამოსვლაო.

აი, ასეთია ერთ-ერთი რუსული საიტის პოზიცია. ვფიქრობთ, არ არის ურიგო, რომ ყენიას "ზენიტში" მისვლას უკვე მოჰყვა გამოხმაურება. არა გვგონია, რომ ყენიას ეთნიკური ნიშნით ვინმე კრიჭაში ჩაუდგეს, რუსული პრემიერლიგის მოწინავე კლუბებში არაერთ ქართველს უთამაშია და ასეთი რამ არავის არასდროს უთქვამს. წლობით უთამაშებელ ყენიას რუსეთის ჩემპიონმა შანსი მისცა და ეს ცოტას არ ნიშნავს. ჯანმრთელობა და ყენია რუსულ პრემიერლიგას თავს მოაწონებს – ასე მგონია და ალბათ, ასეც იქნება...

დავით თავართქილაძე

ინტერვიუ

კარგიდან ცუდში

დიმიტრი ტატანაშვილი: ბევრი რამ ისევ წინ მაქვს

- "ამერში" საუკეთესო თავდამსხმელად ითვლებოდი, თუმცა მწვრთნელი ხშირად შეცვლაზე გათამაშებდა და ეს ეფექტურიც კი იყო – მოედანზე შედიოდი და გოლი გაგქონდა – რუსთავის "მეტალურგშიც" აქეთკენ მიდის საქმე?

- რატომღაც ისე ხდება, რომ შეცვლაზე მართლა კარგად შევდივარ, თუმცა წინა სეზონს თუ ავიღებთ, საქართველოს ჩემპიონატში 12 გატანილი გოლიდან 9 მაშინ შევაგდე, როცა სასტარტოში ვიყავი. ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, გოლს როგორ გავიტან, მთავარია, რომ გუნდს გამოვადგე. ფაქტია, მოკლე დროში გამომდის გოლის გატანა, "ტეუტესთანაც" ასე მოხდა. გოლამდეც ვფლობდით უპირატესობას, მაგრამ არ გვიმართლებდა.

- "ტეუტეს" ბარიერის გადალახვა პრობლემა არ უნდა იყოს, მომდევნო ეტაპზე კი შენს ყოფილ გუნდთან, "პლზენთან" მოგინევთ შეხვედრა...

- "პლზენიდან" ორი წლის წინ წამოვედი და მას შემდეგ იქ ბევრი რამ შეიცვალა, გუნდი ჩეხეთის ჩემპიონი გახდა, თასიც მოიგო, შარშან ჩემპიონთა ლიგაზე ითამაშა. თქმა რად უნდა, რომ "ტეუტეზე" გაცილებით ძლიერი მოწინააღმდეგე გველის, "პლზენი" საშუალო ევროპული დონის გუნდია. ჩემს დროს "პლზენი" შემტევ ფეხბურთს თამაშობდა. წინა სეზონში ჩემპიონთა ლიგაზე გამოსვლის შემდეგ გუნდმა ხუთი ფეხბურთელი გაყიდა, მიუხედავად ამისა, "პლზენი" საკმაოდ სტაბილური გუნდია.

- ჩეხეთში რატომ გაგიჭირდა ფეხის მოკიდება? თითქოს ყველა პირობა არსებობდა იმისთვის, რომ წარმატებული კარიერა გქონოდა...

- ადაპტაცია, უცხო გარემოსთან, სხვა ხალხთან შეგუება გამიჭირდა, ენის ბარიერიც თავიდან ხელს მიშლიდა, "პლზენიდან" "კლადნოში" რომ გადავედი, უკეთესად ავთამაშდი, მეტი გოლიც გამქონდა, მაგრამ უმაღლეს ლიგაში ადგილი ვერ შევინარჩუნეთ...

- ამბობენ, ტატანაშვილი, ასე ვთქვათ, რეჟიმისტი არ იყო და ამან შეუშალა ხელი...

- რეჟიმისტი რომ არ ვიყავი, ეს უკვე წარსულს ჩაჰბარდა. როცა ახალგაზრდა ხარ, ხანდახან თავს აძლევ იმის უფლებას, რომ ზედმეტად გაერთო. ახლა უკვე გამოცდილი ფეხბურთელი მეთქმის და შეცდომებს აღარ გავიმეორებ, ბევრი რამ ისევ წინ მაქვს, ჯანს არ ვუჩივი.

- როგორც უნდა იყოს, დასანანია, როცა კარგი მონაცემების მქონე ფეხბურთელს დრო ეკარგება...

- ბევრი ნიუანსი იჩენს ხოლმე თავს. მე მაინც მგონია, რომ ყველაზე უფრო უცხო გარემოსთან ვერშეგუებამ შემიშალა ხელი.

- "ამერში" ორჯერ მოიგე საქართველოს თასი – ამ ეტაპზე რა არის შენი მოტივაცია?

- ჩემპიონობა ძალიან მინდოდა, გახდა კიდეც "მეტალურგი" საქართველოს ჩემპიონი, მაგრამ... ამაზე ლაპარაკი ახლა შორს წავიყვანს, ყველამ კარგად იცის, რატომ მოხდა ასე. წინა სეზონის მერე "მეტალურგი" რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა კი დატოვა, მაგრამ კარგი შევსებაც მივიღეთ, გუნდში სტაბილური ვითარებაა, თავის დროზეა ყველაფერი და მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა რეალურად შეგვიძლია.

- წინა ჩემპიონატში 12 გოლი გაიტანე, მომავალ სეზონში რამდენი გოლით იქნები კმაყოფილი?

- 15-20 გოლს თუ გავიტან, უკმაყოფილო ნამდვილად არ ვიქნები.

- ევროპიდან საქართველოში დაბრუნებას რა სიძნელეები ახლავს?

- ესეც თავისებურად ძნელია, კარგიდან ცუდში გინევს დაბრუნება. საერთოდ, ატმოსფეროს შეცვლა არ არის ადვილი. როცა საქართველოში ბრუნდები, მთავარი სირთულე არასათანადო სავარჯიშო და სათამაშო პირობებია.

- ისევ "პლზენს" დავუბრუნდეთ – ჩეხების დამარცხება რითი უნდა იყოს შესაძლებელი?

- ფიზიკურად კარგად ვართ მომზადებულები და თუნდაც ამის ხარჯზე შეგვიძლია წინააღმდეგობის გაწევა. "პლზენთან" წაგებას შეგუებულები ნამდვილად არ ვართ, დანარჩენი კი ვნახოთ. ეს ფეხბურთია...

დავით თავართქილაძე

დიმიტრი ტატანაშვილი

რუსთავის "მეტალურგმა" ევროპა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ალბანურ "ტეუტეს" სტუმრად 3:0 მოუგო, უპირატესობას მატჩის პირველივე წუთებიდან ფლობდა, თუმცა გოლის გატანა უჭირდა. რუსთაველთა დამრიგებელმა კობა ჟორჟიკაშვილმა მოედანზე დიმიტრი ტატანაშვილს უხმო და თავდამსხმელმაც თავისი საქმე გააკეთა – 77-ე წუთზე გაუტანა გოლი მეტოქეს და მერე ყველაფერი შლიგინით წაუვიდა "მეტალურგს".

ტატანაშვილი 31 წლისაა და ადრეულ წლებში ძალიან პერსპექტიულ ფეხბურთელადაც ითვლებოდა. კარიერის საუკეთესო პერიოდი თბილისის "ამერში" გაატარა, ერთხელ მისი გოლით დაამარცხა "ამერმა" თასის ფინალში "ზესტაფონი". ტატანაშვილი კლაუს ტოპმიოლერმაც მიიწვია ნაკრებში, ორ თამაშში ერთი გოლი გაიტანა, "ამერმა" თავისი საუკეთესო ფორვარდი სამასი ათას ევროდ გაასხვისა "პლზენში"....

მოკლედ, ტატანაშვილს გამოცდილება არ აკლია სხვადასხვა დონეზე...

მეფრინველი ბიბლიოთეკა



ვლადიმერ მუხანოვი

აქტობემ ტარაზს გაღაუფრინა

ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ქუთაისის „ტორპედოსთან" გასვლაზე ნაჩვენები 1:1-ის შემდეგ, ყაზახური „აქტობეს" ფეხბურთელები მშვენიერ ხასიათზე იყვნენ.

ვლადიმერ მუხანოვის შეგირდებმა გუნება-განწყობილება ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურში კიდევ უფრო გაიუმჯობესეს და კონკურენტ "ტარაზს" 4:1 მოუგეს.

პირველი ბურთი მე-8 წუთზე აქტიუბინსკელთა კარში გავიდა. თუმცა მე-20 წუთზე **თემურ კაპაძემ** ანგარიში მალე გაქვითა, **მარატ ხაირულინმა** (პენალტით, 36), **სერგეი კოვალჩუკმა** (42) და **პიოტრ ბადლომ** (50) კიდევ სამი გაიტანეს და "აქტობემ" 4:1 გაიმარჯვა.

აქტობელები 27 ქულით მე-6 ადგილიდან მე-5-ზე დაწინაურდნენ და ევროსაგზურის ზონას მიუახლოვდნენ. აღსანიშნავია, რომ ყაზახეთის ჩემპიონატის ლიდერთა ჯგუფში დაძაბული მდგომარეობაა და "აქტობეს" ჩემპიონობის იმედი გადაწურული სულაც არ აქვს – მუხანოვის გაწვრთნილები ლიდერ "ტობოლს" მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩებიან, ტურნირის დასრულებამდე კი 14 ტურია დარჩენილი.

შეგახსენებთ, რომ ყაზახეთში "აქტობესა" და "ტორპედოს" შორის განმეორებითი შეხვედრა 12 ივლისს გაიმართება.

მერაბ მამულაშვილი

ნოსტალგია

როდესაც სიბირი ქართული იყო

როგორ თამაშობდა 43 წლის მეგრელაძე?

ამ წერილს რუსი ფანების ინტერნეტგაზეთ "რუსფანში" სრულიად შემთხვევით წავაწყდით და ვფიქრობთ, მისი ნაწყვეტების გაცნობა არ გვაწყენდა – იმ უბრალოდ მიზეზის გამოც, რომ დღემდე არსად დაბეჭდილა.

იმიტომ, რომ დიდი ნოსტალგია იგრძნობა ქართველების, ჩვენი ფეხბურთის, რუსეთში ჩვენებით სავსე გუნდისა და წერილის ავტორმა ბოლო დროს მათთვის უჩვეულო სითბო და სიყვარული გამოხატა.

როგორც ცნობილია, ქართული ფეხბურთის ლეგენდამ **მერაბ მეგრელაძემ** კარიერა 43 წლის ასაკში ნოვოსიბირსკის "ჩკალოვეცში" დაასრულა, რომელსაც ახლა "სიბირი" ჰქვია და რუსეთის პირველ ლიგაში მეხუთე ადგილზეა.

ასე უტევდა მერაბ მეგრელაძე

"მე ნოვოსიბირსკელი ვარ და მსურს "სიბირის" "ოქროს ხანაზე" მოგითხროთ, როდესაც "ჩკალოვეცში" მრავალი ქართველი თამაშობდა. თემას ოდნავ გადავუხვევ და ვიტყვი, რომ მთელი ცხოვრება მოსკოვის "დინამოს" გულშემატკივარი ვიყავი და კიეველებიც მომწონდა. მაგრამ ყოველთვის ვაღიარებდი, რომ საბჭოთა კავშირში თბილისის "დინამოზე" კაშკაშა გუნდი არ ყოფილა. ზოგჯერ ისეთ სასწაულებს აკეთებდნენ, ბრაზილიელებსაც შეშურდებოდათ.

... 1996 წელს "ჩკალოვეცი" პირველი ლიგიდან გავარდა. მერე რამდენიმე მწვრთნელი შეიცვალა, მაგრამ ვერც ერთმა ვერ გააძართლა. მაშინ გუნდში ქართველი მხოლოდ ზუგდიდის "დინამოდან" გადმოსული მურთაზ ნაჭყეპია იყო, რომელიც გუნდში 18 წელი თამაშობდა. ის იყო ჭკვიანი და საოცრად ბრძოლისუნარიანი მცველი.

1997 წელს გუნდის მთავარ მწვრთნელად ნიჟნევარტოვსკის "სამოტლორიდან" სერგო ირემაშვილი მოიყვანეს... "ჩკალოვეცში" ოთხი ქართველი ჩაირიცხა: სოხუმის "დინამოს" მეკარე გოჩა ჟორჟოლიანი, "სამოტლორის" ნახევარმცველები: გელა წიქარიშვილი და მამუკა მანაგაძე, მაგრამ მთავარი შენაძენი მერაბ მეგრელაძე იყო, რომელიც ამ დროისთვის 42 წლის გახლდათ!

შემდეგ "ვეჩერნი ნოვოსიბირსკთან" მეგრელაძე იხსენებდა: "42 წლისა თამაშს აღარ ვაპირებდი. ირემაშვილმა მიმანიშნა, რომ ჩემი შვილის მიწვევა სურდა. მერე პასპორტი მომთხოვა და აღარ დამიბრუნა. ამას ნამდვილად არ ველოდი. რამდენიმე დღეში გავიგე, რომ სერგომ "ჩკალოვეცის" განაცხადში შემიყვანა. ეს კიდევ უფრო მეტი მოულოდნელობა აღმოჩნდა. მაგრამ ციმბირის დედაქალაქში ჩამოსვლა არ მინანია".

მეგრელაძემ პირველ სეზონში 5 გოლი გაიტანა, საიდანაც ორი მეორე ლიგის მატჩების მშვენება იყო, "ჩკალოვეცმა" კი მეორე ადგილი დაიკავა. ჟორჟოლიანმა კონტრაქტი აღარ გაგრძელა, გუნდმა ხაბაროვსკის სკა-დან გოჩა ჩიხრაძე დაიმატა, "კრილია სოვეტოვიდან" კი - მამუკა მინაშვილი.

ამ დროისთვის მეგრელაძე უკვე 43 წლის გახდა! რა თქმა უნდა, ტაიმის თამაშიც აღარ შეეძლო, თანაც იმ ტურნირში, სადაც ყველაფერს ფიზიკური მომადება წყვეტდა, მაგრამ ბოლო 15-20 წუთში, როდესაც ყველა იღლებოდა, ვეტერანმა "ჩკალოვეცი" არაერთხელ გადაარჩინა.

... მერე ნოვოსიბირსკის ფეხბურთში განხეთქილება მოხდა და ირემაშვილმა "ჩკალოვეცი 1936" ჩამოაყალიბა და ციმბრის ზონის ჩემპიონატში ასპარეზობდა. მასთან გადავიდნენ ნაჭყეპია, წიქარიშვილი და მანგაძე. "ჩკალოვეცოლიმპიკი" იური გავრილოვს ჩააბარეს და ჯერაც ახალგაზრდა რეზო ჯიქია შეიძინა. მაგრამ გავრილოვმა ვერაფერს მიაღწია და 13 გუნდში მხოლოდ 6 ადგილს დასჯერდა. ირემაშვილის გუნდმა კი ზონაში გაიმარჯვა და მეორე ლიგაში გადავიდა.

2005 წელს ნაჭყეპია კიდევ თამაშობდა, "ჩკალოვეცს" გოგიტა აქუბარდია დაემატა, შემდეგ ჩაირიცხა მამუკა ლომიძეც, რომელიც რუსეთიდან კიშინოვის "ზიმბრუში" გადავიდა.

სერგო ირემაშვილმა უფულობის გამო გუნდი 2006 წელს დატოვა, ნოვოსიბირსკისა და საფეხბურთო საქართველოს სიყვარულიც შეწყდა. ნუთუ, სამუდამოდ?"

მერაბ მამულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერი

პაცინიმ გადაწყვიტა: მივდივარ

კამბიასო კი სკუდეტოს უმიზნებს

ჯამპაოლო პაცინის "ინტერში" აღარ დაედგომება

გუშინ, ჯამპაოლო პაცინიმ საგანგებო ბრიფინგი გამართა და ერთობ მოულოდნელი განცხადება გააკეთა. 27 წლის ფორვარდის თქმით, "ინტერში" მას აღარაფერი ესაქმება და ამ ზაფხულს აუცილებლად დატოვებს კლუბს:

"კლუბის მესვეურებმა ახალი პროექტის განხორციელება დაიწყეს და ნათელია, რომ ამ გეგმებში მე არ ვფიგურირებ. იყო ლაპარაკი, რომ ნახევარი სეზონის განმავლობაში დამაკვირდებოდნენ და შემდეგ მიიღებდნენ საბოლოო გადაწყვეტილებას, მაგრამ 18 წლის ფეხბურთელი აღარ ვარ, რომ ჩემზე დაკვირვებები განხორციელდეს. ანდრეა სტრამაჩონიმ ძალიან კარგად იცის ჩემი შესაძლებლობები და რადგან დღეს არ ვჭირდები, არც მომავალში დავჭირდები. კლუბის მესვეურებს ტრანსფერზე დაყენება ვთხოვე და იმედი მაქვს, უახლოეს მომავალში ნავსაყუდელს გამოვიცვლი".

"გაძეტა დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პაცინის გადაბირების სურვილი უკვე გამოთქვეს მისმა ყოფილმა კლუბებმა, "ფიორენტინამ" და "სამპდორიამ"; თუმცა, არა გვგონია პაცომ იჩქაროს, რადგან დიდი შანსია, გაცილებით ამბიციური გუნდისგან მიიღოს შეთავაზება. რაც მთავარია, საინტერესოა რა პოზიციას დაიკავებენ მილანელები და რა ფასს დაადებენ წასასვლელად გამზადებულ ჯამპაოლოს.

სამაგიეროდ, **ესტებან კამბიასოს** აქვს ყველაფერი რიგზე და ჟურნალისტებთან ომახიან განცხადებებსაც აკეთებს – არგენტინელი ნახევარმცველის თქმით, "ინტერისტებს" დიდი გამარჯვებები მოენატრათ და სკუდეტოს მოსაპოვებლად ყველაფერს გააკეთებენ: "გასული სეზონი აშკარად ჩავაგდეთ, მაგრამ ამისგან ტრაგედია არ შეგვიქმნია და მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებთ. ყველას გვინდა, რომ გამარჯვება ყოველთვის ჩვენ დაგვრჩეს, მაგრამ ასე არ ხდება და ეს გაცნობიერებული გვაქვს. დაშვებული შეცდომები კარგად გავაანალიზეთ და მზად ვართ, რომ სკუდეტოსთვის ვიბრძოლოთ. დიახ, დიდ გამარჯვებებს მოწყურებულები ვართ და ერთი სული გვაქვს, როდის განახლდება სეზონი. კლუბის მესვეურები სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობენ, რაც წარმატების სანინდარია. ამასთან, არც ერთ ფეხბურთელს ტრავმა არ აწუხებს და იმედი მაქვს, ეს ტენდენცია სეზონის განმავლობაშიც შენარჩუნდება. ანდრეა სტრამაჩონის ენთუზიაზმი ჩვენთვისაც გადმომდებია, 24 საათი კლუბის საწვრთნელ ბაზაზეა და როდესაც ამას უყურებ, საქმეს კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდები".

ლაშა წიკლაური

ინტერი

ზემანის პირველი გამარჯვება

გორიელოს ტიფოზებმა შეუტიეს

ზდენეკ ზემანს გულშემატკივრები თბილად შეხვდნენ

იტალიური გუნდებიდან "რომა" ერთ-ერთი პირველი გახლდათ, რომელიც სანვრთნელ შეკრებას შეუდგა და ახალი სეზონისთვის მზადების პროცესი დაიწყო. "ჯალოროსის" მიმართ ინტერესი განსაკუთრებულად მაღალია, რადგან გუნდს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს, რომელიც პესკარული ტრიუმფის შემდეგ ჩავიდა "ტრიგორიაზე"... **ზდენეკ ზემანს** დიდი გეგმები აქვს, მან გუნდი სკუდეტოსთვის უნდა აბრძოლოს და ეს არა ჩვენი, არამედ თავად ჩეხი სპეციალისტის სიტყვებია. ჯერჯერობით, რომაელები სატრანსფერო ბაზარზე არ აქტიურობენ და ამას აქვს თავისი მიზეზი – მოვუსმინოთ თავად ზემანს და მიზეზსაც მივხვდებით:

"საწვრთნელი პროცესი ახალი დაწყებულია და შესაბამისად, ჯერ მიჭირს არსებულ რესურსზე ზუსტი წარმოდგენის შექმნა. ერთია, როდესაც გუნდს გარედან უყურებ და მეორე, როდესაც შიგნიდან გაეცნობი. ამიტომ, გარკვეული დრო დამჭირდება იმისთვის, რომ სუსტი რგოლები დავინახო და შემდეგ, სატრანსფერო კამპანია დავგეგმო. თუმცა, კამპანია ცოტა გადამეტებული ნათქვამია, რადგან წინასწარ ვარაუდით, მაქსიმუმ ორი-სამი ფრეხბურთელის დამატება ზეა ლაპარაკი. ბუნებრივია, რამდენიმე მოთამაშე დაგვტოვებს კიდეც და მათ ვინაობასაც მალე შეიტყობთ".

მოკლედ, რომაელებს ტრანსფერებისთვის ჯერ არ სცალიათ, მაგრამ ერთი სიახლე მაინც გვაქვს – "იუვენტუსის" მესვეურებმა **მარკო ბორიელოს** გამოსყიდვა არ მოისურვეს და ცენტრფორვარდიც "ჯალოროსის" დაუბრუნდა. გუშინ, "რომამ" ზდენეკ ზემანის თავკაცობით პირველი შეხვედრა გამართა და ამხანაგურად სამოყვარულო გუნდ "ბრუნიკო რისკონეს" გაეჯიბრა; ბუნებრივია, "მგლებმა" უპრობლემოდ გაიმარჯვეს და მეტოქეს გოლებიც უხვად გაუტანეს. საგულისხმო უფრო ის გახლდათ, რომ ჩეხმა სპეციალისტმა მისი საყვარელი ტაქტიკა, 4-3-3 გამოიყენა და ამით კიდევ უფრო დაგვარწმუნა იმაში, რომ "რომა" ახალ სეზონში ტრიოთი შეუტევს. აქვე, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ თამაშს "ჯალოროსის" საკმაოდ ბევრი გულშემატკივარი დაესწრო, რომლებიც ძალიან თბილად მიესალმენ ახალ მთავარ მწვრთნელს – სამაგიეროდ, ობსტრუქცია მოუწყვეს მარკო ბორიელოს, რომელმაც დედაქალაქში დაბრუნებამდე არაერთხელ განაცხადა, რომ ტურინში სურდა დარჩენა. მოკლედ, ბორიელოს საქმეები ვერ მიდის კარგად – ნახევარი სეზონი დასჭირდა იმისთვის, რომ "იუვეს" გულშემატკივრებს მისთვის არ დაესტვინათ და როგორც ჩანს, იმავე გზის გავლა უკვე რომში მოუწევს.

რომა-ბრუნიკო რისკონე 9:0

*რომა: **პირველი ტაიმი (4-3-3):** ლობონტი – ტადეი, ბურდისო, რომანიოლი, ანხელი – გრეკო, ფლორენცი, პიანიჩი – ლოპესი, ოსვალდო, ტოტი.*

***მეორე ტაიმი (4-3-3):** სვედკაუსკასი – როზი, ჟუანი, ჰაინცე (67. სიმპილისიო), ბერტოლაჩი (67. პისარო) – ვერე (67. პეროტა), მარკინიო – ბოიანი, ბორიელო, ლამელა.*

გოლები: 1:0 პიანიჩი (9), 2:0 ტოტი (16), 3:0 პიანიჩი (22), 4:0 ფლორენცი (28), 5:0 ოსვალდო (43), 6:0 მარკინიო (63), 7:0 ბოიანი (75), 8:0 ბორიელო (81), 9:0 სიმპილისიო (87).

ლაშა წიკლაური

ინტერი

იან რაიტი

"არსენალის" გარშემო ლაპარაკი არ წყდება და ალბათ კიდევ დიდხანს არ შეწყდება. ვეტერანი "მეთოფეები" პრესასთან თავიანთ მოსაზრებებს აფიქსირებენ. მაგალითად, მარტინ კიოუნი მიიჩნევს, რომ ჰოლანდიელი უნდა დარჩეს, იან რაიტი კი აცხადებს, რომ მას ესმის ფეხბურთელის იმედგაცრუების. გთავაზობთ ჩრდილოლონდონელთა ლეგენდარული თავდამსხმელის პოზიციას, რომელიც მან "სანის" ჟურნალისტს გაუზიარა.

გულშემატკივრის უფლება

ვენგერი უსარგებლო ტვირთისგან თავისუფლდება

- რობინ ვან პერსის არაფერში ვადანაშაულებ. ვფიქრობ, რომ მას, ფაქტობრივად, არჩევანი არც ჰქონდა, რადგან ის ამბიციური ფეხბურთელია, რომელსაც "არსენალში" მოსვლის შემდეგ არაფერი მოუგია. მგონი, დადგა დრო, რომ ვენგერმა და დირექტორატის ნევრებმა ფანებს აუხსნან კლუბში შექმნილი ფინანსური მდგომარეობა. მათ დიდი ხანია დაიმსახურეს ეს უფლება, რადგან გულმხურვალედ უჭერენ მხარს იმ კლუბს, რომელსაც 7 წელია არაფრისთვის მიუღწევია. რა ხდება "არსენალში"? რატომაა, რომ ამხელა რესურსების მქონე კლუბი ყოველ წელს მინიმუმ ერთ წამყვან ფეხბურთელს კარგავს? ყველაფერი 2007 წელს ტიერი ანრის წასვლით დაიწყო...არა, იქამდე ეშლი კოული წავიდა, მას მერე სესკ ფაბრეგასი, სამირ ნასრი, გაელ კლიში, კოლო ტურე, ემანუელ ადებაიორი. ყველამ რაღაცას მიაღწია. საქმე მხოლოდ ფულში არ არის. მათ ამბიციური კლუბები აირჩიეს და ტიტულების მოგებაზე დადეს ფსონი და არა პრემიერლიგაში ოთხეულში შეღწევაზე. პრობლემა ის არის, რომ "არსენალი" მზადაა, დიდი ფული დახარჯოს ხელფასებზე, მაგრამ არა ტრანსფერებში. სწორედ ამიტომ იყო, რომ ისინი რეალურად არც ჩართულან ედენ აზარისთვის ბრძოლაში. იგივე მოხდა შარშან ხუან მატას შემთხვევაში, იქამდე დავიდ სილვას ტრანსფერისას. ჰოდა მოვითხოვ, რომ ხმამაღლა ითქვას, აქვს თუ არა კლუბს ტრანსფერების ფული. შესაძლოა თანხები იმიტომ არ იხარჯება, რომ კლუბი ფინანსური ფეარ პლეის წესის შემოღებას ელის. დავიჯერო, ეს საკითხი მხოლოდ "არსენალში" ანუხებთ?

რემსიმ არაფერი იცის

"არსენალის" 21 ლის ცენტრალური ნახევარმცველის **აარონ რემსის** თქმით, მან და მისმა თანაგუნდელებმა არაფერი იციან რობინ ვან პერსის სიტუაციასთან დაკავშირებით და როგორც რიგითი გულშემატკივრები, ელოდებიან იმას, თუ როგორ განვითარდება მოვლენები: "პირადად ნამდვილად არ მჭირდება ამ ორომტრიალში მონაწილეობა. მე და ჩემს თანაგუნდელებს წარმოდგენა არ გვაქვს, თუ რა ხდება ჩვენი კაპიტნის თავს. ერთადერთი რაც დაგვრჩენია, ლოდინია. ვან პერსის წასვლა სერიოზულად დაგვარტყამს, მაგრამ გუნდმა უკვე შეიძინა ლუკას პოდოლსკი და ოლივიე ჟირუ. გუნდისთვის მათი მოსვლა სერიოზული ძალაა. იმედია, ახალწვეულები გუნდს მაქსიმალურად დაეხმარებიან".

მორიგი იუნიორი მეთოფე

"სქაი სპორტსის" ცნობით, "კანის" 17 წლის თავდამსხმელი **მ'ბაიე ნიანგი** "არსენალში" სინჯებზე იმყოფება და **არსენ ვენგერის** სიმპათიაც დაიმსახურა. თინეიჯერი ფეხბურთელით "ნიუკასლი" და "სტოკ სიტიც" არიან დაინტერესებულნი. *"მ'ბაიე ნიანგი საკმაოდ დიდ პოტენციალს ფლობს, რაც მას სერიოზული კარიერის გაკეთების საშუალებას მისცემს, მაგრამ ამ ეტაპზე მისთვის "არსენალი" საუკეთესო ვარიანტი ნამდვილად არ არის,"* – განაცხადა ლიგა 2-ში გავარდნილი გუნდის ახალმა თავკაცმა **პატრის გარანმა**. ნიანგს უახლოეს ორ შეხვედრაში "ანდერლეხტისა" და "საუთჰემპტონის" წინააღმდეგაც მოუწევს თავისი შესაძლებლობების დამტკიცება. მოლაპარაკებები კლუბებს შორის მხოლოდ ამის მერე დაიწყება.

ვენგერის გუნდი ზედმეტი ტვირთისგან თავისუფლდება. დიახ, სწორედ ასე შეიძლება ეწოდოს იმას, რომ "მეთოფეები" **მარუან შამახისა** (კონტრაქტი 2014 წლის ივლისამდე) და **იენ ჩუ პარკის** (2015-მდე) გასხვისებას ცდილობენ. მაროკოელის გადაბირება იტალიურ "ფიორენტინას" სურს, კორეელით კი ჯერ არავინ დაინტერესებულა. *"არანაირი პროგრესი პარკის საქმეში არ ყოფილა. წინადადება არავისგან მიგვიღია და შესაბამისად, სალაპარაკო აქ არაფერია. თუკი მისით ვინმე დაინტერესდება, შემოთავაზებას აუცილებლად განვიხილავთ. იჯარაზეც თანახმა ვართ,"* – ამბობს ვენგერი.

ლევან ბიბილაშვილი

მილანი

არც ისეა საქმე...

როგორც გალიანი ამბობს



ადრიანო გალიანი ერთს ამბობს და მეორეს აკეთებს...

ადრიანო გალიანიმ არაერთხელ განაცხადა იმის შესახებ, რომ "მილანისთვის" სატრანსფერო კამპანია უკვე დასრულებულია, მაგრამ როგორც ჩანს, არც მთლად მასეა საქმე. "კორიერე დელო სპორტის" მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, "როსონერის" წარმომადგენლები მანჩესტერში გახლდნენ ჩასულები, სადაც "სიტის" მესვეურებს შეხვდნენ და **ედინ ჯეკოს** ტრანსფერზე ჩამოუგდეს სიტყვა. ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, "ქალაქელები" მზად არიან, ბოსნიელ ფორვარდს 25 მილიონ ევროდ შეელიონ და მილანელებსაც ეს თანხა დაუსახელეს. თუ რა პოზიციას დაიჭერენ ლომბარდიელები, ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ერთი ფაქტია, კლუბის დირექტორატის წარმომადგენელმა, **არიედო ბრაიდამ** მანჩესტერელებთან წამოწყებული მოლაპარაკება არ უარყო:

"შედგა თუ არა შეხვედრა "სიტის" წარმომადგენლებთან? – ზუსტად ვერ გეტყვით, შეიძლება შედგა კიდეც, მაგრამ რა საკითხებზე, ეს ჩემთვის უცნობია, ვიცი, რომ სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას არ ვაპირებთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თუ სასურველი ფეხბურთელის შეძენის საშუალება მოგვეცემა, უარს ვიტყვით. უფრო მეტს და საინტერესოს, ამ ეტაპზე ვერაფერს გეტყვით".

ლაშა წიკლაური

უცხოური ფეხბურთი

ბრაზილია. სერია A-VIII ტური

უფრო ვარსკვლავური სერია A

რონალდინიო და კომპანია ჩემპიონობას უმიზნებენ

ბოტაფოგო-ბაია 3:0

გოლები: 1:0 სიდინიო (7), 2:0 სიდინიო (45), 3:0 ელკესონი (47)

ინტერნასიონალი-კრუზეირო 2:1

გოლები: 1:0 ოსკარი (8), 2:0 ლეანდრო დამიაო (37), 2:1 ლეო (65)

ატლ. გოიანიენსე-ნაუტიკო 0:1

გოლი: 0:1 არაუჟო (23)

ფლუმინენსე-ფლამენგო 1:0

გოლი: 1:0 ფრედი (11)

სანტოსი-გრემიო 4:2

გოლები: 1:0 ედუ (28), 2:0 ფელიპე ანდერსონი (39), 3:0 ნეიმარი (62), 4:0 ფელიპე ანდერსონი (70), 4:1 ვილსონი (78), 4:2 მარკინიოსი (90)

სან პაულუ-კორიტიბა 3:1

გოლები: 1:0 ჟადსონი (15), 2:0 მაიკონი (41), 2:1 რობინიო (71-პენ), 3:1 ოსვალდო (80)

შენიშვნა: ანდერსონ აკინო (კორიტიბა) 76-ე წუთზე შეცვალეს.

ფიგეირენსე-ვასკუ და გამა 1:1

გოლები: 0:1 დიეგო სოუზა (22), 1:1 რონი (78)

ატლ. მინეირო-პორტუგეზა 2:0

გოლები: 1:0 მარკოს როჩა (24), 2:0 ლეონარდო სილვა (52)

პონტე პრეტა-პალმეირასი 1:0

გოლი: 1:0 რიკარდინიო (16)

სპორტი-კორინთიანსი 1:1

გოლები: 0:1 ლიედსონი (75), 1:1 მარკინიოს გაბრიელი (89)

გაძევება: ფელიპე აზევედო (76. სპორტი)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ატლ. მინეირო	8	6	1	1	12-3	19
2. ფლუმინენსე	8	5	3	0	15-5	18
3. ვასკუ და გამა	8	5	2	1	15-11	17
4. სან პაულუ	8	5	0	3	11-9	15
5. ინტერნასიონ.	8	4	3	1	12-7	15
6. კრუზეირო	8	4	2	2	11-8	14
7. ბოტაფოგო	7	4	0	3	17-13	12
8. გრემიო	8	4	0	4	9-8	12
9. ფლამენგო	8	3	3	2	13-12	12
10. პონტე პრეტა	8	3	3	2	9-8	12
11. ნაუტიკო	8	3	1	4	9-15	10
12. სპორტი	8	2	3	3	8-10	9
13. პორტუგეზა	8	2	2	4	5-10	8
14. სანტოსი	8	1	5	2	7-7	8
15. ფიგეირენსე	8	1	5	2	8-10	8
16. კორიტიბა	8	2	1	5	13-16	7
17. ბაია	8	1	4	3	6-10	7
18. პალმეირასი	8	1	2	5	7-10	5
19. კორინთიანსი	7	1	2	4	4-8	5
20. ატლ. გოიან.	8	0	2	6	4-15	2

ბომბარდირები: 5 - ალექსანდრო (ვასკუ და გამა), არაუჟო (ნაუტიკო); 4 - ლუიზ ფაბიანო (სან პაულუ), ხერმან ერერა (ბოტაფოგო), ველინგტონ პაულისტა (კრუზეირო), ვაგნერ ლავი (ფლამენგო).

გამოტოვებული მაგჩი

11 ივლისი: **კორინთიანსი-ბოტაფოგო.**

მომავალი ტური

14 ივლისი: **კორინთიანსი-ნაუტიკო, ფიგეირენსე-ატლ. მინეირო, პონტე პრეტა-კორიტიბა.**

15 ივლისი: **ბოტაფოგო-ფლუმინენსე, ინტერნასიონალი-სანტოსი, კრუზეირო-გრემიო, ბაია-ფლამენგო, ვასკუ და გამა-ატლ. გოიანიენსე, პალმეირასი-სან პაულუ, სპორტი-პორტუგეზა.**

ინტერნასიონალის ფანები ახალწვეულ დიეგო ფორლანს ეგებებიან

ვარსკვლავთცვენა

ნეიმარი, ლუიშ ფაბიანო, ვაგნერ ლავი, ლეანდრო დამიაო, ჟო, ჟუნინიო პერნამბუკანო, **რონალდინიო**, **ანდრეს დ'ალესანდრო**... ახლა უკვე **კლარენს ზეედორფი** და **დეგო ფორლანი** - ვარსკვლავთცვენა, რომელსაც ბრაზილიის მორიგ ჩემპიონატში ნახავთ. ამიტომ „ლელომ" გადაწყვიტა, ამიერიდან ბრაზილიურ სერია A-ს სათანადო ყურადღება მიაქციოს (როგორც გასულ სეზონში), ჩემპიონატის დაწყებიდან კი სულ 8 ტურია გასული. ასე რომ, დიდად არც დაგვიგვიანია.

სერია A ბრაზილიაში, რომელსაც სპონსორის გამო ოფიციალურად *ბრაზილეირაო პეტრობრასი* ეწოდა, 57-ედ იმართება. „კორინთიანსი" მოქმედი ჩემპიონია, თუმცა სტარტი კატასტროფული აქვს, ბოლოსწინა, მე-19 ადგილზეა. ოთხი გუნდი პირდაპირ სერია B-ში ვარდება, პირველი ოთხეული კი ლიბერტადორესის თასზე ითამაშებს.

ჩვენი ჯარგი ნაცნობი

თქვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ „კორიტიბაში" მოთამაშე 26 წლის **ანდერსონ აკინოზე**, რომელმაც 2009/10 წლების სეზონი საქართველოში, რუსთავულ კლუბში გაატარა და 26 გოლიც გაიტანა. წლეულს მან „კორიტიბაში" ხუთჯერ ითამაშა და ერთი გოლიც გაიტანა (რესიფეს „სპორტის" კარში). შარშანდელი სეზონი აკინომ 21 მატჩში 5 გოლით დაასრულა.

რიო, სან პაულუ და სხვები

მოგეხსენებათ, ბრაზილიის ჩემპიონატს თავისებურ ხიბლს რიო დე ჟანეიროსა და სან პაულუს კლუბების ტრადიციული ხიშპობები ანიჭებს. სერია A-ში რიოს 4 გუნდია: „ბოტაფოგო", „ფლამენგო", „ფლუმინენსე" და „ვასკუ და გამა", ასევე 4 კლუბითაა წარმოდგენილი სან პაულუ: „კორინთიანსი", „პალმეირასი", „პორტუგეზა" და „სან პაულუ". 2-2 კლუბია პორტუ ალეგრედან („გრემიო" და „ინტერნასიონალი"), ბელუ ორიზონტედან („ატლეტიკო მინეირო" და „"კრუზეირო") და რესიფედან („ნაუტიკო" და „სპორტი). თითო წარმომადგენელი ჰყავთ ელიტაში: გოიანიას (ატლეტიკო), სალვადორს (ბაია), კურიტიბას (კორიტიბა), სალოიანოპოლისს (ფიგეირენსე), კამპინიასს (პონტე პრეტა) და სანტოსს (სანტოსი).

8 ტურის შემდეგ სერია A-ს 32 წლის რონალდინიოს ახალი კლუბი, „ატლეტიკო მინეირო" ლიდერობს (19 ქულა), რომელსაც მხოლოდ ქულით ჩამორჩება „ფლუმინენსე" და ორით „ვასკუ და გამა".

ვარსკვლავების წარდგენა

შაბათს, პორტუ ალეგრეში „ინტერნასიონალისა" და „კრუზეიროს" მატჩის წინ პუბლიკას „ინტერის" ახალი ფორვარდი, ურუგვაელი დიეგო ფორლანი წარუდგინეს, რომელიც აქ მილანის „ინტერიდან" მოხვდა. ფორლანი ჯერ გაცნობადში არ იყო, „ინტერმა" კი 2:1 მოუგო „კრუზეიროს" და ლიდერებს მიუახლოვდა. ჯერ ანდრეს დ'ალესანდრომ 20 წლის ნიჭიერ ნახევარმცველ **ოსკარს** გაატანინა. ოსკარმა, სხვათა შორის, საკმაოდ უხერხული პოზიციიდან გაიტანა ახლო კუთხეში, შემდეგ კი **დაგობერტოს** პასით თავი 22 წლის **ლეანდრო დამიაომ** გამოიჩინა. ამის მიუხედავად, მეორე ტაიმში მასპინძლებს ძალიან გაუჭირდათ, **ლეომ** გოლი მაკრატელა დარტყმით გაიტანა და ამის შემდეგ დაძაბულობას „ინტერის" კართან ბოლო წუთამდე არ მოუკლია.

ახალწვეულის პრეზენტაცია შედგა რიოშიც, „ბოტაფოგო" „ბაიას" მასპინძლობდა და პუბლიკამ ჰოლანდიელი ვეტერანი კლარენს ზეედორფი გაიცნო. არც ზეედორფს უთამაშია ჯერ. „ფოგაუმ" გაანადგურა სალვადორული კლუბი - 3:0, რაშიც დიდი დამსახურება 19 წლის **სიდინიოს** მიუძღვის. მან ჯერ თავურით გახსნა ანგარიში, შემდეგ კი მეორე გოლი შორიდან გაიტანა. 47-ე წუთზე **ელკესონმა** ეფექტური დარტყმით მესამე გოლი გაიტანა.

პირველი გამარჯვება იზეიმა სეზონში „სანტოსმა" და თან ეს დამაჯერებლად გააკეთა - „გრემიოს" 78-ე წუთამდე 4:0-ს უგებდა და მხოლოდ ამის მერე გაუშვა ორი გოლი. ერთ-ერთი გოლი **ნეიმარმა** გაიტანა. რიო დე ჟანეიროს დერბიში „ფლუსა" და „ფლას" შორის **ფრედის** ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა ყველაფერი „ფლუმინენსეს" სასარგებლოდ.

ბოტაფოგოს გულშემატკივრებს კლარენს ზეედორფი ესალმება

ჰატრიკ?

ამასობაში ლიბერტადორესის თასის მფლობელმა „კორინთიანსმა" გამოაცხადა, რომ „მილანის" ფორვარდის, **ალეშანდრე პატოს** შეძენა არ სურს. *„პატო რომ ოლიმპიურ გუნდში არ შეეყვანათ, მისი შეძენა კიდევ შეიძლებოდა, ახლა კი შანსი არ გვაქვს, ეს ტრანსფერი გამორიცხულია"*, - განაცხადა კლუბის დირექტორმა **რობერტო დე ანდრადემ**.

მიდი-მოდი ბრაზილიურად

ცოტაც და ნახევარმცველი ელანო კარიერას „გრემიოში" გააგრძელებს. **ელანომ** თავად დაწერა „ტვიტერზე", რომ „სანტოსი" მისი გაყიდვითაა დაინტერესებული. შეგახსენებთ, რომ 31 წლის ელანო მსოფლიომ „მანჩესტერ სიტიში" თამაშით გაიცნო. მას ბრაზილიის ნაკრებში 50 მატჩში 9 გოლი აქვს გატანილი.

აი, 23 წლის **პაულინიომ** კი განაცხადა, რომ „კორინთიანსში" უნდა დარჩენა და სულაც არ სურს მილანის „ინტერში" გადასვლა. არადა, იტალიური პრესა წერდა, რომ ბრაზილიელი უახლოეს დღეებში მილანში გადაბარგდებოდა. როგორც ჩანს, ყველაფერი ასე მარტივადაც არაა. „სან პაულუს" ლიდერმა **ლუკას მოურამ** კი განაცხადა, რომ გარანტიას ვერავის მისცემს, რომ კლუბს უერთგულებს. კონტრაქტით ლუკასი 2014 წლამდე „სან პაულუში" უნდა დარჩეს, მაგრამ მასზე ევროპულ გრანდებს, „ინტერს", „რეალს" და სხვებს ნამდვილი ნადირობა აქვთ გამოცხადებული.

ასევე შეიძლება „ფლამენგოში" ვიხილოთ გერმანული „ვოლფსბურგის" პლეიმეიქერი **დიეგო**, რომელმაც გასული სეზონი მაღალ დონეზე ჩაატარა მადრიდულ „ატლეტიკოში". ბრაზილიელებმა ფეხბურთელს მოსაფიქრებელი ვადა 10 ივლისამდე მისცეს, მერე კი სხვა ტრანსფერზე გადაერთვებიან.

და ტრაგედია

ძალიან ცუდი ამბავი მოხდა საფეხბურთო ბრაზილიაში - თამაშის დროს გარდაიცვალა 17 წლის ფეხბურთელი **არჟუნა ლუის რამოსი**, რომელიც „სან ბერნანდუში" თამაშობდა. ბრაზილიის ახალგაზრდულ ჩემპიონატში არჟუნა მოულოდნელად დავარდა მინდორზე და გონება დაკარგა. ფეხბურთელი სასწრაფოდ გადაიყვანეს ჰოსპიტალში, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს.

არგენტინელი აგენტი

ჩემპიონატი 3 აგვისტოს იწყება

არგენტინის ჩემპიონატი 3 აგვისტოს დაიწყება. არ გაჭრა ზოგიერთი კლუბის (მათ შორის, „ბოკა ხუნიორსის") თხოვნა, სტარტი 10 აგვისტოსთვის გადაეტანათ. ახალი სეზონიდან არგენტინის ჩემპიონატი ახალი ფორმატით გაიმართება. აპერტურას ამიერიდან ტორნეო ინისიალი ეწოდება, კლაუსურას კი - ფინალი. სახელს რომ თავი გავანებოთ და მთავარი ისაა, ჩემპიონი ორივე ტურნირის მიხედვით გარკვევა - ინისიალის გამარჯვებული „ოქროს მატჩში" შეხვდება ფინალის მომგებს. ელიტიდან ახლა უკვე 3 გუნდი ვარდება. „ოქროს მატჩი" შეიძლება არც ჩატარდეს, თუ ორივე ტურნირს ერთი გუნდი მოიგებს. და, რაც მთავარია, არგენტინას უბრუნდება დიდი დუელი - „ბოკა ხუნიორსი" „რივერ პლეიტის" წინააღმდეგ.

საპროტესტო აქცია რივერში

„რივერ პლეიტის" გულშემატკივართა ნაწილი, დაახლოებით 500 კაცი კლუბის ოფისთან შეიკრიბა და **დანიელ პასარელას** გადადგომა მოითხოვა. მათი უკმაყოფილება იმან გამოიწვია, თუ როგორ უცერემონიოდ მოექცა კლუბი ორ ფეხბურთელს, **ფერნანდო კავენაგისა** და **ალეხანდრო დომინგესს**, რომელთა წვლილიც ელიტაში დაბრუნებაში დიდი იყო. ფანებმა პასარელას გარდა, მწვრთნელ **მათიას ალმეიდას** გადადგომაც მოითხოვეს. ეს აქცია გულშემატკივრებმა „ფეისბუქისა" და „ტვიტერის" წყალობით დაგეგმეს

რიკელმეს ეხვეწებიან

„ბოკა ხუნიორსის" ფორვარდი **დარიო ცვიტანიჩი** იმედოვნებს, რომ ხალხი დააჯერებს **ხუან რომან რიკელმეს**, რომ დარჩეს გუნდში. *„ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი იყო ყველასთვის. ეჭვიც არ მეპარება, რომ რომანს კიდევ ბევრი სარგებლის მოტანა შეუძლია „ბოკასთვის"*, - განაცხადა ცვიტანიჩმა. აი, თავად ცვიტანიჩი კი ნამდვილად მიდის „ბოკადან", იჯარის ვადა დასრულდა, ის კი ისევ „აიაქსს" ეკუთვნის.

ნეიმარმა გოლების გატანა დაიწყო და სანტოსსაც ეშველა

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ლუკას ლეივასთან

ფერმერი ლუკასი

და ხმაურიანი პეპე ლივერპულის გასახდელში

ლუკას ლეივას შარშანდელი სეზონის დიდი ნაწილი ტრავმის გამო გაუცდა. ბუნებრივია, "ლივერპულის" ჩავარდნას მხოლოდ ბრაზილიელის არყოფნით ვერ ავხსნით, თუმცა ის ერთ-ერთი წინაპირობა რომ იყო, "წითლების" გულშემატკივრები ალბათ დაგვეთანხმებიან. გთავაზობთ ინტერვიუს 25 წლის ფეხბურთელთან, რომელიც მას საკლუბო ვებგვერდს მისცა.

- გახსოვთ დებიუტი პროფესიულ ფეხბურთში?

- დიახ, ეს იყო მატჩი "სანტუ-ანდრეს" წინააღმდეგ. მაშინ მე "გრემიოში" ვთამაშობდი. ზუსტი თარიღი არ მახსოვს, მაგრამ ეს დაახლოებით 6 წლის წინ იყო. შესანიშნავი დღე იყო ჩემთვის. 18 წლის ვიყავი. მოედანზე თამაშის დასრულებამდე 20 წუთით ადრე შევედი. აღნიშნული მატჩი ცხოვრების ბოლომდე მემახსოვრება.

- "ლივერპულში" დებიუტს როგორ გაიხსენებდით?

- პირველად "ტულუზთან" ვითამაშე ჩემპიონთა ლიგაში. მახსოვს, რომ 4:0 მოვიგეთ და მაშინაც შეცვლაზე ვითამაშე. ჩემთვის ეს დღე განსაკუთრებული იყო, რადგან იმ გუნდის რიგებში ვითამაშე, სადაც ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელი თამაშობს. ვუყურებდი თანაგუნდელებს და ბედნიერი გახლდით, რომ მათ გვერდით თამაშის პატივი მერგო. მაშინ ოცნება ამიხდა. ვამაყობ, რომ დღემდე ამ კლუბის წევრი ვარ.

- გუნდში ტრავმათა ეპიდემია რომ დაიწყოს და მწვრთნელმა უჩვეულო პოზიციაზე გთხოვოთ თამაში, კარში ჩადგებით, თუ თავდასხმაში წახვალთ?

- რა თქმა უნდა, თავდამსხმელად ვითამაშებდი. არ მგონია, რომ მეკარედ ვივარგო. მეკარეობა ძალიან სპეციფიკური პოზიციაა.

- მატჩის დღეებში რამე დიეტას თუ იცავთ?

- თუკი თამაში ადრეა დანიშნული, მირჩევნია, რომ მსუბუქად ვჭამო. გვიან თუ ვთამაშობთ, მაშინ ჩემს რაციონში თევზი და პასტაც შედის. ვფიქრობ, რომ ჩემს ფორმაზე ეს დადებითად მოქმედებს.

- რამე რიტუალი თუ გაქვთ მატჩამდე?

- არანაირი ცრურწმენა არ მახასიათებს. მხოლოდ იმას ვცდილობ, რომ თამაშის წინა დღეს მაქსიმალურად დავისვენო. როგორც წესი, ამ დროს შინ ვარ და ვცდილობ, რომ მეორე დღისთვის ძალები მოვიკრიბო.

- გასახდელში ყველაზე ხმაურიანი და აქტიური ფეხბურთელი ვინ არის?

- მუსიკაზე, რასაც მატჩამდე ვუსმენთ, პეპე (რეინა. რედ) აგებს პასუხს, ასე რომ, ჩვენთან საკმაოდ დიდი ხმაურია. მე, როგორც წესი, ჩუმად ვზივარ და კონცენტრირებას ვცდილობ. რასაკვირველია, მუსიკას შეუძლია თამაშამდე დადებითი მუხტის გაღვიძება ჩვენში, მაგრამ ყველა ადამიანი თავისებურია. ზოგს მაგალითად მოედანზე გასვლამდე მასაჟი უყვარს, ზოგი, პირიქით, ვერ იტანს. ყველამ ის უნდა აკეთოს, რაც თავის გამოჩენაში ხელს მაქსიმალურად შეუწყობს.

- მუსიკა, რომელსაც პეპე რთავს ნამდვილად კარგია?

- დიახ, ინგლისური და ესპანური მუსიკის ლამაზი სინთეზია. ეს მიქსი თითქმის ყველას მოსწონს და მასში რაღაც თავისას პოულობს. ჩვენს ინგლისელ თანაგუნდელებს ლამაზი ესპანური მუსიკა რა ხანია, შეუყვარდათ.

- თქვენი აზრით, "ლივერპულში" "ვარსკვლავებთან ცეკვის" საუკეთესო კანდიდატი ვინ იქნებოდა?

- ბრაზილიაში კარნავალის დროს ბევრი კარგი მოცეკვავის ნახვა შეიძლება. ჩვენთან კი არ მგონია, რომ ბევრი ასეთი მოიძებნოს. შესაძლოა, გლენ ჯონსონი. მე არ მინახავს, როგორ ცეკვავს ის, მაგრამ რატომღაც გავიფიქრე, რომ რიტმის კარგი შეგრძნება უნდა ჰქონდეს.

- თუკი საქმე ერთი დღით პროფესიების გაცვლაზე მიდგება, თქვენ ვის შეცვლიდით?

- ჩემი პროფესია ძალიან მიყვარს, თუმცა მომწონს ჩემი ძმის საქმიანობაც. ბრაზილიაში მას თავისი ფერმა აქვს. ის ცხვრის ფარას, ძროხებსა და ხარებს უვლის. როცა სამშობლოში ვბრუნდები ხოლმე, ყოველთვის ვცდილობ, რომ დავეხმარო. ამ საქმეს სიამოვნებით მოვკიდებდი ხელს.

- ფეხბურთის მიღმა ჰობი გაქვთ?

- როცა თავისუფალი დრო მაქვს, ვცდილობ, რომ ის ოჯახთან ერთად გავატარო. შინ ბანქოს ვთამაშობ, მაღაზიებში დავდივარ. ერთი სიტყვით, ვაკეთებ იმას, რასაც ჩვეულებრივი ადამიანები ანიჭებენ უპირატესობას.

- კარგია მამობა?

- ამ წუთას ყველაფერი მომწონს ამ სტატუსში. ჩემი ვაჟი სწრაფად იზრდება. ჩვენ ლივერპულში ცხოვრებით კმაყოფილები ვართ. როცა წამოიზრდება, მელვუდში ბურთს ჩემთან ერთად გააგორებს.

- მართლა კარგი მზარეული ხართ?

- ნამდვილად არა. კარგ საჭმელებს კი ვამზადებ, მაგრამ ეს არ არის ის, რაც სიამოვნებას მანიჭებს.

- რომელია საუკეთესო სტადიონი, სადაც სტუმრად თამაში ჩაგიტარებიათ?

- "არსენალთან" გასვლითი მატჩები მიყვარს და შესაბამისად "ემირიტსს" დავასახელებ. სტადიონიც დიდებულია და მოედანიც.

- საუკეთესო გოლი, რაც კარიერაში გაგიტან იათ?

- იმდენი გოლი სულ არ გამიტანია, რომ საქმე ასარჩევად მქონდეს. მით უფრო დიდ ფეხბურთში მოსვლის შემდეგ. საუკეთესო, რაც გამიტანია, ალბათ, "სტიაუასთან" იყო. "ლივერპულში" ჩემს პირველ გოლსაც არა უშავდა, კიდევ "გრემიოში" თამაშისას "პონტე პრეტას" გავუტანე ლამაზი ბურთი.

- ვინ არის საუკეთესო ნახევარმცველი, ვის წინააღმდეგაც ოდესმე გითამაშიათ?

- გულწრფელი პასუხისთვის დრო დამჭირდება მოსაფიქრებლად... მართლა რთული ასარჩევია... თუკი საწვრთნელ პროცესსაც მივათვლით, მაშინ სტივ ჯერარდი. კლუბის მიღმა რონალდინიო, მაგრამ კონკრეტულად მის წინააღმდეგ არასოდეს მითამაშია.

ლონდონი 2012

ურუგვაის ოლიმპიადაზე ედინსონ კავანისა და ლუის სუარესის სუპერდუეტი ეყოლება

ტაბარესის 17 რჩეული

ურუგვაის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ოსკარ ტაბარესმა** საბოლოო განაცხადში მოხვედრილი 17 ფეხბურთელის ვინაობა ამცნო საზოგადოებას. უმრავლესობა ადგილობრივ ჩემპიონატში გამოდის, თუმცა "სელესტემ" ევროპული გრანდებიდან სერიოზული შევსება მიიღო. "ლივერპულმა" სამხრეთამერიკელებს ორი ფეხბურთელი დაუთმო – **ლუის სუარესი** და **სებასტიან კოატესი**. ტაბარესის განკარგულებაში იქნება ასევე "ნაპოლის" სუპერფორვარდი **ედინსონ კავანი**. ჯგუფურ ეტაპზე ურუგვაელებს დიდი ბრიტანეთის, სენეგალისა და არაბეთის გაერთიანებული საამიროების წინააღმდეგ მოუწევთ ბრძოლა. მე-18 ფეხბურთელის ვინაობას გუნდის თავკაცი რამდენიმე დღეში დაასახელებს. შემადგენლობა ჯერჯერობით ასე გამოიყურება:

მეკარეები: მარტინ კამპანა (სერო ლარგო), ლეანდრო გელპი (პენიაროლი)

მცველები: მატიას აგირეგარაი (პალერმო), ემილიანო ალბინი (პენიაროლი), რამონ არიასი (დეფენსორ სპორტინგი), სებასტიან კოატესი (ლივერპული), დიეგო პოლენტა (ბარი), ალექსის როლინი (ნასიონალი)

ნახევარმცველები: მაქსიმილიანო კალსადა (ნასიონალი), ნიკოლას ლოდეირო (ბოტაფოგო), გასტონ რამირესი (ბოლონია), ედიგიო არევალდო რიოსი (პალერმო), ჯონათან ურუეტა-ვისკაია (ვიტორია გიმარაეში), ტაბარე ვიუდესი (ნასიონალი)

თავდამსხმელი: ედინსონ კავანი (ნაპოლი), ლუის სუარესი (ლივერპული), აბელ ერნანდესი (პალერმო)

ამბები

ჯოული მოხარულია

"ლივერპულის" 31 წლის ნახევარმცველმა **ჯო კოულმა** განაცხადა, რომ მოხარულია "ენფილდზე" დაბრუნების და იმისა, რომ **ბრენდან როჯერსი** მისთვის შანსის ბოძებას აპირებს. ინგლისის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი (ეროვნულ ნაკრებში ბოლოს მან 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის 1/8-ფინალში გერმანიასთან წაგებულ შეხვედრაში ითამაშა) ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრებას გეგმავს: *"ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ აქ ყველას დავუმტკიცო, თუ რა შემიძლია. იმედია, "ლილში" იჯარით გატარებული დრო და მიღებული სათამაშო პრაქტიკა ამაში ხელს შემინყობს. ნამდვილად აღარ მინდა აქედან სხვაგან წასვლა".*

შევჩენკო დინამოში რჩება

იტალიური "გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, კიევის "დინამოს" თავდამსხმელმა **ანდრეი შევჩენკომ** გადაიფიქრა სათამაშოდ ამერიკულ MLS-ში გადასვლა და მშობლიურ კლუბთან ახალი, ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს. შეგახსენებთ, რომ 35 წლის ფეხბურთელი ამერიკაში რამდენიმე დღის განმავლობაში იმყოფებოდა, სადაც რამდენიმე წინადადება განიხილა, თუმცა ვერც ერთმა ვერ მოხიბლა. ამერიკიდან ის მილანში ჩაფრინდა, სადაც მას მუხლზე ოპერაცია გაუკეთეს. "დინამოს" სპორტული დირექტორის **რეზო ჭოხონელიძის** თქმით, კლუბი მზადაა, ანდრეის კარიერის დასრულების შემდეგ კლუბშივე მოუნახოს სამსახური, თანაც მისთვის სასურველ სფეროში.

იოლი საქმე არ ყოფილა

ჯერ კიდევ კვირას საღამოს გაირკვა, რომ "ჩელსის" ექსფორვარდმა **სალომონ კალუმ** კარიერის გაგრძელება "ლილში" გადაწყვიტა. "ძაღლების" თავკაცის **რუდი გარსიას** თქმით, ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გუნდის წევრის დათანხმება იოლი საქმე არ იყო. "ეკიპმა" კომენტარი ფეხბურთელსაც სთხოვა. აი, რა თქვა 26 წლის კოტდივუარელმა: "ლილი" ამბიციური გუნდია. გარსიასთან კონტაქტი შარშანაც მქონდა, თუმცა წელს რაკი თავისუფალი აგენტი ვიყავი, ჩემთვის ბევრად უფრო იოლი იყო გადაწყვეტილების მიღება. ბედნიერი ვარ, რომ აქ ვარ". აქვე გეტყვით, რომ "ძაღლებს" "ბარსადან" **იბრაჰიმ აფელაის** გადაბირებაც სურთ და ჰოლანდიელის სანაცვლოდ 8 მილიონი ევრო აქვთ გამზადებული. კატალონილებთან მოლაპარაკების პროცესი შესაძლოა ამ დღეებშივე დაიწყოს.

ჩელსი ამერიკის ლიგის წინააღმდეგ

"ფრანს ფუტბოლის" ცნობით, 25 ივლისს "ლოს ანჯელეს გალაქსის" ვარსკვლავი **დევიდ ბექჰემი** და "ნიუ იორკ რედ ბულსის" ფრანგი ლეგიონერი **ტიერი ანრი** MLS-ის ნაკრების შემადგენლობაში ფილადელფიაში "ჩელსის" დაუპირისპირდებიან. ამერიკის ლიგის ნაკრების შემადგენლობა, ისევე როგორც ეს NBA-სა და NHL-ში ხდება, რიგითმა გულშემატკივრებმა დაასახელეს. აღსანიშნავია, რომ ზედიზედ მე-12 მოხვდა ამ გუნდში "გალაქსის" ლიდერი **ლენდონ დონოვანი**. ნაკრების ძირითადი შემადგენლობა ასე გამოიყურება: **ჯიმი ნელსენი** (კანზასი) – **სტივენ ბეიტაშური** (სან ხოსე), **ორელიან კოლენი** (კანზასი), **ჯეი დემერიტი** (ვანკუვერი), **ჰიტ პირსი** (ნიუ იორკ რედ ბულსი) – **დევიდ ბექჰემი, ლენდონ დონოვანი** (ორივე ლოს ანჯელეს გალაქსი), **დუეინ დე როსარიო** (დი სი იუნაიტედი), **გრემ ზუსი** (კანზასი) – **ტიერი ანრი** (ნიუ იორკ რედ ბულსი), **კრის ვონდოლოვსკი** (სან ხოსე)

ბიელსამ გადაიფიქრა

ბილბაოს „ატლეტიკის" არგენტინელმა მწვრთნელმა **მარსელო ბიელსამ** გუნდიდან წასვლა გადაიფიქრა, მაგრამ განაცხადა, რომ მისი ურთიერთობა კლუბის ხელმძღვანელობასთან ძველებური ვეღარ ექნება. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ შვებულებიდან დაბრუნებულ მწვრთნელს ბაზაზე ისევ რემონტი დახვდა და „ელ ლოკოკ" საკონსტრუქციო სამუშაოების მწარმოებელს ეჩხუბა. ამის გამო ის კლუბმა ოფიციალურად გაკიცხა, რაც ფიცხმა არგენტინელმა შეურაცხყოფად მიიყო და „ბილბაოს" დატოვების შესახებ გააკეთა განცხადება. ამის შემდეგ 2 დღე გავიდა და ემოციებიც დაცხრა, ბიელსამ წასვლა კი გადაიფიქრა, მაგრამ საბოლოოდ დაეძაბა ურთიერთობა კლუბის ხელმძღვანელობასთან.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

მანჩესტერ სიტი

მანჩინი, კიდევ 5 წლით

გუშინ „მანჩესტერ სიტის" იტალიელმა თავკაცმა **რობერტო მანჩინიმ** კლუბთან ახალი, 5-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა. 47 წლის სპეციალისტმა „სიტის" ბოლო 44 წელიწადში პირველი ტიტული მოუპოვა, როცა გასულ სეზონში პრემიერლიგა მოაგებინა. *„მოხარული ვარ, რომ კიდევ 5 წლით მეძლევა საშუალება მთელი ჩემი ენერგია „სიტის" მოვახმარო. ჩვენ ბოლოდროინდელ წარმატებას გამოვიყენებთ და დიდებულ გუნდს მივიღებთ. წინ ბევრი წინაღობა და გამოწვევაა და მე სიხარულით ვეგებები მათ"*, - განაცხადა მანჩინიმ.

რობერტო მანჩინიმ სიტისთან ახალი კონტრაქტი გააფორმა

უცხოური ფეხბურთი

● ამბები

ოტლი აუგსბურგში გადავიდა

მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებული „ჰერტას“ საყრდენი ნახევარმცველი **ანდრეას ოტლი** კარიერას „აუგსბურგში“ გააგრძელებს, რაც იმას ნიშნავს, რომ 27 წლის ფეხბურთელი პირველ ბუნდესლიგაში დარჩება. ბერლინელებმა ოტლი ყოველგვარი საზღაურის გარეშე დათმეს და ანდრეასმა აუგსბურგელებთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„ანდრეას ოტლის სახით გამოცდილი ფეხბურთელი გადმოვიბირეთ, რომელიც იდეალურ ასაკშია და დარწმუნებულები ვართ, რომ ჩვენს გუნდს გააძლიერებს“, - განაცხადა აუგსბურგელთა მენეჯერმა **მანფრედ პაულამ**.

ოტლს ბუნდესლიგაში 135 მატჩი აქვს ჩატარებული და შეგახსენებთ, რომ „ჰერტამდე“ მიუნხენის „ბაიერნისა“ და „ნიურნბერგის“ ღირსებას იცავდა. ანდრეასი „აუგსბურგის“ რიგით მეშვიდე ახალწვეულია – შვაბებმა მანამდე **რონი ფილიპი** (რეგენსბურგიდან), **ნოულეჯ მუსონა** (ჰოფენჰაიმიდან, არენდა), **კევინ ფოგტი** (ბოხუმიდან), **არისტიდ ბონსე** (ალ აჰლიდან), **რაგნარ კლავანი** (ალკმაარიდან) და **მილან პეტრჟელა** (პლზენიდან) გადაიბირეს.

დიეგოს ფლამენგო გამოუჩნდა

რიო დე ჟანეიროს „ფლამენგო“ „ვოლფსბურგის“ ბრაზილიელი გამთამაშებლით, **დიეგოთი** დაინტერესდა. კლუბის სპორტული დირექტორის, **ზინიოს** თქმით, „ფლამენგოს“ დიეგოსთვის კარგი შეთავაზება აქვს მომზადებული და ამ უკანასკნელმა გადაწყვეტილება დღეს-ხვალ უნდა მიიღოს.

შეგახსენებთ, რომ ტრავმის გამო დიეგო ახლა სწორედ სამშობლოში იმყოფება. გასულ სეზონში ის მადრიდის „ატლეტიკოში“ იყო განათხოვრებული.

დიეგო

ლაბადიას ტასკის დაკარგვის ეშინია

„შტუტგარტის“ მთავარი მწვრთნელი **ბრუნო ლაბადია** შიშობს, რომ კაპიტან **სერდარ ტასკის** დაკარგავს, რადგან ამ უკანასკნელს ძალიან ბევრი მთხოვნელი გამოუჩნდა. წინა კვირაში გავრცელებული ცნობების თანახმად, შვაბთა მცველს თვით „ბარსელონამაც“ დაუმიზნა, მაგრამ თავად ტასკიმ ეს ცნობა უარყო. თუმცა ლაბადიას თქმით, სერდარს ისედაც ბევრი მთხოვნელი ჰყავს.

„ტასკის დაკარგვა არ მინდა, რადგან ჩვენი გუნდის დაცვის ბურჯი და კაპიტანია. ისიც ვიცი, რომ მისი ღირსეული შემცვლელის პოვნა არ შეგვიძლია“, - განუცხადა ლაბადიამ „კიკერს“.

კითხვის ნიშნის ქვეშაა **კაკაუს** მომავალიც, რადგან ამ უკანასკნელს ჯერ არ უთქვამს, სურს თუ არა „შტუტგარტში“ დარჩენა, თუმცა ლაბადია წარმოშობით ბრაზილიელი თავდამსხმელის შემთხვევაში მშვიდადაა, რადგან სჯერა, რომ კაკაუ დარჩება.

ბრუნო ლაბადია

● ინტერვიუ. კევინ გროსკროიტცი



გერმანელი ექსპერტების საკმაოდ დიდი ნაწილი ფიქრობს, ევროპის ჩემპიონატზე, გერმანიის ნაკრებში ლუკას პოდოლსკის ადგილზე დორტმუნდელ კევინ გროსკროიტცს რომ ეთამაშა, შესაძლოა, ბუნდესგუნდს იტალიასთან არც წაეგო. ჩვენი გერმანელი კოლეგები იმაზეც ბჭობენ, რომ ბუნდესნაკრების ძირითადში თამაშის ახალი დორტმუნდელი და ბუნდესლიგის გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი მარკო როისიც იმსახურებდა – თომას მიულერის ნაცვლად. მართალია, იოახიმ ლიოვმა სხვანაირად გადაწყვიტა, მაგრამ როისსა და გროსკროიტცს თავ-თავიანთი შესაძლებლობების კიდევ ერთხელ დამტკიცების შანსი ახლა უკვე ერთად, „დორტმუნდში“ მიეცემათ. გერმანიის ჩემპიონისა და თასის მფლობელის ერთ-ერთ ლიდერს „ბილდის“ კორესპონდენტი გაესაუბრა – გთავაზობთ ინტერვიუს 23 წლის კევინ გროსკროიტცთან.

ჩვენ ისევ ძალიან მაგრები ვართ!

ჩემპიონთა ლიგაში მინიმუმ ჯგუფიდან უნდა გავიდეთ, სხვა შედეგი აღარ გვეპატიება

- იაკუბ ბლაშჩიკოვსკი, მარიო გიოტცე, ივან პერიშიჩი და ახლა უკვე მარკო როისიც, რომელშიც 17 მილიონი ევროა გადახდილი - „ბორუსიას“ ოთხი მაღალი დონის შემტევი ნახევარმცველი ჰყავს, ძირითად შემადგენლობაში კი მხოლოდ სამი ასეთი ფეხბურთელის ადგილია. ჰერ გროსკროიტც, ხომ არ გეშინიათ, რომ სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მოგიწევთ?

- სამი წელია, „ბორუსიას“ სასტარტო შემადგენლობაში ვთამაშობ. ამ სამი სეზონიდან ორჯერ გერმანიის ჩემპიონები გავხდით და ვფიქრობ, თუ მაქსიმალურად დავიხარჯები, ძირითადიდან ამოვარდნის არ უნდა მეშინოდეს. ხომ იცით, მე ყოველთვის მოტივირებული ვარ და თავს არასდროს ვზოგავ. ამიტომაც მჯერა, რომ სკამის ხეხვა არ მომიწევს.

> **ვფიქრობ, რომ ევროპის ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების განაცხადში ყოფნას ვიმსახურებდი**

- მიუხედავად იმ ყველაფრისა, რაც ახლა თქვით, გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იოახიმ ლიოვმა ევროპის ჩემპიონატზე არ წაგიყვანათ. კიდევ გიხილავთ ბუნდესგუნდში?

- პირადად ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ვფიქრობ, რომ ევროპის ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების განაცხადში ყოფნას ვიმსახურებდი, თუმცა მწვრთნელმა ჩემი წაყვანა საჭიროდ არ მიიჩნია. ჯერ ახალგაზრდა ვარ და რა თქმა უნდა, მაქვს იმის იმედი, რომ ლიოვი გამომიძახებს ხოლმე. იოგის ზარს ნაკრების ყველა თამაშის წინ დაველოდები და მე ჩემი მხრიდან ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ბუნდესგუნდში თამაში დავიმსახურო.

- „დორტმუნდი“ როისთან ერთად უფრო ძლიერია?

- ორი აზრი არ არსებობს: მარკო ბრწყინვალე ფეხბურთელია, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ შინჯი კაგავა დავკარგეთ... თუმცა როისის ტრანსფერი ძალიან მიხარია, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს გუნდს იდეალურად მოერგება. „დორტმუნდი“ მასთან ერთად, რა თქმა უნდა, უფრო ძლიერი იქნება.

- ანუ, ბუნდესლიგას თქვენი მომავალ სეზონშიც უნდა ეშინოდეს?

- ფაქტია, რომ ისევ ძალიან მაგრები ვართ და ამ სეზონშიც გულრწფელ, ვნებიან და ემოციურ ფეხბურთს ვითამაშებთ. ამასთან, „ბორუსიას“ ახალწვეულებიც გააძლიერებენ.

- ბოლოს და ბოლოს ჩემპიონთა ლიგაშიც უკეთ ითამაშებთ?

- იმედი გვაქვს, რომ ჯგუფიდან ამჯერად მაინც გავალთ. მეტიც: ახლა უკვე ვალდებულები ვართ, რომ მინიმუმ მერვედფინალში გავაღწიოთ, რადგან გერმანიის ჩემპიონი ზედიზედ ორჯერ ჯგუფში არ უნდა ჩარჩეს. ვფიქრობ, უკვე საკმარისად ძლიერები ვართ იმისათვის, რომ ევროპის ტოპკლუბებიც გავამწაროთ. გასულ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში სირცხვილი ვჭამეთ, მაგრამ, სამაგიეროდ, ბუნდესლიგა რეკორდული შედეგით დავიპყარით – სურათებს რომ ვათვალიერებ ხოლმე, თმა ყალყზე მიდგება. 81 ქულით გავხდით ჩემპიონები და თასიც მოვიგეთ – ეს ისტორიული მიღწევა იყო.

- სულით ხორცამდე დორტმუნდელი მათიას ზამერი „ბაიერნის“ სპორტულ დირექტორად დანიშნა. რეკორდმაისტერს BVB-ს გენებს ხომ არ გადაუნერგავს?

- ზამერი ბრწყინვალე ადამიანი და საუკეთესო პროფესიონალია, რაც ავტომატურად ნიშნავს

> **ამ სეზონშიც გულწრფელ, ვნებიან და ემოციურ ფეხბურთს ვითამაშებთ**

იმას, რომ „ბაიერნი“ მის ხელში გაცილებით ძლევამოსილი იქნება. ბავშვობაში მათიასი ჩემი საყვარელი ფეხბურთელი იყო – პირველ რიგში იმიტომ, რომ ყოველთვის უდიდესი თავდადებით იბრძოდა და არც ერთ ორთაბრძოლას არ გაურბოდა.

- ამას წინათ განაცხადეთ, შეიძლება „ბორუსიას“ ლოგო ამოვისვირინგოო...

- ამაზე მართლაც ვფიქრობ, რადგან „დორტმუნდი“ ყოველთვის ჩემი უსაყვარლესი გუნდი იყო და სიკვდილამდე ასე იქნება.

● ბაიერნი

მიუნხენმა პირლოსთან კონტაქტი უარყო!

იტალიური პრესის ცნობით, ბავარიელები იუვეს 10 მილიონს სთავაზობდნენ, მაგრამ უარი მიიღეს

მიუნხენის „ბაიერნის“ გულშემატკივრები სუპერტრანსფერზე მხოლოდ ერთი ღამის განმავლობაში ოცნებობდნენ: გუშინწინ საღამოს იტალიურ პრესაში გავრცელებული ცნობები იმის შესახებ, რომ რეკორდმაისტერი **ანდრეა პირლოს** გადაბირებას აპირებდა, ბავარიული გრანდის ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** გუშინ უარყო.

33 წლის პირლოს „იუვენტუსიდან“ „ბაიერნში“ შესაძლო გადასვლაზე „გაძეტა დელო სპორტი“, „ტუტოსპორტი“ და „კორიერე დელა სერა“ წერდნენ. მათ მიერ გავრცელებული ცნობების თანახმად, გერმანულმა გრანდმა „იუვენტუსს“ ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელში 10 მილიონი ევრო შესთავაზა, მაგრამ მიუნხენელებმა ტურინელებისგან უარი მიიღეს.

გუშინ სპეკულაციებს რუმენიგე გამოეხმაურა და თქვა, რომ არც მას და არც „ბაიერნის“ სხვა ხელმძღვანელებს პირლოზე არც კი უფიქრიათ. *„ბაიერნს“ „იუვენტუსისთვის“ კონკრეტული წინადადებით არ მიუმართავს. ჩვენ არც პირლოს აგენტთან დაგვიმყარებია კავშირი“*, - ნათქვამია რუმენიგეს ოფიციალურ განცხადებაში.

მარკიზიო?

სამაგიეროდ, რუმენიგემ კომენტარი არ გააკეთა **კლაუდიო მარკიზიოზე**, რომელიც პირლოს თანაკლუბელია. ჩვენმა იტალიელმა კოლეგებმა „ბაიერნთან“ მიმართებაში 26 წლის მარკიზიოც ახსენეს, რომელსაც იუვენტუსთან კონტრაქტი 2016 წლამდე აქვს გაფორმებული და მისი სავარაუდო ფასი დღეისათვის 28 მილიონი ევროა. „ბაიერნის“ განცხადებაში მარკიზიოს შესახებ არაფერია ნათქვამი.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

კარლ-ჰაინც რუმენიგემ ანდრეა პირლოთი დაინტერესება უარყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩაშლილი ტრანსფერი

ანდრე შიურლე ლევერკუზენში რჩება

ბაიერის უარი ჩელსის

ლონდონელები შიურლეში 20 მილიონს იხდიდნენ...

მარკო მარინის შემდეგ, რომელიც ლონდონში ბრემენის „ვერდერიდან" გადავიდა, „ჩელსის" კიდევ ერთი ახალგაზრდა გერმანელი ფეხბურთელის ყიდვა სურდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ლევერკუზენის „ბაიერის" გენერალურმა მენეჯერმა **ვოლფგანგ ჰოლცჰოიზერმა** „კიოლნერ ექსპრესისთვის" მიცემულ ინტერვიუში ოფიციალურად დაადასტურა, რომ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული 21 წლის გარემარბ **ანდრე შიურლეში** მინიმუმ 20 მილიონ ევროს იხდიდა.

„დიახ, „ჩელსის" ხელმძღვანელებმა კონკრეტული წინადადებით მოგვმართეს და მზად იყვნენ, ანდრეს სანაცვლოდ 20 მილიონი ევრო გადაეხადათ. ვფიქრობ, მოლაპარაკებების გაგრძელების შემთხვევაში 25 მილიონსაც კი გადაიხდიდნენ, მაგრამ ჩვენ უარი შევუთვალეთ, რადგან შიურლე ჩვენი გუნდის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია. ცხადია, აზრი თავად ანდრესაც ვკითხეთ და მანაც გვითხრა, „ლევერკუზენში" დარჩენას ვამჯობინებო. ვფიქრობ, ლოგიკური გადაწყვეტილებაა, რადგან „ჩელსი" ან სხვა გრანდები არსად გაიქცევიან, განვითარების საუკეთესო შანსი კი შიურლეს ჩვენთან აქვს", - აცხადებს 62 წლის ჰოლცჰოიზერი.

დე იონგი კანდიდატია, კარხავალიც

„ბაიერის" ბოსმა ისიც დაადასტურა, რომ „ტვენტეს" 21 წლის გოლეადორის, **ლუუკ დე იონგის** გადაბირებაზე ფიქრობს: *„მას დიდი ხანია ვაკვირდებით და ძალიან მოგვწონს. შედგება თუ არა ტრანსფერი, ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული."*

ჰოლცჰოიზერთან ერთად, თემას ლევერკუზენელთა სპორტული დირექტორი **რუდი ფიოლერიც** გამოეხმაურა: *„შიურლეს გაყიდვა ჩვენს გუნდს ნამდვილად შეასუსტებდა და თანაც, ეს ფანებსაც არ მოეწონებოდათ,"* - აღნიშნა 52 წლის „რუხმა მგელმა".

ჰოლცჰოიზერმა კი „კიოლნერ ექსპრესს" ისიც დაუდასტურა, რომ „ლევერკუზენს" „რეალის" ახალგაზრდა ტალანტის, **დანიელ კარხავალის** გადაბირება უნდა, რაზეც „ლელო" რამდენიმე დღის წინაც წერდა. *„კარხავალი ძალიან საინტერესო ფეხბურთელია. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დღესდღეობით ერთ-ერთი უნიჭიერესი მარჯვენა მცველია, რომელიც შეტევაშიც ძალიან ეფექტურად ერთვება ხოლმე,"* - ამბობს ჰოლცჰოიზერი. ესპანური „მარკა" წერს, 20 წლის კარხავალის „ბაიერში" გადასვლა გადაწყვეტილია და გერმანელები „რეალს" 5 მილიონ ევროს ჩაუთვლიანო...

● ამბები

ჩემპიონთა ლიგის ახალი სპონსორი: გაზპრომი

რუსულმა ნავთობგიგანტმა „გაზპრომმა" უეფასთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის ფარგლებში ჩემპიონთა ლიგისა და უეფას სუპერთასის სპონსორი იქნება. ეს ინფორმაცია გუშინ უეფამ ოფიციალურად დაადასტურა, ხელშეკრულების ფინანსური დეტალები კი არ დაკონკრეტებულა.

ამრიგად, 31 აგვისტოს მონაკოში დაგეგმილი სუპერთასის მატჩი, რომელშიც ერთმანეთს ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული „ჩელსი" და ევროპალიგის გამარჯვებული „ატლეტიკო" დაუპირისპირდებიან, სწორედ „გაზპრომის" სპონსორობით ჩატარდება.

შეგახსენებთ, რომ „გაზპრომი" „შალკეს" გენერალური სპონსორია, რუსეთში კი „ზენიტის" სახით სულაც, ფაქტობრივად, საკუთარი საფეხბურთო კლუბი აქვს. ცოტა ხნის წინ „გაზპრომმა" გერმანული ფეხბურთის ცოცხალ ლეგენდასთან, **ფრანც ბეკენბაუერთანაც** გააფორმა კონტრაქტი – „კაიზერ-ფრანცი" კომპანიის სპორტული კონსული გახდა.

შალკეს შეფი: მიზანი ჩემპიონთა ლიგაა!

„შალკეს" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **კლემენს ტიონიესმა** ახალ სეზონში გელზენკირხენელი კლუბის მიზნად საუკეთესო ოთხეულში მოხვედრა და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება დაასახელა.

„ჩვენ გვინდა, რომ გუნდმა კარგი და წარმატებული ფეხბურთი ითამაშოს. მიზანი კი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება უნდა იყოს. ვიცი, რომ „შალკეს" ფანები გერმანიის ჩემპიონობაზე ოცნებობენ, მაგრამ მე გუნდს ჩემპიონობას ვერ მოვთხოვ. ფანებთან ერთად, „ვერცხლის სინზე" მეც ვოცნებობ, მაგრამ ამ ეტაპზე ეს მხოლოდ ოცნებაა," - განაცხადა ტიონიესმა „შპორტ აინსისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

58 წლის ბოსმა **რაფაელ ვან დერ ვაარტზეც** ისაუბრა: *„ჩვენ რომ მისი გადმობირება ძალიან გვნდომოდა, მოვახერხებდით კიდეც. რაფაელი ძალიან კარგი ფეხბურთელია, მაგრამ „ტოტენჰემმა" მასში ძალიან ბევრი ფული მოითხოვა. შესაბამისად, ეს თემა ჩვენთვის უკვე დახურულია."*

ნიურნბერგი მარკოს ანტონიოს ელის

„ნიურნბერგის" ხელმძღვანელები ახალწვეულ **მარკოს ანტონიოს** ელიან, რომლის ტრანსფერი უსაშველოდ გაიწელა. ეს ყველაფერი კი 29 წლის ფეხბურთელის ყოფილი კლუბის, ბუქარესტის „რაპიდის" ბრალია, რომლის შეფები ირწმუნებიან, მარკოსს ახალი კონტრაქტი გავუფორმეთ და „ნიურნბერგში" უფასოდ გადასვლის უფლება არ აქვსო.

მარკოს ანტონიო კი ირწმუნება, რომ რაკი სამი თვეა, ხელფასი არ აუღია, ხელშეკრულება გაწყვიტა, რისი უფლებაც ჰქონდა და „ნიურნბერგთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. თუმცა ბუქარესტელები საჭირო საბუთების გადაგზავნას აგვიანებენ.

გერმანიის საფეხბურთო ლიგამ საქმეში ფიფა ჩართო. „ნიურნბერგის" აღმასრულებელი დირექტორი **მარტინ ბადერი** იმედოვნებს, რომ პრობლემა მალე მოგვარდება და მარკოს ანტონიო სრულფასოვანი ნიურნბერგელი გახდება.

გერეროს ყაზანში ეპატიჟებიან



ყაზანის „რუბინი" „ჰამბურგის" პერუელი თავდამსხმელის, **პაულო გერეროს** გადაბირებას ცდილობს და ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ჩრდილოგერმანული კლუბის ბოსები მის გაყიდვაზე სერიოზულად ფიქრობენ. მართალია, გერერო „ჰამბურგის" ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია, მაგრამ ხელფასიც ძალიან მაღალი აქვს (4 მილიონი ევრო წელიწადში), HSV-ს კი სახელფასო ფონდის შემცირება აქვს დაგეგმილი. „კიკერის" ინფორმაციით, „რუბინისა" და „ჰამბურგის" ხელმძღვანელებს შორის მოლაპარაკებები დაწყებულია.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

● ჰოლანდიის ნაკრები

კრუიფი განრისხდა: ვან გაალი? გაგიჟდით?

როგორც მოსალოდნელი იყო, ჰოლანდიური ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა **იოჰან კრუიფი** *ნაკრების მთავარ მწვრთნელად* **ლუის ვან გაალის** *დანიშვნას კრიტიკულად შეხვდა. 65 წლის კრუიფს ყველაზე მეტად ის არ მოსწონს, რომ 60 წლის ვან გაალის დანიშვნას წინ ორკვირიანი „იაფფასიანი პროპაგანდა" უძღოდა.*

„ჩემი აზრით, ვან გაალის დანიშვნა არ გადაწყვეტილა ისე სწრაფად, როგორც ამაზე ჰოლანდიური ფეხბურთის მამა-მარჩენლები საუბრობენ," - წერს 1974 წლის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გაზეთ „დე ტელეგრააფის" საკუთარ სვეტში ვან გაალზე, რომელიც ჰოლანდიის ნაკრებს 2000-დან 2002 წლამდეც წვრთნიდა და იქვე დასძენს: *„სწორია თუ არა ეს გადაწყვეტილება? ამ კითხვაზე სერიოზულ პასუხს ვერავინ გასცემს, რადგან ვან გაალის წარმატება თუ წარუმატებლობა მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევითობაზე იქნება დამოკიდებული. მე სწორედ ეს არ მომწონს!"*

შეგახსენებთ, რომ ჰოლანდიის საფეხბურთო კავშირმა ლუის ვან გაალი ნაკრების მთავარ მწვრთნელად 6 ივლისს გამოაცხადა და ლუისმა ამ პოსტზე ევროპის ჩემპიონატზე განცდილი ფიასკოს შემდეგ გადამდგარი **ბერტ ვან მარვიიკი** შეცვალა. ამ უკანასკნელის ხელში ჰოლანდიელებმა ევრო 2012-ზე ჯგუფური ეტაპიც კი ვერ გადალახეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა. ოლიმპიური ნაკრები

გუნდი დაასახელეს

გუშინ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციამაც ოფიციალურად დაასახელა ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობა თავისუფალსა და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

შეხვედრა საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში გაიმართა და მას ფედერაციის პრეზიდენტი **კახა გეწაძე**, გენერალური მდივანი **მალხაზ ჯორბენაძე**, „თავისუფალთა" ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ზაზა თურმანიძე** და სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი, ოლიმპიური ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში **დავით გობეჯიშვილი** ესწრებოდნენ. შეხვედრაზე არ ყოფილან ბერძენ-რომაელები, რომლებიც ამჟამად მინსკში გადიან შეკრებას.

ოლიმპიური გუნდის შემადგენლობა გეწაძემ დაასახელა, თუმცა არანაირი სიახლე - როგორც აქამდეც იყო ცნობილი, ლონდონში ლიცენზიების უშუალოდ მომპოვებელი ფალავნები იჭიდავებენ. „თავისუფალთა" ნაკრები იქ სრული შემადგენლობით იქნება წარმოდგენილი: **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55), **მალხაზ ზარქუა** (60), **ოთარ თუშიშვილი** (66), **დავით ხუციშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **გიორგი გოგშელიძე** (96), **დავით მოძმანაშვილი** (120). ბერძენ-რომაელთა ნაკრებმა მხოლოდ 55 კილოგრამში ვერ მოიპოვა ოლიმპიადის საგზური, სხვა წონებში კი **რევაზ ლაშხი** (60), **მანუჩარ ცხადაია** (66), **ზურაბ დათუნაშვილი** (74), **ვლადიმერ გეგეშიძე** (84), **სოსო ჯაბიძე** (96), **გურამ ფერსელიძე** (120) იჭიდავებენ.



„წლეულს ყველაზე მეტი ლიცენზია გვაქვს - 13 და მოჭიდავეებისა ძალიან გვეიმედება. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ლონდონიდან წარმატებით დაბრუნდეთ. გვინდა, ოქროს 2 მედალი მოვიპოვოთ, ხოლო ვერცხლ-ბრინჯაოზე არც ვლაპარაკობთ. წინა ოლიმპიადაზე დიდი შედეგი გვქონდა - 2-2 ოქრო და ბრინჯაო, რაც ჩვენთვის მაღალი პასუხისმგებლობაცაა, რადგან ახლა იმაზე ვნერვიულობთ, ნაკლები შედეგი არ გვქონდეს. თუმცა ჩვენი დევიზი ისევ ისეთია: „უკეთ, ვიდრე - პეკინში". ყველაფერს გავაკეთებთ ამ დევიზის გასამართლებლად" - განაცხადა გეწაძემ.

„გუნდი ძირითადად ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული, თუმცა ბოლო წლების შედეგებს თუ გადავხედავთ, ყველა მათგანი ტიტულოვანი ფალავანია. ოლიმპიადაზე სუსტები არ ხვდებიან. იქ ვინც მიდის, მედლის მოპოვების შანსი ყველას აქვს, თუმცა კონკრეტული პროგნოზებისგან თავს შეიკავებ. მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ ოლიმპიადაზე უბრალოდ მონაწილეობისთვის არ მივდივართ. ჩვენთან ლიცენზიების მოპოვება ძნელია, მაგრამ ყველამ დაიმსახურა, რაც ოტიმიზმის საფუძველს მაძლევს. გუნდში გვყავს ევროპის წლევანდელი ჩემპიონი, ხოლო შარშან მსოფლიოს პირველობაზე სამი ბრინჯაო მოვიპოვეთ და ერთმაც ამავე სინჯის მედლისთვის იჭიდავა. აქედან გამომდინარე ვამბობ, რომ გუნდი სტაბილურია და მისი გვეიმედება" - დაამატა თურმანიძემ.

ორივე გამომსვლელმა ხაზი გაუსვა გუნდების ახალგაზრდულ ასაკს - ბერძენ-რომაელთა გუნდში ყველა ოლიმპიადის დებიუტანტია, „თავისუფლებში" კი ანალოგიური გამოცდილება მხოლოდ თუშიშვილსა და გოგშელიძეს აქვთ. მონაწილეთა უმეტესობა 20-22 წლისაა, თუმცა გუნდის ყველაზე გამოუცდელი წევრი დათუნაშვილია, რომელიც შარშან ახალგაზრდულში გამოდიოდა, წლეულს კი ოლიმპიურ გუნდში ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **მანუჩარ კვირკველია** შეცვალა. მან ეროვნულ ნაკრებში მხოლოდ რამდენიმე საერთაშორისო შეჯიბრებაზე იჭიდავა.

თურმანიძეს გუნდის წევრთა ჯანმრთელობაზეც დავეკითხეთ. აღმოჩნდა, რომ მცირე ტრავმები მხოლოდ გუნდის უფროს წევრებს - თუშიშვილსა და გოგშელიძეს აქვთ, ახალგაზრდები კი ჯანმრთელად არიან. *„გოგშელიძეს მუხლის ტრავმა აწუხებს, მაგრამ მაინც ვარჯიშობს. რაც მთავარია - სრული დატვირთვით. თუშიშვილის საქმე ცოტა უფრო რთულადაა - მკლავიც სტკივა, საზარდულიც, მაჯებსაც იტკიებს, მაგრამ მისი გამოცდილებისა მაინც გვეიმედება"* - გვითხრა მწვრთნელმა.

ირაკლი თავაძე

ჭიდაობა. ევროპის ჭაბუკთა პირველობა

გადახალისებული გუნდები

17-22 ივლისს პოლონური კატოვიცე ჭაბუკ მოჭიდავეთა შორის ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს.

ჩვენი ნაკრების მწვრთნელებმა უკვე დაასახელეს იქ წასაყვანი შემადგენლობა. საამისოდ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ **თამაზ ბენდიანიშვილს** ორ წონაში საკონტროლო შეხვედრის დანიშვნა დასჭირდა. საბოლოოდ ამ გუნდში **შმაგი თოდუა** (42), **გიორგი პასიკაშვილი** (46), **გიორგი ლეჟავა** (50), **ლევან მურცხვალაძე** (54), **ედუარდ ნიკოლიშვილი** (58), **ტარზან მაისურაძე** (63), **ომარ გურჯიძე** (69), **გიორგი ჩხარტიშვილი** (76), **ირაკლი მწითური** (85) და **ბექა კახეთელიძე** (100) შეივიდნენ. აღსანიშნავია, რომ წლეულს ორივე ნაკრები ლამის ერთიანად გადახალისდა. ამ გუნდში შარშანდელი შემადგენლობიდან გურჯიძე, ჩხარტიშვილი და პასიკაშვილი დარჩნენ, ოღონდ ეს მაშინ 42-ში ჭიდაობდა. ამათგან გურჯიძე ევროპის ვიცე-ჩემპიონი გახდა, ჩხარტიშვილმა კი მსოფლიოზე ბრინჯაო მოიპოვა. ევროპის პირველობაზე გუნდის მთლიანი მონაგარი თითო ოქრო-ბრინჯაო და ორი ვერცხლია.

ბერძენ-რომაელთა დამრიგებელ **ვაჟა კრავეიშვილს** შემადგენლობის შესარჩევად საკონტროლო შეხვედრები არ დასჭირვებია, არჩევანი კი შემდეგ ფალავნებზე შეაჩერა: **თემურ შავაძე** (42), **რამაზ ზოიძე** (46), **ირაკლი შავაძე** (50), **გიორგი ხუჭუა** (54), **თემურ კვაჭაძე** (58), **მურთაზ ჩაბარავა** (63), **ნუკრი შავაძე** (69), **ნიკა გავაშელი** (76), **ნიკოლოზ კახელიშვილი** (85), **ზვიად პატარიძე** (100). ამ გუნდში შარშანდელებიდან მხოლოდ დარჩიძე შემორჩა და მაშინ ისიც 42-ში ასპარეზობდა. თუმცა დიდ წარმატებებს მიაღწია - ევროპაზე მესამე იყო, მოგვიანებით კი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. საერთოდ, ეს ბათუმელი ბიჭი უნიკალური მოვლენაა - ლამის პარალელურად გამოდის ჭიდაობის ორივე სახეობაში. მან ჭიდაობა სულაც „თავისუფალში" დაიწყო, მაგრამ მერე ბერძნულ-რომაულმა გადაძალა. წლეულს ორივეში გახდა საქართველოს ჩემპიონი, მაგრამ როცა საქმე არჩევანზე მიდგა, კვლავაც ბერძნულ-რომაული აირჩია, რადგან აქ ზურგს უკვე მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულიც უმაგრებს. ამ გუნდმა შარშანდელ ევროპირველობაზე ორი ვერცხლი და სამი ბრინჯაო მოიპოვა.

ევროპის პირველობაში თავდაპირველად „თავისუფლები" ჩაებმებიან. ჩვენები იქ 15 ივლისს, ბერძენ-რომაელები კი 18-ში წავლენ. აღსანიშნავია, რომ ამ გუნდს კრავეიშვილსა და **ზაზა ჯიბლაძესთან** ერთად მწვრთნელად ახლო წარსულის ცნობილი ფალავანი, მსოფლიოს ჩემპიონი **დავით ბედინაძეც** მიჰყვება.

ირაკლი თავაძე



ლიცენზიატი

ფორტეპიანოზე გაცვლილი შტანგა

რაულ ცირეკიძე

ლონდონის 30-ე თამაშებში საქართველოს 3 ძალოსანი იბრძოლებს ოლიმპიურ კვარცხლბეკზე ასასვლელად. ერთ-ერთი იქნება წლევანდელი ევროპის ჩემპიონი, ქუთაისელი რაულ ცირეკიძე (85 კგ), რომელმაც ტრავმა მოიშუშა და ჩვეული მუყაითობით ინტენსიურად ემზადება ოლიმპიადისთვის. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ 1997 წელს 10 წლის ყმაწვილი მამამ - ყოფილმა ძალოსანმა გია ცირეკიძემ ვაჟიშვილი დარბაზში მიიყვანა და შტანგას დააჭიდა.

- კარგა ხანს გრძელდებოდა „შინაომი" მეუღლესთან, - ღიმილით მიყვება ბატონი გია. - რაული სკოლაში ხუთებზე სწავლობდა, ფორტეპიანოზე უკრავდა (შვიდწლედი დაამთავრა - ვ.დ.) და შესანიშნავად მღეროდა. ერთხანს ფოლკლორულ ანსამბლშიც ირიცხებოდა. დედამისს სურდა, ამ მიმართულებით განეგრძო საქმიანობა, რამდენჯერმე კონკურსებზეც გაიმარჯვა, მე კი ჩემს ვცდილობდი - რასაც სპორტულ კარიერაში ვერ მივაღწიე, მინდოდა ვაჟიშვილს შეევსო ხარვეზი. ფორტეპიანო და შტანგა კი ვერ თავსდებოდა ერთმანეთში. არჩევანი რაულს მივანდეთ. ის კი ჩემს გზას დაადგა, რამაც ძალიან გამახარა. დღეს კი ოჯახში ყველანი კმაყოფილი ვართ...

ცხადია, ცირეკიძეებს კმაყოფილების მიზეზი ნამდვილად აქვთ - რაული ოლიმპიურ თამაშებში, სადაც მოხვედრა ნებისმიერი სპორტსმენის ოცნებაა, მეორედ იასპარეზებს და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი: წლეულს გაზაფხულზე ანტალიაში ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოიპოვა.

- ატაცი 160 კილოთი დავიწყე, 165-ით დავასრულე, რამაც მცირე ვერცხლის მედალი მომიტანა, - მითხრა ევროპის ჩემპიონმა. - ერთი კილოგრამით თურქმა ფათიხ ბაიდარიმ გამისწრო. თუმცა მასპინძელს საბოლოოდ 7 კილოთი ვაჯობე. რუმინელ გაბრიელ სინჩრაიანთან ერთად მან მეორე-მესამე ადგილები გაინაწილა.

ანტალიაში ურთულესი პაექრობები იყო - ფიზიკურიც და ფსიქოლოგიურიც. ოლიმპიური ჩემპიონი გიორგი ასანიძე, რომელიც თურქეთში გვასხლდა, ტელეფონით ხშირად უკავშირდებოდა დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე მყოფ ნაკრების მთავარ მწვრთნელ ვანო გრიქუროვს ტაქტიკის შესარჩევად. ანტალიაში მყოფ მწვრთნელებთანაც ათანხმებდა სამოქმედო გეგმას. გადაწყდა, რომ აკვრაში სანყის წონად 193 კილოგრამი შეგვეკვეთა. მისი დაძლევა არ გამჭირვებია, რადგან ვარჯიშებზე 203 კილოგრამიც მქონდა აკრული. რუმინელი სინჩრაიანი ორი კილოგრამით უფრო მძიმე შტანგას მოერია და ორჭიდში კილოგრამით გამისწრო. მეტიც უნდოდა, მაგრამ 198 კილოზე ორი ცდა გაუცუდდა. თურქმა ბაიდარიმაც 193 კილოგრამი მესამე ცდაზე დაიმორჩილა. ორთაბრძოლის ეს პერიპეტიები შეჯიბრების შემდეგ მიამბეს მწვრთნელებმა. ასპარეზობის მსვლელობისას მირჩიეს, ფიცარნაგზე მიმდინარე მოვლენებისთვის თვალყური არ მედევნებინა - საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელებმა და ბატონმა ვანო გრიქუროვმა მათემატიკური სიზუსტით გამოთვალეს, თუ როგორ ავსულიყავი ევროპის ჩემპიონატის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ჩემს წონაზე უნდა მეფიქრა და არ უნდა მცოდნოდა, მეტოქეთა დაძლეული სიმძიმეები. სწორი ფსიქოლოგიური გათვლა იყო: რომელიმე სინჯის მედალს თუ გავინაღდებდი, შესაძლოა, მესამე ცდაზე 200 კილო ვერ დამეძლია და ჩემპიონობა ხელიდან გამეშვა...

საბედნიეროდ, ასე არ მოხდა: მართალია, ორი კონკურენტი ნაადრევად ჩამოშორდა ოქროსთვის ბრძოლას, მაგრამ რჩებოდა გერმანელი ტომ შვარცბახი, რომელმაც შარშან პარიზის მსოფლიოს ჩემპიონატზე 205 კილოგრამი აკრა. ატაცში იგი 10 კილოთი ჩამორჩა ცირეკიძეს, მაგრამ ალემანს უწინდელი მიღწევა რომ გაეუმჯობესებინა და ცირეკიძეს მესამე ცდა გაცუდებოდა, მაშინ მხოლოდ ვერცხლს დასჯერდებოდა. რაულმა კი იოლად დაძლია 200 კილო და ორჭიდში 365 კილოგრამით კონტინენტის პირველობის ოქროს მედალი დაიმსახურა, რაც მის სპორტულ კარიერაში საუკეთესო შედეგია. 2004 წელს ათენის ოლიმპიადის შემდეგ, რაც ცირეკიძე თბილისში ვანო გრიქუროვთან გადმოვიდა სავარჯიშოდ, 2007 წელს ახალგაზრდების ევროპის პირველობაზე ორჭიდში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, მერე პეკინის ოლიმპიადაზე გამოვიდა და ასპარეზობა ატაცში 143 კილოგრამითა და მხრის ტრავმით დაასრულა. ნაოპერაციევი ორი წელიწადი იშუშებდა იარებს. 2010 წელს ფიცარნაგზე დაბრუნება 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედლით აღნიშნა. შარშან და შარშანწინ მსოფლიოს ჩემპიონატებზე საქართველოს ნაკრებს სალიცენზიო ქულები შესძინა და სალონდონოდ 3 საგზურის მოპოვებაში თავისი წვლილი შეიტანა.

- ანტალიურ ოქროზე თუ ფიქრობდი? - ვკითხე ჩემპიონს.

- ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად სამეულში მოსახვედრად მზად ვიყავი, თუმცა პირველობისთვის ეს არ იქნებოდა საკმარისი. დიდი როლი მწვრთნელების ზუსტმა ტაქტიკამ და სტრატეგიამ ითამაშა.

- ანტალიაში რამდენიმე სპორტსმენი იყო, რომლებსაც 85 კილოში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლა შეეძლოთ. საბედნიეროდ, ის დღე რაულის დღე აღმოჩნდა - ორივე მოძრაობაში ის წონა დაძლია, რამაც ოქრო მოუტანა, - დასძინა გია ცირეკიძემ.

- წლევანდელ ეროვნულ ჩემპიონატში არ გიასპარეზია...

- ტრავმა მქონდა და მწვრთნელებმა დასვენების უფლება მომცეს. ახლა ყველაფერი რიგზეა და სრული დატვირთვით ვვარჯიშობ. ყოველმხრივ ვეცდები, ლონდონში ქომაგები არ გავაწბილო.

- კერპები თუ გყავს?

- ჩემი ჭაბუკობისას კახი კახიაშვილის და გიორგი ასანიძის სახელები ყველას პირზე ეკერა. მისაბაძად მათზე უკეთესი ვინღა უნდა მყავდეს. ყოველთვის ვოცნებობდი, მათს მიღწევებს მივახლოვებოდი. ჩემპიონობა რომ მოვიპოვე, გიორგიმ მითხრა - ანტალიაში ჩემი 11 წლის წინანდელი მიღწევა გაიმეორე. ახლა ოლიმპიურ ფიცარნაგზე უნდა ეცადო მსგავს წარმატებასო. ყველაფერს გავაკეთებ ოცნება რეალობად ვაქციო.

- ძალოსნობის გარდა, რა გიტაცებს?

- ბავშვობისას ჭადრაკს ვთამაშობდი კარგად, ცურვა მიყვარს ძალიან. ჩაქვში თვეზე მეტ ხანს ვიყავით შეკრებაზე. თავისუფალ დროს ბიჭებს ვეჯიბრებოდი ცურვაში. ჰო, მართლა, ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი ვარ.

- ევროპის ჩემპიონატზე ვის ქომაგობდი?

- ჩვენი ძალოსანთა ნაკრები სამ ბანაკად იყო გაყოფილი. მე და გია მაჭავარიანს ესპანეთის ჩემპიობა გვინდოდა. პირენელეებმაც არ დაგვაღალატეს.

- როგორ ფიქრობ, საქართველოს ძალოსანთა ნაკრები საოლიმპიადედ მზად არის?

- ლონდონის თამაშებამდე დრო ჯერ კიდევ არის. ამჟამად დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე ვემზადებით. ჩვენმა ფედერაციამ, სპორტის სამინისტრომ და ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა წვრთნისა და აქტიური დასვენების ყველა პირობა შეგვიქმნეს. მწვრთნელებიც ბატონი ვანო გრიქუროვის ხელმძღვანელობით ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ ოლიმპიურ ფიცარნაგზე გამსვლისას მომზადების პიკში ვიყოთ. გაუთვალისწინებელი რამ თუ არ მოხდა, ვფიქრობ, იმედებს გავამართლებთ.

ვაჟა დანელია

რაულ ცირეკიძე (შუაში) ევროპულ კვარცხლბეკზე

ჩოგბურთი

ლიდერებმა უკან დაიხიეს

ანა ტატიშვილი

გუშინ ჩოგბურთელთა ახალი სარეიტინგო სიები გამოქვეყნდა. მართალია, ამ ორი კვირის განმავლობაში **ანა ტატიშვილმა** კარგად იასპარეზა (უიმბლდონის მე-2 ეტაპზე გავიდა და ბიელას ტურნირის ფინალში ითამაშა), მაგრამ შარშან კიდევ უკეთესად გამოვიდა, ამიტომაც ჩვენებურს ქულებიც დააკლდა და რეიტინგშიც ოდნავ დაქვეითდა. ანა 832 ქულით მსოფლიოს 76-ე ჩოგანია (-3 ადგილი). კიდევ უფრო შესამჩნევად დაიხიეს უკან საქართველოს მეორე და მესამე ჩოგნებმა: **მაკა ჩახნაშვილმა** 22 ადგილი დაკარგა კლასიფიკაციაში და 264 ქულით მსოფლიოს 223-ე ჩოგანი გახდა. **სოფიო შაფათავა** 44 საფეხურით დაქვეითდა, დღეს სოფიო 124 ქულით მსოფლიოს 347-ე ჩოგანია. აი, **სოფიო ქვაცაბაიამ** კი მნიშვნელოვნად წაინია - 101 ქულით 387-ე (+36) ჩოგანია. სხვები: 461 (+17) **თათია მიქაძე** - 69 ქულა; 494 (-53) **ეკა გორგოძე** - 61; 687 (+91) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 31; 694 (+9) **ნათია გეგია** - 31; 973 (+26) **ანი გოგვაძე** - 11.

ვაჟები: 1 132 (-) **ალექსანდრე მეტრეველი** - 5 ქულა; 1 179 (-) **გიორგი ცივაძე** - 4.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ქართული სპორტი

● ქადრაკი

ჯილდოები XXI საუკუნის შესაფერისად

ქუთაისში 8-12 წლის მოჭადრაკეთა ევროპის თასის გათამაშებაში 9 ქვეყნის 200-მდე წარმომადგენელი მონაწილეობს. გამარჯვებულებსა და პრიზიორებს შვიდ ტური გამოავლენს. პირველ-მეხუთე ადგილებზე გასულთ ჯილდოებად, შესაბამისად, ნოუთბუქი, ნეთბუქი, მობილური ტელეფონი, აიპოდი და ფოტოაპარატი ელით.

უკვე მიილია 4 ტურის პაექრობები. გაგაცნობთ სატურნირო მდგომარეობას ასაკების მიხედვით:

8-წლიანები. გოგონები. ნია დოღვანი, ლილე გუმბერიძე (ორივე - საქართველო) - 4-4 ქულა. **ბიჭები.** ნიკოლოზ კაჭარავა (საქართველო), სადიგ საგაიევი (აზერბაიჯანი) - 4-4, აჰმად აჰმადზადე (აზერბაიჯანი), ნიკოლოზ კევლიშვილი (საქართველო) - 3,5-3,5 ქულა.

10-წლიანები. გოგონები. თამარ ესაძე (საქართველო) 4, ზეინაბ ისმაილზადე (აზერბაიჯანი), ანასტასია სიდამონიძე (საქართველო) - 3,5-3,5 ქულა. **ბიჭები.** აბდულა ქადიმბაილი (აზერბაიჯანი) - 4, არტიომ ტრუბთანინოვი (რუსეთი), გიორგი ელაშვილი (საქართველო) - 3,5-3,5 ქულა.

12-წლიანები. გოგონები. ნინო ჯალაღონია - 3,5, მარიამ წამალაშვილი, ნატა ჯიბუტი (სამივე - საქართველო), ანი ივანიანი, მარიამ ავეტისიანი (ორივე - სომხეთი) - 3-3 ქულა. **ბიჭები.** აშოტ ფარვანიანი (სომხეთი) - 4, გურამ ჭელიძე, გურამ კოკაია (ორივე - საქართველო) - 3,5-3,5 ქულა.

დღეს მე-5 ტურის პარტიები გაიმართება.

ვაჟა დანელია

● შეკითხვა „ლელოს“

გოდერძი მახარაძე

შეკითხვა: დიდი ხანია არაფერი მსმენია გინესის მრავალგზის რეკორდსმენ გოდერძი მახარაძის შესახებ.

გთხოვთ მიპასუხოთ, სად არის გოდერძი და აგრძელებს თუ არა ბურთის თავით კენწვლის სრულყოფას და რეკორდების გაუმჯობესებას?

ლაშა სუგელიანი
ქუთაისი

პასუხი: ყოფილი ფეხბურთელი გოდერძი მახარაძე, მიუხედავად იმისა, რომ 12 ივლისს დაბადებიდან 40 წელი შეუსრულდება, კვლავ ჩვეულ სპორტულ ფორმაშია. ბოლო ორი თვის განმავლობაში ფეხბურთის ბურთის აკენწვლაში მან ზედიზედ 6 სარეკორდო ასპარეზობა გამართა მშობლიურ ოზურგეთში. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო თავზე გაჩერებული ბურთით 6615 მეტრის გავლა 1 საათსა, 8 წუთსა და 17 ნამში, რაც ამერიკელ აბრამ მუნოსის რეკორდს 2171 მეტრით აღემატება.

8 ივლისს ახალგაზრდებს შორის საპლაჟო ხელბურთში ევროპის ჩემპიონატის (ბათუმი) ფინალის საზეიმო ცერემონიის დროს მსოფლიოს (გინესის) მრავალგზის რეკორდსმენმა, ექსტრემალური სპორტის დიდოსტატმა გოდერძი მახარაძემ გამართა ორი სარეკორდო ასპარეზობა და თავისივე მიღწევები გაუმჯობესა:

1. უკუსვლით 100 მეტრი გაირბინა 58 წამში - წინა რეკორდი იყო 1 წუთი;

2. პლაჟის ქვიშაზე მდგარმა ცალ ფეხზე დგომა-მონაცვლეობით ბურთი 1200-ჯერ აკენწლა, ანუ თავისივე წინა რეკორდი 1076 (8:32 წუთი) 1 წუთით გაუმჯობესა.

ოლიმპიური საქართველო 1952-2012

ჰელსინკიდან-ლონდონამდე

„საქართველო თავისი ტერიტორიით, ადამიანური ბუნებრივი პატარა სახელმწიფოა, თავისი სპორტული ტრადიციებითა და პოტენციალით კი დიდი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება“.
ხუან ანტონიო სამარანჩი

ზაფხულის XXVII ოლიმპიური თამაშები, 2000 წ. სიდნეი, 15 სექტემბერი - 1 ოქტომბერი



ოთარ თუშიშვილი (თ. ჭიდაობა) - XV

თეიმურაზ ხურცილავა (კრივი) - 1/8


ემზარ ბედინეიშვილი (თ. ჭიდაობა) - XVII


ვალერი სარავა (ძალოსნობა) - XVII

მირიან გიორგაძე (ბ/რ ჭიდაობა) - XX

ინგა თავდიშვილი (მხ. ტანვარჯიში) - XXI

ნანა ნებიერიძე (წყალში ხტომა) - XXVI

სიდნეიში
დამოუკიდებელი
საქართველოს
ოლიმპიურ დელეგაციაში
ირიცხებოდა 36
სპორტსმენი
(დღეს წარმოგიდგენთ
სიდნეიში მოასპარეზე
საქართველოს კიდევ
18 ოლიმპიელს).
მონაწილე ქვეყანა: 199;
სპორტსმენი: 10651.

ნინო უჩაძე (ტყვ. სროლა) - XXVII, XXXIII


ხათუნა ქვრივიშვილი (მშვილდოსნ.) - 1/32

ხათუნა ფუტკარაძე (მშვილდოსნ.) - 1/32

ასმათ დიასამიძე (მშვილდოსნ.) - 1/32

გიორგი რევაზიშვილი (ძიუდო) - I წრე

გიორგი გუგავა (ძიუდო) - I წრე

ალექსი დავითაშვილი (ძიუდო) - I წრე

თამარ შანიძე (მძლეოსნობა) - კვალიფიკ.

რუსლან რუსიძე (მძლეოსნობა) - კვალიფიკ.


ზურაბ ბერიძე (ცურვა) - კვალიფიკ.

მუხრან გოგია (ძალოსნობა) - ტრავმა

„დიდი სპორტული ქვეყნების ტოლი, სწორი და ბადალი“ /ზაურ ბოლქვაძე/

● შვიდკაცა რაგბი. ევროპის გრან-პრი

ევროპის ჩემპიონისთვის მოგვიგია

ახლა მსოფლიოს თასისთვის ვიბრძოლებთ

გუშინ გაუწყეთ შვიდკაცა რაგბის ეროვნული გუნდის წარმატებული გამოსვლის შესახებ. დანიის ქალაქ ოდენსეში ევროპის გრან-პრის III ეტაპზე საქართველოს ნაკრებმა კახა ალანიას ხელმძღვანელობით 16 გუნდში მე-5 ადგილი და სინი დაიმსახურა.

შეგახსენებთ, რომ ჩვენი ნაკრები თასისთვის ბრძოლას პორტუგალიამ ჩამოაცილა, როცა მეოთხედფინალში 24:0 მოუგო. ამის მერე გადავერთეთ მე-5 ადგილისთვის ბრძოლაში და ორი ბრიტანული გუნდი, შოტლანდია და ინგლისი დავამარცხეთ. თასისთვის პლეი ოფი კი უწვენოდ გაგრძელდა: საფრანგეთის ნაკრებმა ნახევარფინალში ესპანეთი 21:0 გაანადგურა, ხოლო პორტუგალიამ უელსს დაძაბულ ბრძოლაში 24:17 მოუგო. მე-3 ადგილისთვის შეხვედრაში უელსელებმა დაამარცხეს იბერიელები - 21:17, ხოლო თასის ფინალში ფრანგებმა პორტუგალიელებს აჯობეს - 21:12.

მოკლედ, ოდენსეში ადგილები ასე გადანაწილდა: 1. საფრანგეთი, 2. პორტუგალია, 3. უელსი, 4. ესპანეთი, 5. საქართველო, 6. ინგლისი, 7. რუსეთი, 8. შოტლანდია, 9. იტალია, 10. ჰოლანდია, 11. გერმანია, 12. უკრაინა, 13. ბელგია, 14. რუმინეთი, 15. ლიტვა, 16. დანია. საქართველოს ნაკრებმა 6 თამაშში 11 ლელო გაიტანა და ამდენივე მიიღო, 11-დან 8-ჯერ გარდასახა. ყველაზე მეტი ქულა ნაკრებს **მერაბ შარიქაძემ** და **თედო ზიბზიბაძემ** შესძინეს - 15-15 (სამ-სამი ლელო). 12 ქულა **ლაშა ხმალაძის** ანგარიშზეა (2 ლელო), ამდენივე - **შალვა მახარაშვილის**. თითო ლელო დადეს **ბექა ბიწაძემ**, **გიორგი კალმახელიძემ** და **ალექსანდრე ნიჟარაძემ**. 2 ქულაც **ივანე დავითაშვილის** ანგარიშზეა.

ევროპის გრან-პრის სამი ეტაპის შემდეგ 50 ქულით პირველი ადგილი ინგლისმა დაიბევა, 48 ქულით მეორეზე პორტუგალია გავიდა, მესამე ადგილზე საფრანგეთია 45 ქულით. მოსკოვური ჩავარდნის გამო საქართველოს მხოლოდ 20 ქულა დაუგროვდა და მერვე ადგილზე დარჩა.

მაშ ასე, გუნდი, რომელსაც საქართველოს ნაკრებმა კვირას 21:14 მოუგო, ევროპის 2012 წლის ჩემპიონია შვიდკაცა რაგბიში!

ახლა შვიდკაცა რაგბის ნაკრები მსოფლიოს თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე გადაერთვება. გაისად მოსკოვში მსოფლიოს თასის ფინალური ეტაპი ჩატარდება 24 გუნდით. იქ სამ ევროპულ ნაკრებს გარანტირებული აქვს ადგილი: უელსს, ინგლისს და რუსეთს. ევროპას კიდევ 5 კვოტა აქვს გამოყოფილი, ამ ხუთი საგზურისთვის პორტუგალიურ ელგარვეში იბრძოლებენ A და B პულებად გაყოფილი 12 ნაკრები. ჩვენები A პულში მოხვდნენ მასპინძელ პორტუგალიასთან, შოტლანდიასთან, გერმანიასთან, ჰოლანდიასა და ლიტვასთან ერთად. მოკლედ, თუკი გუნდმა ოდენსეს შედეგი გაიმეორა - სინი მოიგო, ანუ მე-5 ადგილზე გავიდა - ის მსოფლიოს თასზე მოხვდება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● სუმო. ნაგოიას ბაშო. 8-22 ივლისი

ტოჩინოშინმა მეორეც მოიგო

ნაგოიას ბაშოს მეორე დღეს მხოლოდ ერთმა ქართველმა სუმოისტმა იმარჯვა - მე-4 მაეგაშირა **ტოჩინოშინმა** (**ლევან გორგაძე**) ოსი **არანი** დაამარცხა. ტოჩინოშინს ორი მოგება დაუგროვდა და დღეს **ტაკეკაძეს** შეერკინება. სამწუხაროდ, მე-7 მაეგაშირა **გაგამარუ** (**თეიმურაზ ჯუღელი**) სუსტად ასპარეზობს - გუშინ მან **ჰომაშოსთან** წააგო ორთაბრძოლა. ძურიოს დივიზიონში პირველი მარცხი იგემა **კოკაიმ** (**ლევან ცაგურია**).

ბაშოს ფავორიტთაგან პირველი ბულგარელი გოლიათი **კოტოოშუ** დამარცხდა, ვისაც სეკივაკე **გოეიდომ** აჯობა. დანარჩენები - იოკოძუნა და ოთხი ოძეკი - წარმატებით ასპარეზობენ ნაგოიაში.

ნიკოლოზ ნეფარიძე



II დღე

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-კიოკუტენჰო (სუკუინაგე), კოტოშოგიკუ-ამინიშიკი (ოშიდაში), ბარუტო-ტოიონოშიმა (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-მიოგირიუ (ოშიდაში), გოეიდო- კოტოოშუ (შიტატენაგე), კაკურიუ-აოიამა (ოკურიდაში), კისენოსატო-ოკინოუმი (იორიკირი), ტოჩიოძანი-ვაკაკოიუ (იორიკირი), შოჰოზანი-ტაკეკაძე (ჰიკიოტოში), **ტოჩინოშინი**-არანი (იორიკირი), ჰომაშო- **გაგამარუ** (უვატედაშინაგე). **ძურიო**: ტოსაიუტაკა-**კოკაი** (იორიტაოში).

III დღე

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-ამინიშიკი, ბარუტო-ოკინოუმი, ჰარუმაფუჯი-ტოჩიოძანი, კოტოოშუ-ვაკაკოიუ, კაკრიუ-მიოგირიუ, კისენოსატო-კიოკუტენჰო, კოტოშოგიკუ-აოიამა, ტოიონოშიმა-გოეიდო, შოჰოზანი-არანი, **ტოჩინოშინი**-ტაკეკაძე, **გაგამარუ**-ტაკაიასუ. **ძურიო**: **კოკაი**-იოშიაზუმა.

● ჭადრაკი

ინგა ჭარხალაშვილი

პოლონეთის ნაკრების წევრებსაც აჯობა

ცხრა შესაძლებლიდან 7 ქულით ვარშავაში კრისტინა რაძიკოვსკას მე-2 მემორიალი ქუთაისელმა დიდოსტატმა **ინგა ჭარხალაშვილმა** მოიგო, არადა, ტურნირში პოლონეთის ეროვნული გუნდის ორი წევრი გამოდიოდა.

ინგამ, ფაქტობრივად, ტურით ადრე გაინაღდა პირველობა, ამიტომ გუშინ სწრაფადვე დაუზავდა მასპინძელ კლაუდია ვიშნიოვსკას. გამარჯვებულს ნახევარი ქული ჩამორჩა ბათუმელი დიდოსტატი **ნინო ბაციაშვილი**, რომელიც ბოლო დროს მსოფლიო საჭადრაკო რეიტინგში საგრძნობლად დაწინაურდა. ნინომ გუშინ შავი ფიგურებით ჰოლანდიელი არლეტე ვან ვერსელი დაამარცხა. 5,5-5,5 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები პოლონეთის ნაკრების წევრებმა ივეტა რალიჩმა (ბოლო ტურში თანამემამულე პოროვსკას სძლია) და კარინა ჰოროვკამ გაიყვეს. თბილისელმა დიდოსტატმა **სოფიო გვეტაძემ** იოლად მოუგო ანა ივანოვს (პოლონეთი) და 4,5 ქულით მე-5 ადგილზე გავიდა. მართალია, ამდენივე ქულა ჰქონდა, სწორედ, ივანოვს, მაგრამ ჩვენებურმა უკეთესი კოეფიციენტით გაუსწრო. 3,5-3,5 ქულით მეშვიდე-მერვე ადგილები ვიშნიოვსკამ და ლაჩმა (ორივე-პოლონეთი) დაიკავეს, ხოლო ბოლო ორი ადგილი ჰოლანდიელებს - ანა ჰაასტსა (3) და არლეტე ვან ვერსელს (1,5) ერგოთ.

ვაჟა დანელია

ოქრო კოეფიციენტმა დააკარგვინა

არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში გუშინ დამთავრდა მოზარდთა დუბაის მე-12 საჭადრაკო ფესტივალი, რომელშიც საქართველოს ოთხი წარმომადგენელი მონაწილეობდა. განსაკუთრებით **გიორგი სიბაშვილმა** იყოჩაღა: მერვე ტურში იგი უკრაინელ ვოლოდიმირ ვეტოშკოს დაუზავდა, გუშინ კი შავი ფიგურებით შანეფეს მერედოვს მოუგო და 8 ქულა მოაგროვა, როგორც ალ-რაშედი მაიედის მძლეველმა ვეტოშკომ, ოლონდ უკრაინელს უკეთესი კოეფიციენტი აღმოაჩნდა და პირველ ადგილზე გავიდა. ვერცხლის მედალი სიბაშვილს ხვდა. 7-7 ქულა 8 მოჭადრაკემ მოაგროვა, მათ შორის **ნინო ხომერიკმა**, რომელიც ბოლო ტურში სიავოშ ვაიდანის დაუზავდა. ქართველ გოგონას სხვებზე უკეთესი კოეფიციენტი აღმოაჩნდა და ბრინჯაოს მედალი ერგო. **ანა თოდაშვილმა** 6,5 ქულით მე-12, ხოლო **მარიამ მჟავიამ** 4,5 ქულით 70-ე ადგილები დაიკავეს.

ვაჟა დანელია

● ქართველი NBA-ში

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენგელია ყველგანაა!

ქართველმა ახალგაზრდამ ამერიკულ კალათბურთში +16-ით შეაბიჯა

ამმიმოხილვის სათაურად ამერიკელი კომენტატორის ფრაზა გამოვიყენეთ: „ორლანდო“-“ბრუკლინის“ მატჩისას **თორნიკე შენგელიამ** მეტოქის ფარქვეშ იბრძოლა, სამქულიანის ხაზთან გადავარდნილი ბურთი ორლანდოელებს არ დაანება - გადახტა, მეტოქეს თვალსა და ხელს შუა აიცალა და მარტო დარჩენილ თანაგუნდელს იოლი ორი ქულა მოაპოვებინა. სწორედ ამ მომენტში თქვა კომენტატორმა - შენგელია ყველგანაა. თუმცა შესაძლოა მხოლოდ კონკრეტული ეპიზოდი სულად არ იგულისხმა, რადგან თორნიკე მართლაც ბევრს შრომობდა, სწრაფაც გადადიოდა შეტევაში და ასევე მაღალ ტემპში ბრუნდებოდა უკან.

ვინც მატჩს თავიდან ბოლომდე მიადევნა თვალი, დაგვეთანხმება, რომ შენგელიას ადგილზე ბევრი მოედანს გაბრაზებული დატოვებდა, რადგან არაერთხელ აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაზე და პასი არ მიიღო. თუმცა 20 წლის ახალგაზრდას კარგად ესმის, რომ საზაფხულო ლიგაზე თამაშობს, სადაც ყველა კალათბურთელი თავის გამოჩენას ცდილობს. ზოგი ბურთს თამაშიდან 13-ჯერ ესვრის (**მარშონ ბრუკსი**), მაგრამ ერთსაც ვერ აგდებს, რა გასაკვირია, რომ თორნიკემ, რომელმაც 2 ორქულიანი, 1 სამიანი და 2 საჯარიმო სტყორცნა, მოედანი მხოლოდ 2 ქულით დატოვა. მას ნამდვილად მეტი შეუძლია, მაგრამ ცდილობდა გუნდზე ეთამაშა, რითაც იგი მართლაც გამორჩეული იყო. ოთხი კარგი პასი გასცა (კომენტატორებიც აალაპარაკა), თუმცა მისმა თანაგუნდელებმა მხოლოდ ერთხელ გამოიყენეს და თოკოსაც ოქმში 1 პასი ჩაეწერა.

ამერიკელები დიდ ყურადღებას აქცევენ სტატისტიკას, კემპის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებულ მიმოხილვაში ხაზგასმულია ბრუკლინელების **თორნტონისა** (18 ქულა), **ტეილორის** (17 ქულა), ორლანდოელი **ნიკოლსონის** (24 ქულა, 12 მოხსნა) თამაში, მაგრამ არაფერი წერია მასპინძელი გამთამაშებლის, **უეინსის** შესახებ, რომელმაც ნიკოლსონზე არანაკლები წვლილი შეიტანა გამარჯვებაში, თუმცა 13-ით ნაკლები, 11 ქულა და 10 პასი მოაგროვა.

აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს, მიმოხილვაში ქართული გვარის არგამოჩენაც, მაგრამ ჩვენი მხრივ არ უნდა გამოგვრჩეს ერთი დეტალი: შენგელიას შრომა ოქმში მაინც სათანადოდ დაფასდა - პლუს-მინუსის გრაფაში +16 უწერია, რაც ორივე გუნდში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. სწორედ თორნიკეს მოედანზე ყოფნისას „ბრუკლინმა“ მეტოქეზე 16 ქულით მეტი ჩააგდო, რაც 20-ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრის საწინდარი გახდა. ბოლო წამებზე ბრუკლინელებმა ანგარიშიც გაათანაბრეს, მაგრამ გამარჯვებამდე ცოტა დააკლდათ - 92:88 „ორლანდოს“ სასარგებლოდ.

შენგელიას საბოლოო სტატისტიკა ასეთი იყო: 17:43 წუთი, 2 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება, 5 ფოლი, 1 შეცდომა. განაცხადში იყო და არ უთამაშია საქართველოს ნაკრების ყოფილ უკანახაზელ **ტორინ გრინს**. იმასაც გეტყვით, რომ **მარკიზ ჰეინსი** ორლანდოს კემპზე „ოკლაჰომას“ მაისურით გამოდის.

ჩვენთვის კარგად ნაცნობ ამბავზეც უნდა დავწეროთ: „ორლანდო“-“ბრუკლინის“ მატჩის პირველ ტაიმში დარბაზში სინათლე გამოირთო და კალათბურთელებს ხუთი წუთი მოუწიათ მოცდამ...

„ბრუკლინი“ მომდევნო შეხვედრას 10 ივლისს ჩაატარებს. თუმცა, თამაშის დაწყებისას თბილისში 11 ივლისის პირველი საათი იქნება.

ვაჟა სიმონიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს ნაკრები. სამზადისი

მზადება გამოცდებისთვის: ნაკრები ფიზიკით იწყებს



საკალათბურთო აკადემიის დარბაზში გუშინ 11:50 საათზე მივედი. გარეთ ყოფილი კალათბურთელი **ბექა გოლეთიანი** შემხვდა, რომელიც საქართველოს ნაკრების ვარჯიშის სანახავად მოდიოდა. მისგან მეტად საინტერესო ამბავი შევიტყვე - ივლისის ბოლოს მეტეხის ხიდზე გაიმართება საკვალიფიკაციო ეტაპი „როკის მეფისა", რაც ერთი-ერთზე თამაშს ითვალისწინებს. გამარჯვებული სან ფრანცისკოში ფინალურ ეტაპზე გაეგზავრება, რომლის მასპინძელია „ბოსტონის" ვარსკვლავი **რეჟონ რონდო**.

ისევ სამი

ამასობაში დარბაზშიც შევედით. გასასვლელში ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი **კოტე ტულუში** შეგვხვდა, რომელიც ახლახან დაბრუნდა გერმანიიდან, სადაც ევროჩელენჯის წილისყრას დაესწრო (მისი „არმია" სწორედ ამ შეჯიბებაში ასპარეზობს). საკლუბო საკითხებთან დაკავშირებით მისი ინტერვიუ შაბათის ნომერში შემოგთავაზეთ, ამიტომ გუშინ კოტე ტულუშს ნაკრების მზადებაზე ვკითხეთ.

- *ნაკრებში გამოძახებული, საქართველოში მყოფი ყველა კალათბურთელი ვარჯიშზეა, გარდა ვიქტორ სანიკიძისა, რომელიც დღეს ოჯახური გარემოების გათვალისწინებით არ მოვიდა. იგი აქამდე ჩვენთან ერთად აქტიურად ემზადებოდა და მალე ისევ შემოგვიერთდება.*

ბატონ კოტეს ნაკრების სამი წევრის (**ნიკა ცქიტიშვილი, ვლადიმერ ბოისა, ლაშა გამყრელიძე**) გამოკლებაზე ვკითხეთ...

- *სამი გამოცდილი კალათბურთელის სრულფასოვნად შეცვლა რთული იქნება. ვიმედოვნებთ, შარშანდელი შემადგენლობის ძირითად ბირთვს სათანადოდ დაეხმარებიან ახალწვეულები,* - აღნიშნა მწვრთნელმა.

პირველი ვარჯიში

კალათბურთელები ფიზმომზადების მწვრთნელის **ავთო ბერიძის** ხელმძღვანელობით ვარჯიშობდნენ. მხოლოდ ცენტრი, **გიორგი შერმადინი** იდგა ტრიბუნასთან და ინდივიდუალურად მუშაობდა.

- *პირველი დღეა, რაც ნაკრებს შევუერთდი. აქამდე წყალტუბოში ვიყავი და რეაბილიტაციას გავდიოდი,* - თქვა გიორგიმ და ვარჯიში განაგრძო, - *ფეხის ტრავმა სრულად მომიშუშდა და ექიმებმა დატვირთვის უფლება მომცეს. ნელ-ნელა მოვუმატებ და ვიმედოვნებ, რომ ოფიციალური შეხვედრებისას სათანადო ფორმაში ვიქნები.*

მზადების ორი ეტაპი

რა სისტემით ემზადება ნაკრები? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მთავარი მწვრთნელის, **იგორ კოკოშკოვის** *საქმეა, თუმცა ვიდრე იგი ნაკრებს შეუერთდება, მთავარი ფიგურა ფიზმომზადების მწვრთნელი, ავთო ბერიძეა. გუნდი მის მიერ დანერილი გეგმით ვარჯიშობს.*

- *მზადებას 2 ივლისს შევუდექით. თავიდან გულ-სისხლძარღვთა სისტემის განვითარებაზე ვმუშაობდით, რადგან კალათბურთელებმა რთული სეზონის შემდეგ დაისვენეს და პირდაპირ სერიოზული დატვირთვები მიზანშეუწონელია. 9 ივლისიდან მზადების მეორე ეტაპზე გადავედით, ვმუშაობთ ფიზიკური კონდიციების ამაღლებაზე, კოორდინაციაზე, გამძლეობაზე, მოქნილობაზე, სისწრაფესა და ბალანსზე. ამ ეტაპს 17 ივლისს დავამთავრებთ და საქმეს ავსტრიაში, იგორ კოკოშკოვის ხელმძღვანელობით განვაგრძობთ,* -სიტუაციაში კარგად გაგვარკვია ბატონმა ავთომ. მას გიორგი შერმადინის ჯანმრთელობაზეც ვკითხეთ...

- *მას ექიმებმა ვარჯიშის უფლება მისცეს და 9 ივლისიდან შემოგვიერთდა.*



გიორგი მუშაობას პირველი ეტაპიდან იწყებს და რამდენიმე დღეში ძალისმიერ ვარჯიშებზე გადავა.

კვიპროსი

მოედნიდან დროებით გამოვიდა **ბესიკ ლეჟავა,** რომელიც საქართველოს ნაკრებში 2007 წლის შემდეგ პირველად მოხვდა. გასულ სეზონში ბესო კვიპროსის „აპოლონში" თამაშობდა, რომელიც წლეულს ევროჩელენჯზე ასპარეზობს. დავინტერესდით, აპირებს თუ არა კვიპროსში დაბრუნებას.

- *„აპოლონში" მთავარი მწვრთნელი შეიცვალა და ჯერ არ ვიცი, ახალი თავკაცი რას გადაწყვეტს. საქართველოში დაბრუნებას კი, ალბათ, ჯერ ვერ მოვახერხებ...*

შეგახსენებთ, რომ ლეჟავას დისკვალიფიკაციის გამო საქართველოს ჩემპიონატში 2013 წლის იანვრამდე თამაშის უფლება არ აქვს.

თორმეტეულში

ეროვნულ გუნდში გასულ სეზონში მსროლელის პოზიციაზე **მანუჩარ მარკოიშვილს მარკიზ ჰეინსი** ენაცვლებოდა. ახალი ამერიკელი **კორი ფიშერი** კი ამპლუით გამთამაშებელია და როგორც მწვრთნელები ამბობენ, მსროლელად მარკოიშვილს ჯერ შეეშველება. ამ პოზიციაზე არაერთი ახალწვეულია, ბესიკ ლეჟავა, **ანატოლი ბოისა, მერაბ ბოქოლიშვილი** და **ლევან ფაცაცია.**

- *ნაკრებში შარშანაც ვიყავი გამოძახებული, თუმცა მაშინ 12 კალათბურთელს შორის ვერ მოვხვდი. ამჯერადაც ჩემი მთავარი ამოცანა სწორედ გუნდის 12-კაციან შემადგენლობაში მოხვედრაა. ვფიქრობ, ამის კარგი შანსი მაქვს. ვეცდები, ისედაც ძლიერი გუნდი კიდევ უფრო გავაძლიერო,* - თქვა ფაცაციამ ტელეკამერების წინ.

მანუ

ვარჯიშის დასრულების შემდეგ საშუალო ტყორცნებსა და საჯარიმოებზე იმუშავა მანუჩარ მარკოიშვილმა...

- *ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის მზადება ავთო ბერიძესთან ერთად დავიწყეთ, რომელიც ფიზმომზადების მაღალი დონის სპეციალისტია და იცის როგორ გვავარჯიშოს. იმდენად ვიტვირთებით, ზოგჯერ გვაქვს სურვილი ვარჯიშზე არ მოვიდეთ, მაგრამ ეს არ შეიძლება, პროფესიონალები ვართ და გვესმის, რომ სასურველი კონდიციების მისაღწევად, ასეთი ტიპის ვარჯიშებია საჭირო.*

ისევე როგორც კოტე ტულუშს, მანუჩარ მაროიშვილს სამი გამოცდილი მოთამაშის დანაკლისზე ვკითხეთ.

- *ვლადიმერ ბოისა, ნიკა ცქიტიშვილი და ლაშა გამყრელიძე წლების განმავლობაში საქართველოს ნაკრების ძირითადი ბირთვის წევრები იყვნენ. ისინი, პირველ რიგში, ფსიქოლოგიურად დაგვაკლდებიან, თუმცა მწვრთნელმა გადაწყვიტა მათ გარეშე თამაში და არ მაქვს განსჯის უფლება.*

ათეული

შემოგთავაზეთ არაერთი კალათბურთელის კომენტარი, თუმცა არ გვითქვამს რამდენი მოთამაშე ვარჯიშობდა: **გიორგი ცინცაძე, ანატოლი ბოისა, მანუჩარ მარკოიშვილი, ბესიკ ლეჟავა, ლევან ფაცაცია, აკაკი დვალიშვილი, გიორგი შერმადინი, ბექა ბექაური, რიჩარდ მათიაშვილი** და **ნიკა მეტრეველი**. **ვიქტორ სანიკიძეზე** უკვე მოგახსენეთ, **თორნიკე შენგელიას** შესახებ დღევანდელ გაზეთში ცალკე სტატიაში წაიკითხავთ, რომელიც **ზაზა ფაჩულიასა** და **კორი ფიშერთან** ერთად ეროვნულ გუნდს ავსტრიაში შეუერთდება.

ვაჟა სიმონიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური სპორტი

კალათბურთი

დუაიტ ჰოვარდი

დღეს ჰოვარდი ბრუკლინელი გახდება

თუ ამერიკულ პრესას ვერწმუნებით, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მთავარი ცენტრი, "ორლანდო მეჯიქის" ლიდერი **დუაიტ ჰოვარდი** დღეს შესაძლოა "ბრუკლინ ნეტსის" წევრი გახდეს. როგორც იტყობინებიან, მომავალ ტრეიდში 11 მოთამაშე იქნება ჩართული.

"ორლანდომ" და "ბრუკლინმა" იპოვეს მესამე გუნდი, რომელიც ამ გაცვლაში მიიღებს მონაწილეობას - ეს გახლავთ "კლივლენდი". ამ უკანასკნელის რიგებში გადავა "ნეტსის" ფორვარდი **კრის ჰემფრიზი**, "ორლანდო" კი მიიღებს ცენტრს **ბრუკ ლოპეზს** და მომავალი დრაფტების პირველ რაუნდში მინიმუმ სამი კალათბურთელის არჩევის უფლებას.

■ ■ ■

ამასობაში, "ორლანდოს" ფოვარდი **რაიან ანდერსონი** "ნიუ ორლეანში" გადავიდა, - წერს Yahoo!Sports. ხელშეკრულება ოთხწლიანია, რომლის მიხედვითაც 24 წლის კალათბურთელი 36 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

2011-12 წლების სეზონში ანდერსონმა 61 მატჩში მიიღო მონაწილეობა და თავის გუნდს 16.1 ქულა და 7.7 მოხსნა შესძინა.

და მაინც, ნიგერია

ვენესუელაში დასრულდა ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ლონდონის თამაშების ბოლო საგზური მოიპოვა ნიგერიის ნაკრებმა, რომელმაც მესამე ადგილისთვის მატჩში 15 ქულის სხვაობით დაამარცხა დომინიკას რესპუბლიკის ნაკრები. შეგახსენებთ, რომ ნიგერიელები ამ ტურნირის მთავარი სენსაციის ავტორები გახდნენ, როცა მეოთხედფინალიდან საბერძნეთის ნაკრები გამოთიშეს ბრძოლას.

ასე რომ, ნიგერია შეუერთდა რუსეთისა და ლიტვის ნაკრებებს, რომლებმაც უფრო ადრე მოიპოვეს ლონდონში თამაშის უფლება.

მე-3 ადგილისთვის

ნიგერია–ლიმინიკა 88:73

24:18, 23:21, 12:18, 29:16

ნ: დიოგუ (25+10 მოხსნა), ამინუ (14+7 მოხსნა), ობასოჰანი (11).

დ: გარსია (17), მარტინესი (16+9 მოხსნა), ბაესი (13+8 მოხსნა).

■ ■ ■

საკვალიფიკაციო ტურნირის დასრულების შემდეგ, ვენესუელაში გაიმართა წილისყრა, რომლის მიხედვითაც ლიტვის, რუსეთისა და ნიგერიის ნაკრებები ძირითადი ტურნირის ჯგუფებში გაანაწილეს: ლიტვა და ნიგერია A ჯგუფში მოხვდნენ: რუსეთი – B ჯგუფში.

წილისყრის შედეგები

A ჯგუფი: ლიტვა, ტუნისი, აშშ, საფრანგეთი, ნიგერია, არგენტინა;

B ჯგუფი: ჩინეთი, ბრიტანეთი, ბრაზილია, ავსტრალია, რუსეთი, ესპანეთი.

თითო ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე ოთხი საუკეთესო გუნდი გადის.

■ ■ ■

აშშ-ის ოლიმპიური ნაკრების გამთამაშებელი **კრის პოლი** იძულებულია გამოტოვოს თავისი გუნდის უახლოესი რამდენიმე საკონტროლო შეხვედრა. "კლიპერსის" გამთამაშებელმა ორი დღის წინ, ვარჯიშის დროს მარჯვენა ხელის თითი დაიზიანა.

"ყველაფერი წესრიგში უნდა იყოს. იმედია, გარკვეული დროის შემდეგ, ტკივილგამაყუჩებლებით შევძლებ თამაშს", - ამბობს პოლი.

ამბები

კალათბურთი

ალექსანდრ პუშკინის 118 ქულა

რუსული კალათბურთის ისტორიაში შევიდა ფორვარდი **ალექსანდრ პუშკინი**. კვირას ქალაქ ყაზანში გაიმართა საკალათბურთო ტურნირი (უნივერსიადა) რუსეთის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებს შორის. მესამე ადგილისთვის მატჩში სამარას სასოფლო-სამეურნეო აკადემიის გუნდმა გაანადგურა ყაზანის სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ნაკრები – 138:101.

ალექსანდრ პუშკინმა ამ მატჩში 118 ქულა დააგროვა. 25 წლის კალათბურთელმა თამაშიდან 93-ჯერ ისროლა და 50 მოათავსა კალათში (სამქულიანები – 16/44), 30 საჯარიმოდან კი 21 გამოიყენა.

რეკორდსმენი პროფესიულ დონეზე თამაშობდა. ირიცხებოდა "ცსკა ვვს-სამარაში", სარატოვის "ავტოდორსა" და სურგუტის "უნივერსიტეტში".

ჰოკეი

ლიდსტრიომი სკაუტი გახდა

ლეგენდარული შვედი ჰოკეისტი **ნიკლას ლიდსტრიომი**, რომელმაც ამა წლის მაისში კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა, „დეტროიტ რედ უინგზთან" თანამშრომლობის გაგრძელება გადაწყვიტა. ნიკლასი სკაუტის ფუნქციებს შეასრულებს.

„დეტროიტის" გენერალური მენეჯერის **ჯიმ ნილის** თქმით, 42 წლის ლიდსტრიომის მუშაობის მთავარი მიმართულება ევროპა იქნება. უახლოეს პერიოდში ჰოკეისტი ოჯახთან ერთად შვედეთში დაბრუნდება და სწორედ იქიდან დაიწყებს თავის მოღვაწეობას სკაუტის რანგში.

ლიდსტრიომმა გასული სეზონის დასრულების შემდეგ გადაწყვიტა დიდი სპორტიდან წასვლა. მან თავისი გადაწყვეტილება არასაკმარისი მოტივაციით ახსნა. ჰოკეისტის სიტყვებით, ჯანმრთელობის მდგომარეობა მას რამდენიმე წელი თამაშის საშუალებას მისცემდა, მაგრამ ის ამაში აზრს ვერ ხედავდა.

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი

ოლიმპიური ჩემპიონის დრამა

ტურ დე ფრანსზე გაიმართა მერვე ეტაპი. ველომბროლებს ზედიზედ მეორედ მოუწიათ მთებში ურთიერთობის გარკვევამ. თუმცა, იმის მიუხედავად, რომ ფინიშამდე ცოტა ხნით ადრე დაგეგმილი იყო პირველი კატეგორიის მთაზე ასვლა, ეს ეტაპი უფრო გაქცევის მოყვარულებს აწყობდათ, რაც დადასტურდა კიდეც.

გაქცევის მცდელობა მრავლად იყო, ყველაზე ეფექტური კი გერმანელი **იენს ფოხტი** გახლდათ, რომელმაც რამდენიმე ათეული კილომეტრი მარტო იარა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გაძლო.

საბოლოოდ, წარმატების ყველაზე კარგი შანსი მიიღო ოცკაციანმა ჯგუფმა, თუმცა მის შიგნით შეთანხმებულ მუშაობაზე ლაპარაკი არ ყოფილა და აქაც იყო ლოკალური გაქცევების მცდელობა.

ეტაპის მსვლელობისას უსიამოვნო ინციდენტებსაც ჰქონდა ადგილი. პირველ რიგში ეს ეხება ოლიმპიურ ჩემპიონ **სამუელ სანჩესს**. მართალია, მისი წაქცევა საშიში არ ყოფილა, მაგრამ ესპანელს ზემოდან რამდენიმე ველომრბოლი დაეცა. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ სანჩესმა თითი მოიტეხა და მისთვის სეზონი დასრულებულია.

ფინიშამდე დაახლოებით 60 კილომეტრით ადრე გააქტიურდა შვედი **კესიაკოფი**, რომელიც წუთით დაშორდა კონკურენტებს. მაგრამ ბოლო აღმართზე კონტრშეტევაზე გადავიდა ფრანგი **ტიბო პინო**. მან მალე გააბათილა ერთნუთიანი ჩამორჩენა და შემდეგ დაშორდა ყოფილ შვედ მაუნტინბაიკერს.

მართალია, გენერალური კლასიფიკაციის ფავორიტებმა სერიოზულად შეუტიეს პინოს პოზიციებს, მაგრამ ფრანგმა შეძლო ისტორიაში შესვლა. ის ლეგენდარული **ლენს არმსტრონგის** შემდეგ ყველაზე ახალგაზრდა ველომრბოლია ისტორიაში, ვინც ტურის ეტაპის მოგება შეძლო. პინო 22 წლის გახლავთ.

საინტერესო ბრძოლა ჰქონდათ მეორე ადგილისთვის ტურის ლიდერს **ბრედლი უიგინსსა** და მოქმედ ჩემპიონს **კეიდელ ევანსს**. ამ უკანასკნელმა ბრიტანელისგან გაქცევა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო. შესაბამისად, უიგინსმა შეინარჩუნა ლიდერის ყვითელი მაისურა და ევანსს კვლავინდებურად 10 წამს უგებს.

VIII ეტაპი

1. **ტიბო პინო** (საფრანგეთი - FDJ); 2. **კეიდელ ევანსი** (ავსტრალია - BMC Racing Team) - +0,26; 3. **ტონი გალოპენი** (საფრანგეთი - RadioShack-Nissan); 4. **ბრედლი უიგინსი** (ბრიტანეთი - Team Sky); 5. **ვინჩენცო ნიბალი** (იტალია - Liquigas); 6. **იურგენ ვან დერ ბრეკი** (ბელგია - Lotto-Belisol); 7. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრიტანეთი - Team Sky); 8. **დენის მენშოვი** (რუსეთი – "კატიუშა"); 9. **აიმარ სუბელდია** (ესპანეთი - RadioShack-Nissan); 10. **ფრენკ შლეკი** (ლუქსემბურგი - RadioShack-Nissan) - +0,30...

საერთო ჩათვლა

1. **ბრედლი უიგინსი** (ბრიტანეთი - Team Sky); 2. **კეიდელ ევანსი** (ავსტრალია - BMC Racing Team) - +0,10; 3. **ვინჩენცო ნიბალი** (იტალია - Liquigas) - +0,16; 4. **დენის მენშოვი** (რუსეთი – "კატიუშა") - +0,54; 5. **აიმარ სუბელდია** (ესპანეთი - RadioShack-Nissan) - +0,59; 6. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრიტანეთი - Team Sky) - +1,32; 7. **მაქსიმ მონფორი** (ბელგია - RadioShack-Nissan) - +2:08; 8. **იურგენ ვან დერ ბრეკი** (ბელგია - Lotto-Belisol) - +2,11; 9. **ნიკოლას როში** (ირლანდია - Ag2r La Mondiale) - +2,21; 104. **რეინ ტაარამაე** (ესტონეთი - Cofidis) - +2:27...

ტიბო პინო ფინიშზე

კრივი

ვლადიმერ კლიჩკო

კლიჩკოების დიდი გეგმა

გაზეთის ინფორმაციით, ძმები თავიანთი მორიგი ბრძოლების ორგანიზებას ისე აპირებენ, რომ WBC-ის ჩემპიონის **ვიტალი კლიჩკოს** კარიერის დასრულების შემდეგ, მისი ტიტული უმცროს კლიჩკოს - **ვლადიმერს** დარჩეს, რომელიც, თავის მხრივ, ოთხი ვერსიით (WBA/WBO/IBF/IBO) არის მსოფლიოს ჩემპიონი.

გერმანელ **მანუელ ჩართან** სექტემბერში დაგეგმილი ბრძოლის შემდეგ, ვიტალის სურვილია კარიერაში გამოსათხოვარი ბრძოლა ბრიტანელი **დევიდ ჰეის** წინააღმდეგ ჩაატაროს. იმ შეხვედრაში გამარჯვების შემდეგ, ვიტალი გაათავისუფლებს WBC-ის ტიტულს. ამის შემდეგ, ვლადიმერი მოიპოვებს WBC-ის ვაკანტური საჩემპიონო ქამრის დაუფლების შანსს ამ ორგანიზაციის რეიტინგის პირველ ნომერთან შეხვედრაში და გამარჯვების შემთხვევაში, უმნიშვნელოვანესი საკრივო ფედერაციების ყველა მთავარი ტიტულის მფლობელი გახდება.

აბსოლუტური ჩემპიონის „შექმნა", სავარაუდოდ, გამოაცოცხლებს სიტუაციას სუპერმძიმე წონაში და გაზრდის ვლადიმერ კლიჩკოს ბრძოლებისადმი ინტერესს. სტატისტიკის მიხედვით, უმცროსი კლიჩკოს ბოლო სამ ბრძოლაში მაყურებელთა რაოდენობა შემდეგნაირად იკლებდა: კლიჩკო-ჰეი: 15 მილიონი, კლიჩკო-**მორმეკი**: 12 მილიონი, კლიჩკო-**ტომპსონი**: 8 მილიონი.

ბერმანულმა ტაბლოიდმა Bild-მა გამოაქვეყნა პატარა სტატია სახელწოდებით - „კლიჩკოების კლანის ბოლო დიდი გეგმა".

ფორმულა 1

მარიამ ლაპარაკი დაიწყო

„მარუსია-რეისინგის" ტესტ-პილოტი **მარია დე ვილიოტა**, რომელიც გასულ კვირას ტესტების დროს სერიოზულ ავარიაში მოხვდა, აგრძელებს მკურნალობას ბრიტანეთში Addenbrooke's-ის საავადმყოფოში. შეგახსენებთ, რომ ესპანელმა ქალმა ავტომრბოლმა ორი უმძიმესი ოპერაცია გადაიტანა და ავარიის შედეგად მარჯვენა თვალი დაკარგა. ცოტა ხნის წინ ექიმებმა მარია კომიდან გამოიყვანეს და მან შეძლო ოჯახის წევრებთან დალაპარაკება.

„დამამშვიდებელი პრეპარატების რიცხვი შესამჩნევად შემცირდა", - განაცხადა მარიას მამამ, ფორმულა 1-ის ყოფილმა პილოტმა **ემილიო დე ვილიოტამ**.

ესპანური პრესა პილოტს დის - **იზაბელის** ინფორმაციაზე დაყრდნობით წერს, რომ ბოლო რამდენიმე საათის განმავლობაში მარია დე ვილიოტას მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა და მან დატოვა ინტენსიური თერაპიის განყოფილება.

„უახლოესი დღეები ძალიან მნიშვნელოვანი იქნება აღდგენისთვის და ტრავმის შედეგების განსაზღვრისთვის", - დაამატა იზაბელმა.

■ ■ ■

სასიამოვნო ინფორმაცია შეიტყვეს ფორმულა 1-ის ბელგიელმა გულშემატკივრებმა. ვალონიის ეკონომიკის მინისტრმა (რეგიონი, სადაც სპას ავტოდრომი მდებარეობს) **ჟან-კლოდ მარკურმა** განაცხადა, რომ მიღწეულია პრინციპული შეთანხმება ფორმულა 1-ის ხელმძღვანელობასთან. სპაზე რბოლის ორგანიზების ხელშეკრულება სამი წლით გაგრძელდება და ბელგიის გრანპრი კალენდარში 2015 წლის ბოლომდე დარჩება.

მიმდინარე კონტრაქტს ამა წლის სექტემბერში გასდის ვადა. მინისტრმა ისიც დაამატა, რომ იყო გეგმა ბელგიისა და საფრანგეთის ეტაპების მონაცვლეობით ჩატარების შესახებ, მაგრამ საფრანგეთის პრეზიდენტის არჩევნებში **ნიკოლა სარკოზის** დამარცხების შემდეგ, ფრანგულ მხარეს აღარ გასჩენია ფორმულა 1-ის ეტაპის ჩატარების სურვილი.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

მარია დე ვილიოტა

● ჩოგბურთი. ტურნირების ანონსი

ამ კვირას ექვსი ტურნირია

სერენა სტენფორდში ტიტულს იცავს

უიმბლდონის შემდეგ, საჩოგბურთო ცხოვრება საკმაოდ აქტიურად გრძელდება. ამ კვირას ერთბაშად ექვსი ტურნირი გაიმართება, თანაც ნებისმიერ საფარზე. ოთხი ტურნირი მამაკაცებისაა, ორი - ქალების.

ATP

Mercedes Cup

შტუტგარტი (გერმანია). გრუნტი

საპრიზო ფონდი: 358 425 ევრო

მონაწილეები: *იანკო ტიპსარევიჩი, ხუან მონაკო, ბერნარდ ტომიჩი, პაბლო ანდუხარი, რობინ ჰაასე, ნიკოლაი დავიდენკო...*

სავსებით გასაგები მიზეზების გამო, ამ ტურნირზე საუკეთესო შედეგებს არგენტინელები და ესპანელები აჩვენებენ - ბოლო ცხრა ტიტულიდან რვა სწორედ მათი საკუთრებაა.

ხუან მონაკო ტიტულით ჯერ ვერ დაიკვეხნის, თუმცა ოთხი ცდიდან ერთხელ ნახევარფინალამდე მიაღწია. მიუხედავად ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხუანს ხუთჯერ აქვს მოგებული გრუნტზე ტურნირი და აქედან ორჯერ ამ სეზონში.

2009 წლის შემდეგ პირველად ჩაებმება ახალი „მერსედესისთვის“ ბრძოლაში **იანკო ტიპსარევიჩი.** სამი წლი წინ სერბმა ჩოგბურთელმა პირველივე წრეში წააგო. ასე რომ, საკუთარი შედეგის გამეორება რთული არ იქნება.

ნორმალურ ფორმაშია ამჟამად **პაბლო ანდუხარი,** რომელმაც ამ სეზონში კარიერაში მეორე ტიტული მოიპოვა. შარშან, პაბლომ შტუტგარტში ფინალში ითამაშა, სადაც **ხუან კარლოს ფერეროსთან** წააგო. ეს უკანასკნელი წელს ტიტულს არ იცავს.

Hall of Fame Tennis Championships

ნიუპორტი (აშშ). ბალახი

საპრიზო ფონდი: 398 250 დოლარი

მონაწილეები: *ჯონ ისნერი, კეი ნიშიკორი, მილოშ რაონიჩი, დენის ისტომინი, რაიან ჰარისონი, დონალდ იანგი, ლეიტონი ჰიუიტი...*

ნიუპორტის ტურნირი ერთადერთია ჩრდილოეთ ამერიკაში, რომელიც ბალახის საფარზე იმართება. ეს შეჯიბრება ოლიმპიადისთვის მზადების ბოლო ეტაპია და ამ შანსს 18 მომავალი ოლიმპიელი გამოიყენებს.

კეი ნიშიკორის დებიუტი აქვს ამ ტურნირზე. იაპონელ ჩოგბურთელს არასოდეს მოუპოვებია ბალახზე ტიტული, მაგრამ უიმბლდონზე სავსებით მისაღები შედეგი აჩვენა. შეგახსენებთ, რომ კეიმ მესამე რაუნდში წააგო **ხუან მარტინ დელ პოტროსთან.**

ორი წლის წინ, **მილოშ რაონიჩი** ამ ტურნირზე რეიტინგში 278-ე ნომრის რანგში თამაშობდა, ამჯერად კი ის მესამე ნომრად არის განთესილი და შეეცდება სეზონში მესამე ტიტული გაიფორმოს.

ტიტულს ნიუპორტში **ჯონ ისნერი** იცავს - შარშან მან ფინალში ბელგიელი **ოლივიე როხუსი** დაამარცხა.

Swedish Open

ბაშტადი (შვედეთი). გრუნტი

საპრიზო ფონდი: 358 425 ევრო

მონაწილეები: *დავიდ ფერერი, ნიკოლას ალმაგრო, ალბერტ რამოსი, იარკო ნიემინენი, მიხაილ კუკუშკინი, ტომი რობრედო, გრიგორ დიმიტროვი...*

ბაშტადის ტურნირი 1948 წლიდან იმართება. გასულ წელს აქ პირველობა **რობინ სიოდერლინგმა** მოიგო, მისი მეტოქე ფინალში **დავიდ ფერერი** იყო, რომელმაც წელს გამარჯვებისთვის შესანიშნავი შანსები აქვს.

ნიკოლას ალმაგრო სტაბილურად კარგად თამაშობს გრუნტზე და ეს ტურნირი არ არის გამონაკლისი. 2007 წელს ის ფინალისტი იყო, ორი წლის წინ კი საჩემპიონო ტიტული მოიპოვა.

ტურნირის ნამდვილი ვეტერანია - **ტომი რობრედო,** რომელიც მეთორმეტედ ითამაშებს ბაშტადში. ის ორგზის ჩემპიონია, თუმცა ეს 2006 და 2008 წლებში მოხდა.

Croatia Open

უმაგი (ხორვატია). გრუნტი

საპრიზო ფონდი: 358 425 ევრო

მონაწილეები: *ფერნანდო ვერდასკო, მარინ ჩილიჩი, ალექსანდრ დოლგოპოლოვი, მარსელ გრანოლერსი, კარლოს ბერლოკი, ფაბიო ფონინი...*

ტურნირს უბრუნდება ყოფილი ჩემპიონი **ფერნანდო ვერდასკო.** ესპანელმა უმაგში პირველივე ცდიდან მოიპოვა ტიტული - ეს 2008 წელს მოხდა.

პუბლიკის საყვარელი მოთამაშე - **მარინ ჩილიჩი** შეეცდება გახდეს 1990 წლის შემდეგ ტურნირის პირველი ხორვატი გამარჯვებული. შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში მას ხელი შეუშალა **ალექსანდრ დოლგოპოლოვმა.** წელს მარინს შეუძლია ნახევარფინალში აუღოს რევანში უკრაინელს.

WTA

Bank of the West Classic

სტენფორდი (აშშ). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 740 000 დოლარი

მონაწილეები: *სერენა უილიამსი, მარიონ ბარტოლი, დომინიკა ციბულკოვა, ელენა იანკოვიჩი...*

სტემფორდში ტურნირი 1971 წლიდან ტარდება და მას თავის კორტებზე ბევრი სახელოვანი ჩოგბურთელი მიუღია. **მარტინა ნავრატილოვა, ბილი ჯინ კინგი, მარგარეტ კორტი** და **კრის ევერტი** აქ ტიტულებს ფლობდნენ. გასულ წელს გამარჯვებული გახდა **სერენა უილიამსი,** რომელმაც ფინალში **მარიონ ბარტოლი** დაამარცხა და ახლა სტემფორდში უიმბლდონის ახალი ჩემპიონის რანგში ჩავიდა.

ბარტოლიც არის ძირითად ბადეში და ფრანგი ეცდება 2009 წელს მიღწეული წარმატების გამეორებას. მაშინ მან ფინალურ მატჩში **ვენუს უილიამსი** დაამარცხა.

Internazionali femminili

პალერმო (იტალია). გრუნტი

საპრიზო ფონდი: 220 000 დოლარი

მონაწილეები: *სარა ერანი, იულია გორგესი, რობერტა ვინჩი, ანაბელ მედინა გარიგესი, ალიზ კორნე...*

შარშან, **ანაბელ მედინა გარიგესმა** და **პოლონა ჰერცოგმა** სიცილიაზე ნამდვილი სენსაცია მოახდინეს, თუმცა ამჯერად, წარმატების ყველაზე დიდი შანსი იტალიელ ჩოგბურთელებს აქვთ.

პირველ რიგში, მასპინძლებს **სარა ერანის** იმედი აქვთ, რომელიც წელს გრუნტზე ბრწყინვალე შედეგებს აჩვენებს - ამ საფარზე სამი ტურნირი მოიგო, როლან გაროსის ფინალში კი **მარია შარაპოვასთან** დამარცხდა.

სხვების ფონზე ერანი მთავარ ფავორიტად მოიაზრება, მაგრამ არ უნდა ჩამოვწეროთ მოქმედი ჩემპიონი ანაბელ მედინა გარიგესი და **რობერტა ვინჩი,** რომლებსაც შეუძლიათ ნებისმიერ მეტოქეს პრობლემები შეუქმნან. ასევე გამოყოფის ღირსია **ალიზ კორნე** - მას წელს ბად გაშტეინის ტურნირი აქვს მოგებული.

● ცხელი ხაზი

ფუტბალი

ევრო 2012

UNDER 19

პორტუგალია-საბერძნეთი	2:3
ესპანეთი-ესტონეთი	2:0
ხორვატია-სერბეთი	3:0
საფრანგეთი-ინგლისი	1:2

ამხანაგური მაჭრები

ცსკა-ბურსა	2:0
დინამო (კ)-ნეფთჩი	5:0
ზალცბურგი-ვიქტორია	4:1
ოდენსე-ორჰუსი	0:0
მოზერველი-რაპიდი (ბ)	გადაიდო

ნორვეგია

ფრედრიქსტადი-ლილესტრიომი	3:4

შვედეთი

ერებრო-მალმიო	2:1
გიოტებორგი-ჰელსინგბორგი	1:1

ფინეთი

ტურკუ-ჰონკა	2:1

ირლანდიის თასი

სტიარანანი-ფრამი	2:1

რუსეთი

II დივიზიონი

ენისეი-შინიკი	2:1
ურალი-პეტროტრესტი	4:0
ნალჩიკი-უფა	1:0
გაზპრომი-ხიმკი	1:1
როტორი-ტომი	1:0

ჩრდილოეთ ირლანდია

ATP. ბაშტადი

ლინდელი-ცოპი	2:6, 2:6
ჰაიეკი-დელ ბონისი	7:6, 6:3
რობრედო-უნგური	6:4, 6:2
კაპდევილე-ბოლელი	6:7, 6:7

ATP. ნიუპორტი

სოკი-კუნიცინი	7:5, 1:6, 6:4
მაუ-ჩიუდინელი	6:0, 7:6
სელა-დანჩევიჩი	6:0, 6:2
იანგი-რასელი	6:1, 1:6, 4:6
ო. როხუსი-სოედა	6:4, 3:6, 6:3

ATP. შტუტგარტი

გარსია ლოპესი-რამირეს იდალგო	6:2, 6:3
დავიდენკო-ბრაუნი	5:7, 6:3, 6:7
დარციისი-მონტანიესი	6:2, 6:4

ATP. უმაგი

მუნიოს დე ლა ნავა-კუნეცოვი	3:6, 7:5, 6:7
სოუზა-ბახინგერი	7:6, 1:6, 6:7
ბედენე-კლიჟანი	2:6, 2:6

WTA. პალერმო

კადანტუ-ბერტენსი	6:3, 6:2
პუტინცევა-დომინგეს ლინო	2:6, 4:6
დუკე მარინო-კორნე	3:6, 2:6
ბეგუ-ჰერცოგი	6:1, 7:6

WTA. სტენფორდი

ვიკმაიერი-ჩანგი	7:5, 2:6, 7:5

● TV პროგრამა

10 ივლისი. სამშაბათი

GMG-ფუტბალი

10:00 ესპანეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. ბარსელონა.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-მაინცი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-პარმა.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. რენი-ლილი.
18:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
19:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
20:00 იტალიის ჩემპიონატი. მილანი-იუვენტუსი.
22:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. პსჟ.
00:00 ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-არსენალი.

GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-მანჩესტერ იუნ.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ლეიკერსი-ჩიკაგო.
14:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
15:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. დორტმუნდი.
17:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. შოტლანდია-ინგლისი.
18:50 ყოველკვირეული მიმოხილვა - სპორტის სამყარო.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი. ქალების წყვილები. ფინალი. ლონდონი. ინგლისი.
22:30 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ლეიკერსი-ჩიკაგო.

GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი. ქალები. ფინალი. სერენა უილიამსი-აგნიეშკა რადვანსკა. ლონდონი. ინგლისი.
13:00 სპორტ-NEWS.
13:30 ჩოგბურთი. უიმბლდონი. ქალების წყვილები. ფინალი. ლონდონი. ინგლისი.
15:00 კალათბურთი. ევროლიგა. ბამბერგი-პანათინაიკოსი.
17:00 სპორტ-NEWS.
17:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ფულემი.
19:30 კალათბურთი. ევროლიგა. ცსკა-ულგარინი.
21:30 რაგბი. ექვსი ერის თასი. საფრანგეთი-იტალია.
23:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

ამინდის პროგნოზი

თბილისი	18	27	(წვიმა)
ქუთაისი	20	26	(მცირე წვიმა)
ბათუმი	19	25	(მცირე წვიმა)
ფოთი	18	25	(მცირე წვიმა)
ზუგდიდი	19	25	(მცირე წვიმა)
გორი	18	26	(მცირე წვიმა)
თელავი	20	28	(მცირე წვიმა)
სიღნაღი	19	27	(მცირე წვიმა)
ძოგულეთი	18	26	(მცირე წვიმა)
ბაკურიანი	11	19	(მცირე წვიმა)
ბორჯომი	14	26	(მცირე წვიმა)
მესტია	11	23	(მცირე წვიმა)

ვალუტის კერძი

1 ევრო	2.0272
1 ამერიკული დოლარი	1.6476
1 ბრიტანული ფუნტი	2.5521
100 რუსული რუბლი	4.9941

● რეიტინგები

დაბრუნებული ლიდერები

უიმბლდონის შემდეგ გამოქვეყნდა ATP-სა და WTA-ის ახალი რეიტინგები.

როჯერ ფედერერმა ლონდონში მეშვიდე ტრიუმფის შემდეგ, პირველად 2010 წლის ივნისის შემდეგ, კლასიფიკაციაში ლიდერობა დაიბრუნა. შესაბამისად, ფედერერი გაუთანაბრდა რეიტინგის სათავეში გატარებული კვირების რაოდენობით ლეგენდარულ **პიტ სამპრასს.** იმის გამო, რომ მიმდინარე კვირას ტურნირებში მსოფლიოს კლასიფიკაციის არც ერთი ლიდერი არ გამოდის, ფედერერი მომავალ ორშაბათსაც პირველი ჩოგანი იქნება და აბსოლუტური რეკორდსმენი გახდება ლიდერის პოზიციაზე ყოფნის ხანგრძლივობით.

ფედერერის შემდეგ რეიტინგში მოდიან სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და ესპანელი **რაფაელ ნადალი.** ტოპათეულში კიდევ ერთი ცვლილება მოხდა - ამერიკელი ჯონ ისნერი მე-11 პოზიციამდე დაეშვა, მისი ადგილი კი ესპანელმა **ნიკოლას ალმაგრომ** დაიკავა.

■ ■ ■

ცვლილებები მოხდა ქალების კლასიფიკაციაშიც. აქ პირველობა დაიბრუნა ბელარუსმა **ვიქტორია აზარენკამ,** რომელმაც რუს **მარია შარაპოვას** გაუსწრო.

შარაპოვამ ვერ შეძლო იმ ქულების დაცვა, რომელიც მან 2011 წელს უიმბლდონის ფინალში გასვლისთვის მიიღო. ამის გამო რუსი მესამე პოზიციამდე დაეშვა და აზარენკას გარდა, წინ პოლონელი **აგნიეშკა რადვანსკაც** გაუშვა.

უიმბლდონის ჩემპიონი **სერენა უილიამსი** მეოთხე ჩოგანი გახდა, ამ ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული **პეტრა კვიტოვა** კი მეექვსე პოზიციამდე ჩამოქვეიდა. ერთი საფეხურით ავიდნენ მაღლა გერმანელი **ანჟელიკ კერბერი** და იტალიელი **სარა ერანი.**

ATP

1(3). როჯერ ფედერერი (შვეიც)	11 075
2(1). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	11 000
3(2). რაფაელ ნადალი (ესპ)	8 905
4(4). ენდი მიურეი (გრიტ)	7 460
5(5). დავიდ ფერერი (ესპ)	5 430
6(6). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ)	5 230
7(7). ტომას ბერდიხი (ჩეხ)	4 515
8(8). იანკო ტიპსარევიჩი (სერ)	3 215
9(9). ხ-მ. დელ პოტრო (არგ)	3 180
10(11). ნიკოლას ალმაგრო (ესპ)	2 605
11(10). ჯონ ისნერი (აშშ)	2 520
12(13). ჟილ სიმონი (საფ)	2 480
13(12). მერდი ფიში (აშშ)	2 355
14(14). ხუან მონაკო (არგ)	2 130
15(18). მარინ ჩილიჩი (ხორ)	1 825
16(16). ფერნანდო ვერდასკო (ესპ)	1 810
17(15). გაელ მონფილსი (საფ)	1 715
18(20). კეი ნიშიკორი (იაპ)	1 680
19(21). ა. დოლგოპოლოვი (უკრ)	1 620
20(19). რიშარ გასკე (საფ)	1 600

ATP. ფულადი მონაგარი

1. როჯერ ფედერერი (შვეიც)	5 488 141
2. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	5 237 265
3. რაფაელ ნადალი (ესპ)	4 997 448
4. ენდი მიურეი (გრიტ)	2 326 160
5. დავიდ ფერერი (ესპ)	1 939 253
6. ხ-მ. დელ პოტრო (არგ)	1 403 203
7. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ)	1 386 299
8. ტომაუ ბერდიხი (ჩეხ)	1 335 062
9. ნიკოლას ალმაგრო (ესპ)	975 710
10. იანკო ტიპსარევიჩი (სერ)	956 436
11. ჯონ ისნერი (აშშ)	878 589
12. რადეკ შტიპანეკი (ჩეხ)	842 850
13. ფილიპ კოლშრაიბერი (გერ)	750 229
14. ჟილ სიმონი (საფ)	733 135
15. ფერნანდო ვერდასკო (ესპ)	703 630
16. რიშარ გასკე (საფ)	696 961
17. მილოშ რაონიჩი (კან)	684 970
18. მიხაილ იუჟნი (რუს)	641 520
19. იურგენ მელცერი (ავსტრია)	604 649
20. ხუან მონაკო (არგ)	598 793

WTA

1(2). ვიქტორია აზარენკა (ბლრ)	8 800
2(3). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)	8 530
3(1). მარია შარაპოვა (რუს)	8 370
4(6). სერენა უილიამსი (აშშ)	7 360
5(5). სამანტა სტოსური (ავსტრა)	6 195
6(4). პეტრა კვიტოვა (ჩეხ)	5 275
7(8). ანჟელიკ კერბერი (გერ)	5 170
8(7). კაროლინ ვოზნიაცკი (დან)	4 091
9(10). სარა ერანი (იტა)	3 410
10(9). მარიონ ბარტოლი (საფ)	3 400
11(11). ნა ლი (ჩინ)	3 245
12(14). ანა ივანოვიჩი (სერ)	3 190
13(12). ვერა ზვონარევა (რუს)	3 160
14(19). მარია კირილენკო (რუს)	2 635
15(13). დომ. ციბულკოვა (სლოვაკ)	2 625
16(16). კაია კანეპი (ესტ)	2 514
17(17). ფლავია პენეტა (იტა)	2 305
18(15). საბინ ლისიცკი (გერ)	2 297
19(18). ანდრეა პეტკოვიჩი (გერ)	2 260
20(21). ელენა იანკოვიჩი (სერ)	2 220

WTA. ფულადი მონაგარი

1. ვიქტორია აზარენკა (ბლრ)	5 084 143
2. მარია შარაპოვა (რუს)	4 485 533
3. სერენა უილიამსი (აშშ)	3 283 458
4. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)	2 989 241
5. სარა ერანი (იტა)	1 988 974
6. ანჟელიკ კერბერი (გერ)	1 340 048
7. პეტრა კვიტოვა (ჩეხ)	1 284 309

ვიქტორია აზარენკა

8. რობერტა ვინჩი (იტა)	1 047 130
9. სამანტა სტოსური (ავსტრა)	988 742
10. მარია კირილენკო (რუს)	864 569
11. ნა ლი (ჩინ)	806 791
12. კაროლინ ვოზნიაცკი (დან)	772 868
13. იულია გორჯესი (გერ)	702 957
14. ანა ივანოვიჩი (სერ)	664 920
15. მარიონ ბარტოლი (საფ)	655 638
16. ნადია პეტროვა (რუს)	638 660
17. კიმ კლაისტერსი (ბელ)	638 231
18. ეკატერინა მაკაროვა (რუს)	635 390
19. ლუსი ჰრადეცკა (ჩეხ)	603 494
20. ელენა ვესნინა (რუს)	551 766

გვერდი მოამზადა

გია თვალაგეიშვილმა

15 ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიან გიგზის ბოლო შანსი

არსებობენ ფეხბურთელები, რომლებიც, როგორც იტყვიან, „საჭირო დროსა და საჭირო ადგილას“ დაიბადნენ. ისინი ეროვნულ გუნდში ირიცხებიან, ვარჯიშობენ, დადიან შეკრებებზე, მაგრამ საკუთარი გუნდის გამარჯვებებში მონაწილეობას არ იღებენ. სამაგიეროდ, ტიტულების ჩამონათვალი აქვს შთამბეჭდავი. მაგრამ ისეთებიც მოიძებნებიან, რომლებსაც უბრალოდ არ გაუმართლათ. ბევრი მაგალითი არსებობს, როცა არასაფეხბურთო ქვეყანაში გამოჩნდება უნიჭიერესი ფეხბურთელი, რომელიც საკლუბო პროფესიულ წარმატებებს აღწევს, ნაკრებში კი ობიექტური მიზეზების გამო, არაფრის მოგება არ შეუძლია: არც ერთ ტალანტს არ ძალუძს მარტომ ათრიოს მთელი გუნდი. ასეთი ფეხბურთელები ყოველთვის შებრალებას იმსახურებენ და სურვილი გიჩნდება მათ რაღაცნაირად ეროვნული გუნდი შეუცვალო, რათა სანაკრებო დონეზეც იგრძნონ წარმატების გემო.

სწორედ ასეთი ადამიანების რიცხვს მიეკუთვნება ლეგენდარული უელსელი **რაიან გიგზი**. მან საკლუბო დონეზე ფანტასტიკური შედეგებს მიაღწია, მაგრამ ვერაფერი მოახერხა ეროვნული გუნდის შემადგენლობაში. რაიანის თამაშის პერიოდში, უელსის ნაკრები არასოდეს გასულა დიდი საფეხბურთო ტურნირის ფინალურ ეტაპზე. ყველაზე ახლოს ამასთან გუნდი 2003 წელს იყო, მაგრამ მაშინ მას რუსეთის ნაკრები გადაეღობა, რომელმაც უელსს ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრების უფლება არ მისცა. ასევე დასანანი იყო შემდეგი ორი მარცხი. საბოლოოდ, 2007 წელს გიგზმა განაცხადა, რომ წყვეტს გამოსვლას ეროვნულ დონეზე, რადგან სურს მთელი ენერგია „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშს მოახმაროს.

თითქოს ამით ყველაფერი უნდა დასრულებულიყო, მაგრამ შემდეგ დაიწყო ლაპარაკი ოლიმპიურ საფეხბურთო ტურნირზე და იქ ბრიტანეთის გაერთიანებული გუნდის გამოსვლაზე. ამ ნაკრებისთვის ლიდერების პოვნა იყო საჭირო. გიგზი კი კვლავაც კარგად გამოიყურებოდა მოედანზე, მისი 38 წლის მიუხედავად. ფეხბურთელის შესანიშნავმა ფორმამ, კარგმა ფიზიკურმა კონდიციებმა და, რა თქმა უნდა, მისმა კოლოსალურმა გამოცდილებამ ის ოლიმპიურ გუნდში მოხვედრის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად აქცია. შეგახსენებთ, რომ ოლიმპიადაზე საფეხბურთო გუნდებში 23 წლამდე ახალგაზრდა მოთამაშეები გამოდიან, მაგრამ განაცხადში სამი ადგილი ამ ასაკს გადაცილებულ მოთამაშეებს ეკუთვნით. საბოლოოდ, გიგზი გახდა ერთ-ერთი იმ სამ ბრიტანელს შორის, რომლებიც 23 წელზე ზემოთ არიან.

თავად გიგზი, რა თქმა უნდა, მოხარულია გაერთიანებულ გუნდში მოხვედრით: *„ძალიან მიხარია, რომ ლონდონში გავემგზავრები და მონაწილეობას მივიღებ ოლიმპიურ თამაშებში. ეს ძალიან მასშტაბური მოვლენაა და მას მოუთმენლად ველოდები“*. ფეხბურთელის ეიფორია გასაგებია - გიგზს ეროვნული ნაკრების დონეზე ასეთ დიდ სპორტულ ფორუმში მონაწილეობა არ მიუღია. *„სასიამოვნო იქნება ასეთ ტურნირში ჩართვა, იმ ატმოსფეროს შეგრძნება, რომელიც ცხოვრებაში არასოდეს გქონია“*, - ამბობს უელსელი.

გიგზს თავის კარიერაში ბევრი რეკორდი დაუმყარებია, უამრავი ტურნირი აქვს მოგებული - ასეთი მიღწევებით ერთეულები თუ დაიკვეხნიან. მაგრამ რაიანმა იცის, რომ ნაკრების შემადგენლობაში ოლიმპიადაზე გამოსვლა - ეს სრულიად ახალი გამოცდილებაა: *„ოლიმპიური თამაშები ძალიან განსხვავდება ყველა ტურნირისგან, რომელშიც ადრე მიმიღია მონაწილეობა. ძალიან სასიამოვნოა, რომ დღეს, ასეთ ასაკში მომცეს ოლიმპიადაზე გამოსვლის შანსი. ადრე ამაზე ფიქრიც არ შემეძლო“*. პროგნოზებზე საუბრისას რაიანი თამამია და თავის გუნდს მომავალ ტურნირზე მაქსიმალურ მიზნებს უსახავს: *„შევეცდებით ყველაფერი გავაკეთოთ და ოქროს მედლების მოსაპოვებლად ვიბრძოლოთ“*. რა თქმა უნდა, გიგზი ძალებს არ დაზოგავს დასახული მიზნის მისაღწევად, რადგან ეს პირველი და ერთადერთი შანსია ბრიტანელი ლეგენდისთვის, რამე ტიტული მოიგოს ეროვნულ დონეზე.

ჟურნალისტებში აქტუალური იყო „მანჩესტერ იუნაიტედში“ გიგზის ყოფილი პარტნიორის **დევიდ ბექჰემის** თემა. წარსული დამსახურებების მიუხედავად, დევიდი მაინც არ შეიყვანეს ეროვნულ გუნდში. სავარაუდოდ, გიგზისთვის სასიამოვნო იქნებოდა ერთ გუნდში ბექჰემთან თამაში, რადგან მათ უკვე ათი წელია ერთმანეთისთვის ბურთი არ გადაუწოდებიათ. *„მე და დევიდი ყოფილი პარტნიორები ვართ, ვმეგობრობთ და ჩემთვის სამწუხაროა, რომ ის მონაწილეობას ვერ მიიღებს ოლიმპიურ თამაშებში. მაგრამ დევიდმა ამ დარტყმას გაუძლო და ჩვენი გუნდის მხარდაჭერას აპირებს“*, - აღნიშნავს გიგზი.

რაიანი ინგლისის 12-გზის ჩემპიონია, ოთხჯერ ფლობდა ინგლისის თასს, ორჯერ ასწია თავს ზემოთ ჩემპიონთა ლიგის თასი, მოგებული აქვს უეფას სუპერთასი, კლუბებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატი, ინგლისის ლიგის თასი... ის რეკორდსმენია „მანჩესტერ იუნაიტედში“ ჩატარებული მატჩების რაოდენობით და გულშემატკივრების მიერ დასახელდა კლუბის ყველა დროის საუკეთესო მოთამაშედ. ის ერთადერთი მოთამაშეა, ვისაც პრემიერლიგის ზედიზედ 20 სეზონში აქვს გატანილი მინიმუმ ერთი გოლი. იგივე გაუკეთებია მას ჩემპიონთა ლიგის 14 სეზონში, აქედან 11-ჯერ ზედიზედ. მაგრამ ნაკრების შემადგენლობაში მას ტიტული, სამწუხაროდ, ჯერ არ აქვს. მას ძალიან მოუხდებოდა ბრიტანეთის გაერთიანებულ გუნდში ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული. ის ამას იმსახურებს.

ლონდონის ვარსკვლავები

ლონდონის საფეხბურთო ტურნირზე ბევრი ვარსკვლავის ხილვის საშუალება მოგვეცემა. აი მათი არასრული სია...

რაიან გიგზი (ბრიტანეთი)
ედინსონ კავანი (ურუგვაი)
ტიაგო სილვა (ბრაზილია)
ლუის სუარესი (ურუგვაი)
ხორდი ალბა (ესპანეთი)
ხუან მატა (ესპანეთი)
ნეიმარი (ბრაზილია)
მარსელო (ბრაზილია)
ჰალკი (ბრაზილია)
მიკა რიჩარდსი (ბრიტანეთი)

ჩემპიონის გარეშე

ლონდონის საფეხბურთო ტურნირის წილისყრა 24 აპრილს გაიმართა. ბრიტანეთის ნაკრები, როგორც მასპინძელი, პირდაპირ ჩასვეს A ჯგუფის პირველ ნომრად. მისი მეტოქეები სენეგალი, საამიროები და ურუგვაი იქნებიან. ამ უკანასკნელმა, სხვათა შორის, ურთულესი შესარჩევი ტურნირი გაიარა სამხრეთ ამერიკის საკვალიფიკაციოში, რადგან ამ ზონიდან ოლიმპიადაზე გამგზავრების უფლება მხოლოდ ორ საუკეთესო გუნდს ჰქონდა. და ურუგვაელებმა პერუში გამართულ ახალგაზრდულ ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავეს და უკან ჩამოიტოვეს ბოლო ორი ოლიმპიადის ჩემპიონი - არგენტინა.

სამხრეთ ამერიკიდან მეორე გუნდი, რომელიც ლონდონში მიემგზავრება, ბრაზილიის ნაკრებია **ნეიმარის** მეთაურობით. ბრაზილიელები C ჯგუფში მოხვდნენ ეგვიპტესთან, ახალ ზელანდიასთან და ბელარუსთან. ბელარუსი ევროპული შესარჩევი ტურნირის მთავარი სენსაცია გახდა. ამ გუნდმა ტოლსწორად იბრძოლა ესპანეთისა და შვეიცარიის წინააღმდეგ, დამატებით მატჩში კი ჩეხეთი დაამარცხა.

D ჯგუფის ფავორიტი ესპანეთი იაპონიას, მაროკოსა და ჰონდურასს დაუპირისპირდება, B ჯგუფში კი ითამაშებენ შვეიცარია, მექსიკა, სამხრეთ კორეა და გაბონი.

შემადგენლობების მხრივ, ყველაზე დიდ ინტერესს იწვევდა ესპანეთისა და ბრიტანეთის ნაკრებები. ახალგაზრდა ესპანელები უკვე დიდი ხანია თამაშობენ პრიმერას ტოპ-გუნდების ძირითადში და კლუბებს არ სურთ მათი ოლიმპიადაზე გაშვება. მაგალითად, „ბარსელონა“ კატეგორიულად ეწინააღმდეგება ეროვნულ გუნდში თავისი ნორჩი ვარსკვლავების - **ტიაგო ალკანტარასა** და **ისააკ კუენკას** გაშვებას. ეს სიტუაცია დღემდე არ არის მოგვარებული. ბრიტანეთის ნაკრებში **დევიდ ბექჰემის** ვერმოხვედრასა და ამ გუნდში **რაიან გიგზის** შეყვანაზე ამავე გვერდში წაიკითხავთ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

საფეხბურთო ტურნირის კალენდარი

A ჯგუფი

26 ივლისი
საემიროები-ურუგვაი (20:00)
ბრიტანეთი-სენეგალი (23:00)

29 ივლისი
სენეგალი-ურუგვაი (20:00)
ბრიტანეთი-საემიროები (22:45)

1 აგვისტო
სენეგალი-საემიროები (22:45)
ბრიტანეთი-ურუგვაი (22:45)

B ჯგუფი

26 ივლისი
მექსიკა-კორეა (17:30)
გაბონი-შვეიცარია (20:15)

29 ივლისი
მექსიკა-გაბონი (17:30)
კორეა-შვეიცარია (20:15)

1 აგვისტო
მექსიკა-შვეიცარია (20:00)
კორეა-გაბონი (20:00)

C ჯგუფი

26 ივლისი
ბელარუსი-ახ. ზელანდია (22:45)
ეგვიპტე-ბრაზილია (22:45)

29 ივლისი
ეგვიპტე-ახ. ზელანდია (15:00)
ბრაზილია-ბელარუსი (18:00)

1 აგვისტო
ბრაზილია-ახ. ზელანდია (17:30)
ეგვიპტე-ბელარუსი (17:30)

D ჯგუფი

26 ივლისი
ჰონდურასი-მაროკი (15:00)
ესპანეთი-იაპონია (17:45)

29 ივლისი
იაპონია-მაროკო (20:00)
ესპანეთი-ჰონდურასი (22:45)

1 აგვისტო
იაპონია-ჰონდურასი (20:00)
ესპანეთი-მაროკო (20:00)

პლეი ოფი

4 აგვისტო
1/4 ფინალი (15:00)
1/4 ფინალი (17:30)
1/4 ფინალი (20:00)
1/4 ფინალი (22:30)

7 აგვისტო
1/2 ფინალი (20:00)
1/2 ფინალი (22:45)

10 აგვისტო
მე-3 ადგილისთვის (22:45)

11 აგვისტო
ფინალი (18:00)

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
9 772233 382000
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია თვალაბეიშვილი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: lelo@palitra.ge

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608